# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან ოთხშაბათი 9 დეკემბერი 1998 №225 (760) ფასი 50 თეთრი

# გაქვთ 200 ათასი დოლარი? მაშინ ითამაშეთ!



— განაცხადა გუშინდელ პრესკონფერენციაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ



შევარდენი — თსუ.
სტუდენტთა მე-15 ნომერმა ნიკა ცქიტიშვილმა 15 ქულაც მიითვალა

გუშინ ვერის ბაღის დარბაზში შეკრებილ მაყურებელს საქართველოს კალათბურთელთა ჩემპიონატის ორი მატჩი უნდა ეხილა, მაგრამ ერთის ამარა დარჩა: თანდათან მომძლავრებულმა ენერგოკრიზისმა სტუ — „დინამო" შეიწირა.

## უეფას თასი. მერვედფინალი, საპასუხო მატჩები. 8 დეკემბერი

UEFA CUP

ციურიხი (შვეიცარია) — *რომა (იტალია)* 2:2 (0:1)
0:1 დელვეკიო (14), 1:1, 2:1 ბარტლეტი (60, 79), 2:2 ტოტი (90)

*მარსელი (საფრანგეთი)* — მონაკო (საფრანგეთი) 1:0 (2:2)
1:0 კამარა (71)

*ბორდო (საფრანგეთი)* — გრასჰოპერი (შვეიცარია) 0:0 (3:3)

*ატლეტიკო (ესპანეთი)* — სოსიედადი (ესპანეთი) 4:1 დდ. (1:2)
1:0, 2:0 იუგოვიჩი (17, 45პ), 2:1 გრასია (51), 3:1 სანტი (96), 4:1 ხოსე მარი (98)

ბრიუგე (ბელგია) — *ლიონი (საფრანგეთი)* 3:4 (0:1)
0:1, 0:2 კავეგლია (16, 55), 1:2 დე ბრული (63), 2:2 დე კოკი (69), 2:3 კავეგლია (72)
3:3 ანიჩი (73), 3:4 დორასო (76)

*პარმა (იტალია)* — რეინჯერსი (შოტლანდია) 3:1 (1:1)
0:1 ალბერცი (29), 1:1 ბალბო (47), 2:1 ფიორე (63), 3:1 კიეზა (67პ)

ლივერპული (ინგლისი) — *სელტა (ესპანეთი)* 0:1 (1:3)
0:1 რევივო (57)

ბეტისი (ესპანეთი) — *ბოლონია (იტალია)* 1:0 (1:4)
1:0 ოლი (3)

REUTERS პარმიდან



პარმა — რეინჯერსი. არგენტინელმა აბელ ბალბომ ფინელი ანტი ნიემის კარში გატანილი ბურთით ანგარიში გაათანაბრა, მერე კი...

## ქრისტეშობამდეო

ათენში, ოლიმპიურ სტადიონზე საბერძნეთ — საქართველოს მატჩს ადგილობრივი კლუბების წარმომადგენლებიც დაესწრებიან, რამდენიმე ქართველი ფეხბურთელის თამაში აინტერესებთო — მითხრა ერთმა ბერძენმა კოლეგამ. ამ შეხვედრას მართლაც დასწრებია პირეოსის „ოლიმპიაკოსის" ერთ-ერთი მწვრთნელი, რომელსაც სხვებზე მეტად იმდღევანდელი ქართველი ლიბერო, გრასჰოპერელი გიორგი ნემსაძე მოსვლია თვალში. მატჩის დამთავრების შემდეგ კი ჩვენებურისთვის შეუთვლია, არ გაგიკვირდეს, ერთ მშვენიერ დღეს საბერძნეთიდან რომ შეგეხმიანონო.

ამ კაცის სიტყვები განსაკუთრებით დღეს დაფასდა, მაშინ, როცა ნემსოს შვეიცარიელთა მიტოვება განუზრახავს.

— 20 დეკემბრამდე დამირეკეთ, არის რაღაც ვარიანტი, ალბათ კარიერას იქ გავაგრძელებ. ხომ იცით, რაც წინასწარ მითქვამს, არაფერში გამმართლებიაო — გვითხრა ორიოდ დღის წინ საქართველოს ნაკრების კაპიტანმა. იმ ბერძენ კაცს კი თავის დროზე ნათქვამისთვის დაუმატებია, „ოლიმპიაკოსის" სატელეფონო ზარს 15 დეკემბრის მერე დაელოდე, ჩვენში სატრანსფერო სეზონი ქრისტეშობის თხუთმეტიდან იხსნებაო.

„ოლიმპიაკოსს" თბილისში დაბადებული ერთი ფეხბურთელი უკვე ჰყავს — ბერძენი ანდრეას ნინიადისი.

ამჟამად ნემსაძე ბორდოშია, სადაც წუხელ „ბორდოს" წინააღმდეგ უეფას თასის მერვედფინალში არ უთამაშია მისგან ათვალწუნებულ „გრასჰოპერის" შემადგენლობაში.

ჭოგა ინასარიძე

## კოლოსკოვი ისევ კოლოსკოვია

ვიაჩესლავ კოლოსკოვი რუსეთის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტად დარჩა.

გუშინდელ ყრილობაზე კოლოსკოვს 64 ხმოსნიდან 52-მა დაუჭირა მხარი. რვამ რუსეთის პროფესიული საფეხბურთო ლიგის პრეზიდენტ ნიკოლაი ტოლსტიხი ირჩია, დარჩენილი ოთხი ხმა კი სხვა კანდიდატებს შორის განაწილდა.

ვიაჩესლავ კოლოსკოვი, რომელსაც არჩევნების წინ უამრავი ბრალდება წაუყენეს და რუსული ფეხბურთის კრიზისში დაადანაშაულეს, კიდევ ხუთი წლით უთავკაცებს რუსულ ფეხბურთს. მიუხედავად იმისა, რომ კოლოსკოვს მოსკოვის „დინამოს" პრეზიდენტი ნიკოლაი ტოლსტიხი კორუპციასა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში სდებდა ბრალს, რუსული ფეხბურთის მმართველმა თანამდებობა შეინარჩუნა.

**7 ტური**

7 დეკემბერი. ორშაბათი
**კოლხა 68:82 სდასუ**
8 დეკემბერი. სამშაბათი
**შევარდენი 81:84 თსუ**
**სტუ — დინამო**
*გადაიდო*

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სტუ | 5 | 5 | 0 | 480:398 | 10 |
| აზოტი | 5 | 5 | 0 | 471:398 | 10 |
| თსუ | 6 | 4 | 2 | 533:496 | 10 |
| კოლხა | 7 | 1 | 6 | 541:652 | 8 |
| დინამო | 4 | 3 | 1 | 344:327 | 7 |
| შევარდენი | 5 | 2 | 3 | 410:423 | 7 |
| სდასუ | 5 | 1 | 4 | 386:424 | 6 |
| მაკაბი | 5 | 0 | 5 | 398:445 | 5 |

იხილეთ მეათე გვერდი

საქართველოს ჩემპიონატი

# პირველი ჯგუფი. პირველი წრე:

# კაცი უნდა ეყოს ჯამაგირს

როდესაც ქუთაისის „ტორპედოზე“ იწყებ წერას კაცი, არ შეიძლება, ცნება — „საქართველოს მეორე გუნდი“ არ ამოგიტივტივდეს გონებაში. წლების მანძილზე ასე ყოფილა — „დინამო“ პირველი იყო, „ტორპედო“ ყოველთვის მეორე. ცოტათი ეროვნულმა ჩემპიონატმა მოშალა ეს „ჩვეულება“, უკვე მეათე ეროვნული იმართება და „ტორპედო“ ჯერაც არ ყოფილა მეორე. იყო მესამე, მეოთხე, მაგრამ მეორე — ჯერ არა.

წლეულს კი, პირველი წრის მერე „ტორპედო“ მეორეა. მეორეა „დინამოს“ შემდეგ. აღდგა კი ქართული კანონზომიერება?

მეტიც შეეძლოთ პირველ წრეში ქუთათურებს. მეტიო, ვამბობთ და ნურც იმას დავივიწყებთ, რომ, შეიძლება ითქვას, მშვენიერი წრე ჩაამთავრეს ტორპედოელებმა: +11=2-2, 42 გატანილი და 14 მიღებული ბურთი, როგორ ფიქრობთ, არ არის მშვენიერი წრე? და მაინც მეტი შეეძლოთ, მეტს ელოდნენ გულშემატკივრები იმერლებისგან.

შემადგენლობა შემოიკრიბა „ტორპედომ“ ძლიერი და იმიტომ... სეზონის წინ ფინანსურად ძლიერნი ჩანდნენ ქუთათურები და იმიტომ... ევროტურნირზეც სინჯეს ძალა და ცოტა გამოცდილებაც მიიღეს ქუთათურებმა და იმიტომ... ჩემპიონიც აღარ ჩანს ძველებურად საშიში და იმიტომ... ერთი სიტყვით, თითქმის ყველაფერი „ტორპედოს“ წისქვილზე ასხამდა წყალს.

ძლიერად, მეტად ძლიერად დაიწყეს ტორპედოელებმა მეათე ეროვნული. ერთიმეორის მიყოლებით დაამარცხეს თსუ, „კოლხეთი“, „ოდიში“, „ვიტ ჯორჯია“, „იბერია“, თითქმის მოგებული მატჩი ფრედ დაამთავრეს „ბათუმთან“ და მეექვსე ტურის შემდეგ ლიდერებადაც მოგვევლინნენ.

მეშვიდე ტურში კი მცხეთა და ჯერარნახულად გაამბიციურებული „ლოკომოტივი“ ელოდა „ტორპედოს“ (ეს ის „ლოკომოტივია“ ქართული ფეხბურთის მეათე შემოდგომაზე არც ჩემპიონატში, არც თასზე მარცხის სიმწარე რომ არ განუცდია და...), არც ის შეხვედრა ჩაუგდიათ იმერლებს, ფრე გააგორეს მცხეთაში და გულშემატკივართა იმედები გაასამკეცეს.

ჩავარდნის პერიოდი მოგვიანებით დაუდგა „ტორპედოს“. ამაზე გავლენა ფინანსურმა სიდუხჭირემ იქონია — ბესიკ ჯიქიას ფული შემოელია და წამყვანი ფეხბურთელებიც ერთიმეორის მიყოლებით გაილალნენ ქუთაისიდან. ჩვენში ასეა მუდამ — გუნდს გაუჭირდება თუ არა, პირველ ყოვლისა მოწვეული ფეხბურთელები უგანებენ ხოლმე მას და იქით მიდიან, საიდანაც მოსულან. პაატა ჯინჭარაძე, კოტე მეტრეველი, ირაკლი ვაშაკიძე და გიორგი ყიფიანიც ასე მოიქცნენ: ფინანსური მოსაზრებების გამო „ტორპედო“ შუა გზაზე მიატოვეს და დედაქალაქს მიაშურეს.

ჯიქიას და მის კლუბს იმ დონემდე გაუჭირდათ, ტურიდან ტურამდე ძლივს გაჰქონდათ თავი. საფეხბურთო საქართველოში ხმებიც დაირხა: „ტორპედოში“ სავარჯიშო პროცესი ჩაშლის პირასაა, ფეხბურთელები პურზე და მაწონზე გადადიანო, ცეცხლზე ნავთი გორის „დილასთან“ დიდი ანგარიშით წაგებამაც დაასხა და ისიც თქვეს, „ტორპედო“ იშლებაო.

აქ ივაჟკაცეს იმერლებმა, მიდგნენ-მოდგნენ, მეცამეტე ტურს ახალი პრეზიდენტით, განტუმრებული პრემია-ხელფასებით და ძველებური ამბიციებით შეხვდნენ. უკან მოიტოვეს ფინანსური სიდუხჭირე, ძველი პრეზიდენტი და მწვრთნელიც...

თუმცა სოსო ფრუიძე გაცილებით ადრე მოისაკლისეს ტორპედოელებმა — მეხუთე ტურის მერე. ფრუიძის წასვლა ისევ ჯიქიამ აიღო თავის თავზე — მე გავუშვიო და გუნდის თავკაცის ცვლილებამაც როგორღაც უხმაუროდ ჩაიარა „ტორპედოში“.

მიხეილ ქორქიას მისვლით ქუთაისელებს, შეიძლება ითქვას, მეორე სუნთქვა გაეხსნათ. მათ „მერანი“, „გორდა“, „სიონი“ თითქმის გაუჭირვებლად დაამარცხეს და პირველი წრეც ჩაამთავრეს.

ძლიერი სპონსორი და პრეზიდენტი ძლიერი კლუბის საწინდარი რომ არის, ეს არახალია და თუკი ახალი პრეზიდენტის სოლიდურობით ვიმსჯელებთ. ქუთაისური გუნდი ჩემპიონობასაც უნდა შეეცილოს მარად ჩემპიონს. ვნახოთ, ყველაფერს მეორე წრე გვიჩვენებს, სხვაობა „დინამოსა“ და „ტორპედოს“ შორის არ არის დიდი (სულ ოთხი ქულა), თანაც თბილისელები ქუთაისელებს სტუმრად ეთამაშებიან და ვინ იცის...

ამპლუათა მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქუთათურთა წინა ხაზი აშკარად გამოირჩეოდა გუნდში. ამაში ლომის წილი დავით ჯანაშიამ დაიდო, რომელმაც იმდენად მაღალ დონეზე ჩაატარა მეათე ეროვნულის პირველი წრე, ჯერ რომ არ გვინახავს და სამართლიანადაც მიიწვიეს ეროვნულ ნაკრებში. დავით ჯანაშია სტაბილური თამაშითაც განსხვავდებოდა სხვათაგან და ტორპედოელთა მიერ გატანილი 42 გოლიდან ნახევარი მაინც მისი შემოქმედებაა (ან გოლი, ან პასი), ორიოდე სიტყვით მის აქტიურობაზეც უნდა ვთქვათ, პირველი წრის თოთხმეტ მატჩში მიიღო დავითმა მონაწილეობა და კაციშვილი ვერ იტყვის, ძველებურად „დადგაო“ (არადა, ადრე საყვედურობდნენ ამას). ერთი სიტყვით, იგი „ტორპედოს“ ლიდერი გახდა.

ძველებურად გამოირჩა ზურაბ იონანიძეც. გახსოვთ, ალბათ, „სამტრედია“... მისი მთავარი მეგოლე ახლა „ტორპედოს“ ბომბარდირია და 13 გატანილი ბურთით დინამოელ აშვეთიასთან ერთად სათავეში უდგას სნაიპერთა ცხრილს. სხვა თავდამსხმელებიც არ გამოიყურებოდნენ ურიგოდ „ტორპედოში“. გია მეგრელაძემ 13 მატჩში 6 გოლი გაიტანა, ლევან ქებაძემ ათში — ოთხი. ქუთათურებს იმედებს უნერგავს ახალგაზრდა იმედაძეც. იგი ნიჭიერი ფეხბურთელი ჩანს და ოთხ მატჩში შეცვლაზე შემოსულმა ორი გოლიც გაიტანა.

იმერლების დაცვა და ნახევარდაცვა თავდასხმის ფონზე ერთგვარად ჩრდილში კი იყო პირველი წრის განმავლობაში, მაგრამ ეს არც არის გასაკვირი — ცნობილი ტორპედოული მოვლენების შემდეგ გუნდი ორმა ძირითადმა მცველმა და ერთმა ნახევარმცველმა დატოვა და თითქოსდა აწყობილი საქმეც ერთიანად აეწეწათ იმერლებს.

ეს ორი მცველი, ერთი ნახევარმცველი და მათთან ერთად ერთი თავდამსხმელიც სწორედ იმ თბილისურ კვარტეტს ქმნიან — ჯინჭარაძე, ვაშაკიძე, ყიფიანი და მეტრეველი გვყავნან მხედველობაში. მათზე ბევრი რამ დაიწერა საქებარი, მათივე თამაშიდან გამომდინარე მეტის იმედიც გვქონდა, მაგრამ შუა სეზონში აიღეს ამ ბიჭებმა და მიატოვეს „ტორპედო“.

კი, იურიდიულად რომ ვიმსჯელოთ, მართლებიც არიან, მაგრამ მარტო იურიდიული საზომებით ცხოვრობენ ვითომ ისინი?

ხომ არსებობს სხვა, ადამიანური საზომებიც და ფეხბურთელი, რომელიც სხვათა ფონზე შესაშურ გასამრჯელოს აიღებს, ორიოდე თვე რატომ ვერ უნდა იცდიდეს, ნეტავი? მით უმეტეს, გუნდს, „ტორპედოს“ სჭირდება ეს „მოცდა“.

და ერთიცაა, კაცი უნდა ეყოს ჯამაგირს.

**კონსტანტინე გოგიშვილი**



თემურ ჯავახაძე ქუთაისიდან

ასე გაიხარეს ტორპედოელებმა საღორიის საწვრთნელ ბაზაზე ახალი პრეზიდენტის გამოჩენით

## ტორპედოს შედეგები

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 | თსუ | 3:1 | სტუმრად |
| 2 | კოლხეთი | 5:1 | შინ |
| 3 | ბათუმი | 3:3 | შინ |
| 4 | ვიტ ჯორჯია | 2:1 | სტუმრად |
| 5 | იბერია | 4:0 | შინ |
| 6 | ლოკომოტივი | 1:1 | სტუმრად |
| 7 | არსენალი | 2:0 | სტუმრად |
| 8 | გურია | 3:0 | შინ |
| 9 | დილა | 0:3 | სტუმრად |
| 10 | სამგურალი | 3:1 | შინ |
| 11 | ოდიში | 3:1 | სტუმრად |
| 12 | დინამო | 0:1 | სტუმრად |
| 13 | მერანი | 2:0 | შინ |
| 14 | გორდა | 7:1 | სტუმრად |
| 15 | სიონი | 4:0 | შინ |

| | თ | გ | ყ | წ |
|---|---|---|---|---|
| ზურაბ იონანიძე | 15 | 13 | 1 | 0 |
| ირაკლი მაღლაკელიძე | 15 | 0 | 0 | 0 |
| ვახტანგ თურმანიძე | 15 | 0 | 0 | 0 |
| ალეკო შეყრილაძე | 15 | 0 | 1 | 0 |
| დავით ჯანაშია | 14 | 8 | 4 | 0 |
| კახა კვეტენაძე | 13 | 4 | 0 | 0 |
| ზაზა ვაჩიბერაძე | 13 | 2 | 0 | 0 |
| გია მეგრელაძე | 13 | 6 | 2 | 0 |
| არჩილ ჩხაბერიძე | 13 | 0 | 0 | 1 |
| გია ჩხაიძე | 13 | 0 | 1 | 0 |
| კახა ჩხეტიანი | 12 | 0 | 1 | 0 |
| ლევან ქებაძე | 10 | 4 | 0 | 0 |
| დავით ასლანაძე | 9 | -8 | 0 | 0 |
| გრიგოლ ჭანტურია | 7 | -3 | 0 | 0 |
| ირაკლი ვაშაკიძე | 7 | 3 | 0 | 0 |
| პაატა ჭინჭარაძე | 7 | 0 | 1 | 0 |
| კოტე მეტრეველი | 5 | 0 | 0 | 0 |
| კახა იმედაძე | 4 | 2 | 1 | 0 |
| დავით მამარდაშვილი | 4 | -3 | 0 | 0 |
| გიორგი ყიფიანი | 4 | 0 | 1 | 0 |

შ-შინ; ს-სტუმრად; თ-თამაში; გ-გოლი; ყ-ყვითელი, წ-წითელი ბარათი




ჰორიზონტალურად მოცემულია ტურის ნომერი, ვერტიკალურად — ადგილი გათამაშების ცხრილში

საქართველოს ჩემპიონატი

## 15 ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 15 | 12 | 3 | 0 | 50:8 | 39 |
| ტორპედო | 15 | 11 | 2 | 2 | 42:14 | 35 |
| კოლხეთი | 15 | 8 | 3 | 4 | 34:25 | 27 |
| ლოკომოტივი | 15 | 6 | 9 | 0 | 18:6 | 27 |
| ბათუმი | 15 | 6 | 6 | 3 | 23:14 | 24 |
| დილა | 15 | 6 | 4 | 5 | 21:21 | 22 |
| იბერია | 15 | 5 | 3 | 7 | 26:31 | 18 |
| არსენალი | 15 | 4 | 6 | 5 | 19:25 | 18 |
| მერანი | 15 | 3 | 8 | 4 | 13:16 | 17 |
| ოდიში | 15 | 5 | 1 | 9 | 12:25 | 16 |
| გორდა | 15 | 3 | 7 | 5 | 12:18 | 16 |
| სიონი | 15 | 4 | 3 | 8 | 15:32 | 15 |
| ვიტ ჯორჯია | 15 | 5 | 2 | 8 | 15:17 | 14 |
| სამგურალი | 15 | 4 | 2 | 9 | 13:31 | 14 |
| თსუ | 15 | 3 | 4 | 8 | 14:22 | 13 |
| გურია | 15 | 3 | 1 | 11 | 17:39 | 10 |

„ვიტ ჯორჯიას“ დაკლებული აქვს 3 ქულა

## ქაილია ამაღ ნარეი

*დინამო:* დიდხანს გელოდი და ახლა შენი დროა...

*ტორპედო:* შეგაწუხა სინდისმა?

*დინამო:* ეგ კითხვა მსაჯებს დაუსვი და სიმღერას ნუ მაწყვეტინებ.

*ტორპედო:* კი მარა, რა გემღერება, მართლა ხომ არ დასნეულდი?

*დინამო:* შენ დედა გყავს?

*ტორპედო:* რას ჰქვია, არ მყავს.

*დინამო:* მერე ავად რომ გახდება, არ მოუვლი?

*ტორპედო:* რას გადამაყოლეთ მაგ თქვენს დედაქალაქობას, ეფრინა ერთი იმ ხოხობს ქუთაისამდე, მაშინ ვნახავდი. თუმცა რა შენი ბრალია, იმ გეგუთელმა დამღუპა, ჯერ ჩემს მზეს ფიცულობდა და შემდეგ თქვენ გაგალმერთათ.

*დინამო:* აშვეთიაზე ლაპარაკობ?

*ტორპედო:* ეუჰ, სად წადი, ბიჭო? ალმაშენებელზე გეუბნები, შე ისტორიის უცოდინარო.

*კოლხეთი:* ისტორიაზე თუ მიდგა საქმე, ყველაზე უფროსი მე ვარ და თითის აწევით მელაპარაკეთ.

*ტორპედო:* ეგ როგორ?

*კოლხეთი:* როგორ და გაიხსენეთ 1913 წელი, პირველი მერცხალი.

*ტორპედო:* 85 წლის მე ყვავი გამიგონია და არა მერცხალი.

*კოლხეთი:* შენ მყავხარ, ხომ იცი, მტრედი...

*ტორპედო:* ეჰ, მტრედებზე გამახსენდა. ჩემს მეზობლად სამი დედმამიშვილი ცხოვრობდა. იყვნენ ერთიმეორეზე კარგები, ჰოდა ისე დაიფრინეს ერთ გაზაფხულზე, იმათი ბუნდლაც არავის უნახავს...

*იბერია:* ისინი ჩემი უფროსი ძმები იყვნენ...

*ტორპედო:* შენ სად იყავი მაშინ, პატარავ?

*იბერია:* მე პაწაწინა ფრთახატულა ვიყავი და „ხატულას“ მეძახდნენ თურმე...

*ტორპედო:* თუ იცი შენი ძმების ასავალ-დასავალი?

*იბერია:* ალიას მინდა შევუერთდე. იქნება თბილ ქვეყნებში გადავეყარო სადმე. მეც იქ ვიპოვი ჩემს სარბიელს.

*ტორპედო:* ახლა ვიწვები ამ ბიჭის საცოდაობით და ის „ფოლადი“ როგორ არ გალღვა მაშინ.

*გორდა:* „ფოლადის“ ხსენებაზე როგორ არ წითლდები...

*ტორპედო:* წითლები შენსკენ მოიკითხე. მოედანზე შენი ბიჭები რომ დავინახე, ყაყაჩოების მდელოზე მეგონა თავი.

*გორდა:* შენ ახლა კაცი ხარ? შენ ახლა ნამუსი გაქვს?

*ტორპედო:* აღარ მეტყვი, რას მერჩი?

*გორდა:* 7:1 რომ მომიგე, კორტზე ხომ არ გეგონა თავი?

*ტორპედო:* რა ვიცი, აბა. ბალახი რომ ვერ დავინახე, კი ამერია სათვალავი. ნუ გეწყინება, ხომ იცი, წლეულს ჩემპიონობას და თასის აღებას ვაპირებ.

*გორდა:* შენ თვითონ თუ გჯერა მაგ ზღაპრის?

*ტორპედო:* მარტო მე კი არა, ყველა ამას ლაპარაკობს.

*ბათუმი:* მე გადავცურავ ზღვას, ნუ დაუჯერებ სხვას.

*ტორპედო:* ტარანი არ ჩამომიტანე?

*ბათუმი:* თასით აღესას მოგართმევ კიდო, არ გინდა?

*ტორპედო:* იმ გორი-თბილისის მატარებელმა თუ გადაგიარა, სუპერთასიც გამოაყოლე, გიჯობს.

*ბათუმი:* შენ მაგაზე არ იდარდო. გუშინ ყავაზე მიმკითხავეს და იცი, რა მითხრეს?

*ტორპედო:* რაო?

*ბათუმი:* მახარაძე თურმე „დინამოში“ გადაჰყავთ.

*ტორპედო:* პირველობაზე არაფერი გითხრეს?

*ბათუმი:* რაღა დაგიმალო და წლეულს საქართველოს ახალი ჩემპიონი ეყოლებაო.

*ტორპედო:* ესე იგი, მე...

*ბათუმი:* მოიცა, კაცო, რა გაყვირებს, ფეხბურთში კი არა, კალათბურთშიო — ასე მითხრა იმ ქალმა.

*ტორპედო:* როგორ თუ კალათბურთში?

*ბათუმი:* ჰო, „ვითა“ გამხდარა ავად და წასულააა...

# ქუთაისის «ტორპედო». II ადგილი

*შუა გ ზაში მწვრთნელშეცვლილი გუნდების ახალ გამწვრთნელებთან ანაც პრეზიდენტებთან ვაპირებდით გასაუბრებას. „ტორპედოში“ მწვრთნელზე გვიან პრეზიდენტი კი მოვიდა, მაგრამ ჯემალ ხერხაძემ თავაზიანი უარით გაგვისტუმრა, 12 დეკემბერს ყველაფერი გაირკვევა და მერე შევხვდეთო. ჰოდა, ჩვენც მანამდე მიხეილ ქორქიას დავუკავშირდით. ერთი თვეა, „ტორპედოს“ ახალი პრეზიდენტი ჰყავს. ქუთაისელებმა შემადგენლობაც შეინარჩუნეს და პირველი წრეც წარმატებულად დაამთავრეს. მიხეილ ქორქიაც გაერკვა საქმის ვითარებაში და, ბუნებრივია, მასთან უამრავი კითხვა გაგვიჩნდა.*

## დაბრუნება

**— რამ გადაგაწყვეტინათ საქართველოში დაბრუნება და საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტობა?**

— ჩემი სპორტული წარსული კარგად იცით. სპორტს რომ დიდი მომავალი აქვს, ესეც არ უნდა იყოს თქვენთვის ახალი. ბოლოდროინდელი ჩემი ცხოვრება სპორტის გარეშე, უინტერესო იყო, საქმე მარტო ფულის კეთება ხომ არაა, ადამიანს რალაც იდეა უნდა გაგაჩნდეს და ისეთი რამ უნდა აკეთო, ხალხმა დაგაფასოს და პატივი გცეს. მიშა ქორქია 18 წლის წინ კალათბურთელი იყო. მინდოდა, ხალხისთვის ჩემი თავი გამეხსენებინა, მინდოდა, გაეგოთ, ვინ ვარ ახლა და რას წარმოვადგენ.

**— რაღა მაინცდამაინც „ტორპედო“ არჩიეთ?**

— „ტორპედო“ ცოტა უფრო ღრმად სალაპარაკო თემაა. თუმცა, სიმართლე ვთქვა, ეს იდეა ბესო ჯიქიასგან წამოვიდა. ის თანხები, რომელსაც იგი გუნდში ხარჯავდა ჩემი და ჩემი სამეგობროსგან მოდიოდა.

**— ესე იგი ჯიქიასთან ადრეც თანამშრომლობდით.**

— ჩვენ მას ფინანსურად ვეხმარებოდით.

**— თქვენ არაყ „სარაჯიშვილის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი ხართ. ვიცით, რომ ბესო ჯიქიასაც აქვს მოზრდილი წილი ამ საქმეში. აქედან მოდიოდა თქვენი ურთიერთობები?**

— ჯიქიას ვიცნობდი, როგორც ქუთაისელს და „სიგმა ბანკის“ პრეზიდენტს. ფირმა „სარაჯიშვილი“ აქ არაფერ შუაშია. თანაც იქიდან კარგა ხანია წამოვედი.

**— ქართველი პრეზიდენტების გაკოტრების უამრავი მაგალითი არსებობს. თქვენს წინამორბედსაც იგივე შეემთხვა. თქვენ ეს იცით და მაინც „ტორპედოს“ პრეზიდენტობას დათანხმდით. გულახდილად მიპასუხეთ, არ გეშინიათ?**

— გულახდილად რომ გითხრათ, ჩემი გუნდში მოსვლის ერთ-ერთი მიზანი ისიც იყო, რომ გამეგო, თუ სად წავიდა ის თანხები, რომელიც ჯიქიამ ჩვენგან აიღო.

**— ჯიქიას დიდხანს ეხმარებოდით?**

— რაც იგი გუნდში მივიდა. ჩვენ ფეხბურთით ცხოვრებას არ ვაპირებდით. ეს იყო ბესოს იდეა, მან გვთხოვა დახმარება. სამწუხაროდ, მატერიალური თვალსაზრისით სავალალო შედეგამდე მივედით, უამრავი ვალი და პრობლემა... ჯიქია ქუთაისზე და ფეხბურთზე სიგიჟემდე შეყვარებული კაცია, როცა იგი „ტორპედოში“ მივიდა, მაშინ გუნდი მე-16 ადგილზე იმყოფებოდა, ახლა კი მეორე საფეხურზეა. მის დამსახურებას ვერავინ დაივიწყებს და გვერდს ვერ აუვლის, მაგრამ იგი არ აღმოჩნდა ამ საქმის პროფესიონალი. ჰოდა, საჭიროდ ჩავთვალეთ, „ტორპედოში“ მოსულიყო სპორტში კარგად ჩახედული კაცი.

**— ფინანსური სიძნელეების გამო გუნდი რამდენიმე ფეხბურთელმა დატოვა და შემადგენლობაც დასუსტდა. არ შეგეძლოთ, „ტორპედოში“ მე-13 ტურამდე მისულიყავით?**

— მე საერთოდ არ ვაპირებდი ფეხბურთში მოსვლას. რთულია საფეხბურთო სამყარო. კარგად ვიცნობ ფეხბურთელებს, ვიცი, რას წარმოადგენენ ისინი, ყველა პიროვნებაა, ყველა ავტორიტეტია და ყველას თავისებურად მიდგომა უნდა. კალათბურთელები და ფეხბურთელები თავის დროზე ერთად ვცხოვრობდით დიღმის ბაზაზე და არ მესწავლება მათი სულისკვეთება. თუმცა მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. ახლა სხვა მენტალიტეტი აქვთ. დღეს წარმოუდგენელია ფეხბურთელი მხოლოდ იდეის გამო ათამაშო, ისე რომ, მას ფინანსური დაინტერესება არ ჰქონდეს.

**— გამოდის, რომ „ტორპედოში“ მისვლა ნაჩქარევად გადაწყვიტეთ?**

— მოსკოვში ჩამოვიდნენ გუნდის ბედით დაინტერესებული ხალხი და მითხრეს, გვიშველე, თორემ ვიღუპებით, სხვა საშველი არ გვაქვსო. მაშინ მეგობრებთან ერთად გადავწყვიტე, რომ ყველაფერი გადამედო გვერდზე და მთლიანად ამ საქმეში ჩავრთულიყავი, რადგან არ შეიძლება ერთდროულად ბიზნესშიც იყო და ფეხბურთშიც. აქ ურთულესი მექანიზმია. მეგობრებმა მითხრეს, მიშა, შენ ნუ გეშინია, ჩვენ აქ ვართ და ყველანაირად დაგეხმარებითო. მგონი, ამით ყველაფერია ნათქვამი.

**— ბატონო მიხეილ, თქვენი პარტნიორების შესახებ ლეგენდები დადიოდა. გაგვიმხილეთ ბოლოს და ბოლოს მართლა „ლოგოვაზი“ მივიდა თქვენი სახით „ტორპედოში“?**

— სხვათა შორის, ეს ყველას აინტერესებს და ყველა მაგას მეკითხება, მაგრამ ამჯერადაც დუმილს ვარჩევ. დადგება დრო და ყველაფერს გეტყვით. საქმე მოითხოვს, ჯერჯერობით არ გავთქვა ეგ საიდუმლო, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ხელისშემშლელი უფრო მეტი გამოგვიჩნდება, ვიდრე კეთილისმსურველი.

**— ხომ არ ნანობთ თქვენს გადაწყვეტილებას?**

— ვერ წარმომედგინა, თუ ამდენი პრობლემა დამხვდებოდა. ირგვლივ სულ ვალია, პურის მაღაზიიდან დაწყებული, ბაზრით დამთავრებული, რომ არაფერი ვთქვა ფეხბურთელებისადმი დავალიანებაზე. ცოტა მეშინია კიდეც...

**— სპორტში კარგად ჩახედულ კაცს არ გაგიჭირდებათ „ტორპედოს“ სათამაშო რგოლების შეფასება.**

— კი, ბატონო.

**— დავიწყოთ მეკარეებით.**

— კარგი მეკარეები გვყავს, მაგრამ ჯერჯერობით იმ დონეზე ვერ არიან მომზადებულნი, ჩვენ რომ გვჭირდება. პერსპექტი-



მიხეილ ქორქია — ფეხბურთელთა კალათბურთელი პრეზიდენტი

ული ბიჭები არიან, მაგრამ კოტრიკაძის, ურუშაძისა და კავაზაშვილის ავტორიტეტების მქონე ხალხი მეკარეების მიმართ ყოველთვის მეტად მომთხოვნი უნდა ვიყოთ.

**— მცველებზე რას გვეტყვით?**

— კარგს ვერაფერს, ვერც ცუდს. საშუალო დონეს აკმაყოფილებენ, თუმცა მაქსიმალურად ცდილობენ. იგივეს ვიტყვი ნახევარმცველებზეც. ორივე რგოლში შევსება დაგვჭირდება.

**— თავდამსხმელებზე?**

— თავდასხმას არა უშავს. გამორჩევით კი იმედაძეს გამოვარჩევ. კოჭებში ეტყობა, რომ ნაღდი სპორტსმენია და თუ არ გაზარმაცდა, უეჭველად დიდ ფეხბურთს ითამაშებს. მისი ძალიან გვეიმედება.

**— ჯანაშიას ბედი გვაინტერესებს...**

— ჯანაშია მოედანზე დიდი ავტორიტეტია. მას შეუძლია მარტომ შექმნას საგოლე მომენტი. ვთვლი, რომ ერთ-ერთი ლიდერია დღევანდელ ქართულ ფეხბურთში. ხელწამოსაკრავი კაცი არაა და განსაკუთრებულ მოვლა-პატრონობას იმსახურებს. მისი მომავალი კვლავ „ტორპედოს“ დაუკავშირდება.

**— მწვრთნელებმა დაგაკმაყოფილეს?**

— ჯემალ ხერხაძეს ბავშვობიდან ვიცნობ. ფეხბურელსაც ვიცნობდი, კარგი სპორტსმენი იყო. ქუთაისის დიდმა სიყვარულმა ფაქტობრივად მისი კარიერა შეიწირა. იგი თბილისის „დინამოში“ არ წავიდა და ბოლომდე „ტორპედოს“ ერთგული დარჩა. ძალიან კარგი პიროვნებაა. საქართველოში ერთ-ერთი პერსპექტიული მწვრთნელია, მაგრამ ერთი ნაკლი აქვს — იგი თითქმის არასოდეს ყოფილა პირველი. ეს პრობლემა თუ გადალახა და თავის შესაძლებლობები ბოლომდე გამოავლინა, მაშინ ვიტყვი, რომ „ტორპედოში“ მთავარი მწვრთნელის საკითხი მოგვარებულია. მას აქვს დრო. მის საქმეში არავინ ჩაერევა. რაც უნდა, იმას მოიმოქმედებს, მაგრამ პასუხსაც ის აგებს.

**— „გორდასთან“ მატჩის შემდეგ განაცხადეთ, გუნდში ესა და ეს ფეხბურთელები დარჩებიან, დანარჩენებს კი დავაკვირდებითო. ეს ხომ მწვრთნელის პრეროგატივაა...**

— რა თქმა უნდა. ჩემი განცხადებაც მწვრთნელთან შეთანხმებით გაკეთდა. ეს მწვრთნელის პრეროგატივაა, მაგრამ როცა ბოლომდე გავერკვიე, დავრწმუნდი, რომ ფეხბურთელების ასე ადვილად გაშვება არ შეიძლება. ყველამ თავისი წილი გაიღო ამ გუნდისთვის და გაჭირვების ჟამსაც უერთგულეს „ტორპედოს“. ადგე ახლა და ხელალებით დაატოვებინო კლუბი, ეს არასპორტული და არაკაცური საქციელი იქნება. ჩვენ ვთვლით, რომ ამ ბიჭებს კიდევ შეუძლიათ საქმის გაკეთება.

**— საქართველოში დაბრუნდა რევაზ ბურკაძე, რომლის თავკაცობისას „ტორპედომ“ ორჯერ მოახერხა ბრინჯაოს პრიზიორობა. ბურკაძეს საქართველოში დარჩენა და მუშაობა სურს... ხომ არ შეხმიანებიხართ?**

— ამის შესახებ თქვენგან გავიგე. პრინციპში მივესალმები მის გადაწყვეტილებას. ვიცი მისი ფეხბურთისადმი უზომო სიყვარულის ამბავიც, მაგრამ „ტორპედოს“ სამწვრთნელო სკამი ჯერჯერობით დაკავებულია.

**— გაგვაცანით კლუბის ახალი ვიცე-პრეზიდენტი, დიმიტრი რამიშვილი.**

— დიმიტრი რამიშვილი თბილისელი კაცია. თავის დროზე კარგი წყალბურთელი იყო, სსრკ ნაკრების წევრი და მერე საქართველოს წყალბურთის ფედერაციის პრეზიდენტიც. იგი ჩემი სიძეა.

**— „ტორპედოს“ პირველ წრეში გამოსვლას როგორ შეაფასებთ?**

— მწვრთნელებმა და ბიჭებმა ამ გაჭირვების ფონზე მართლაც მაქსიმუმის გაკეთება შეძლეს. მათი მადლობელი ვარ. ისინი კეთილსინდისიერად მოეკიდნენ საქმეს და დარწმუნებული ვარ, კარგი მომავალიც გველის.

**— მართლა აპირებთ ჩემპიონობისთვის ბრძოლას?**

— ყველა ფიქრობს, რომ „დინამო“ წაქცეულია და მას ფეხბურთელებიც ტოვებენ, მაგრამ ასე არ არის. არა მგონია, ჩემპიონობა ასე ადვილად დათმონ.

**— თქვენ თუ შეებრძოლებით?..**

— ჩვენ სპორტსმენები ვართ და... არ მიყვარს რაიმეს დაქადნება, ყველაფერს დრო მოიტანს. „ტორპედოს“ ჩემპიონობა ჯერ გაზვიადებულად მეჩვენება.

**— თასის მერვედფინალში თითქმის შეუძლებელი შეძელით.**

— „კოლხეთთან“ საპასუხო მატჩი განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია. მეუბნებოდნენ, რომ თუ „ტორპედოს“ ერთ გოლს გაუტანდნენ, გუნდი ხშირად ფარხმალს ჰყრიდა. ბიჭებს ჩაუტარდათ გარკვეული ფსიქოლოგიური მუშაობა. ლაპარაკია, წმინდა ფსიქოლოგიურ პრაქტიკაზე, რასაც ჰქვია დიდი სპორტი, მოწინააღმდეგე და მის მიმართ განწყობა. საკმაოდ ვიმუშავეთ იმისთვის, რომ ფეხბურთელებს მინდორზე მთელი თავიანთი შესაძლებლობები გამოევლინათ.

**— ფსიქოლოგი ხომ არ დაიხმარეთ?**

— არა, რად გვინდოდა, მე თვითონ ვარ ფსიქოლოგი...

**— შევსებაზე რას გვეტყვით?**

— ახალი კონტრაქტი გავაფორმეთ ვახტანგ ხვადაგიანთან. მისი იმედი მაქვს. მოლაპარაკებას ვაწარმოებთ ყოფილ ტორპედოელ შალვა ხუჯაძესთან, რომელიც გვჭირდება. ყველაფერი მასზე და მის ქუთაისელობაზეა დამოკიდებული. ვესაუბრე აგრეთვე სოჭის „ჟემჩუჟინაში“ მოთამაშე გიორგი გოგიაშვილს და 12 დეკემბერს პირობებზე თუ შევთანხმდით, ალბათ, ისიც „ტორპედოში“ ითამაშებს.

**— „ტორპედოს“ თბილისელ წევრებზე ვაშაკიძესა და ჯინჭარაძეზე რას გვეტყვით.**

— როგორც ვიცი, ისინი კარგი ფეხბურთელები არიან და „ტორპედოშიც“ კარგად ირჯებოდნენ, მაგრამ უსახსრობას ვერ გაუძლეს და ქუთაისი შუა გზაზე მიატოვეს. ჩემი აზრით, არასპორტული საქციელია. ასე ყველას შეეძლო გაქცევა. გული მტკივა, როცა ამას ვლაპარაკობ, მაგრამ მარტო ფულზე არ უნდა აიგოს ურთიერთობები. პრეტენზია არცერთის მიმართ მაქვს. ისინი იურიდიულად მართლები არიან, მაგრამ ბიჭების წინაშე, იმ საოცარი ქუთაისელი ქომაგების წინაშე, რომელთაც რელიგიის დონეზე აიყვანეს ფეხბურთი... იცით, რას გეტყვით, მთელ საქართველოს 6 თვეა არ აულია ხელფასები, 10 ლარი არ აულიათ, მაგრამ არსად არ გარბის ქართველი კაცი, თავის მიწა-წყალზე რჩება...

**— გაზაფხულამდე რა გეგმები გაქვთ?**

— „ტორპედო“ არაა განებივრებული უცხოეთში ვიზიტებით. რატომღაც ძალიან კმაყოფილები არიან თურქეთში შარშანდელი ყოფნით. თურქეთზე მე ჩემი შეხედულება მაქვს და სხვაგვარად ვარ განწყობილი. არ მინდოდა გუნდი კვლავ იქ წასულიყო, მაგრამ 10 დღით მაინც გავუშვებ. მერე აუცილებლად წავალთ ისრაელში, სადაც იმ პერიოდისთვის მოსკოვის „სპარტაკი“ და ვლადიკავკაზის „ალანია“ იქნებიან. თებერვალში კი ესპანურ ტურნეს ვგეგმავთ.

**ხვიჩა სანიკიძე**

## ზურაბ იონანიძე: ქუთაისში დარჩენა მირჩევნია



ზურაბ იონანიძე

*პირველ წრეში ტორპედოელთაგან საუკეთესო უდავოდ დავით ჯანაშია გახლდათ. მასთან ინტერვიუ სულ ახლახან დავბეჭდეთ. გამეორება რომ არ გამოგვსლოდა, ჩვენი ვერსიით ქუთაისელთა შემადგენლობაში ჯანოს შემდეგ გამორჩეულ ფეხბურთელზე, თარსნომრიანი მაისურით მოთამაშე ზურაბ იონანიძეზე შევაჩერეთ არჩევანი. იონამ პირველ წრეში სწორედ 13 ბურთი გაიტანა და დინამოელ მიხეილ აშვეთიასთან ერთად ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირთა სიას უდგას სათავეში. სხვათა შორის, ამ ცამეტი და კოლხთა კარში ორი სათასო გოლის ჩათვლით იონანიძეს ჩემპიონატში და თასზე ერთად აღებული 100 გატანილი დაუგროვდა.*

**— ზურაბ, ჯერ 13-ზე ვთქვათ. შენთვის ეს ბევრი იყო თუ ცოტა? არ დაგავიწყდეს, ხუთჯერ პენალტიდან გაიტანე...**

— რა თქმა უნდა, ცოტა. მეტი შეიძლებოდა. ყველა მომენტი რომ გავიხსენოთ, ორი ამდენი მაინც უნდა გამეტანა, თუმცა არა, ალბათ, ესეც ცოტა იქნება.

**— ეს რას უნდა დავაბრალოთ?**

— სხვას ვის უნდა დავაბრალო, მხოლოდ საკუთარ თავს და უიღბლობას.

**— მახსოვს, მეშვიდე გათამაშების პირველ წრეში 23 ბურთი გაიტანე. მაშინ „სამტრედიაში“ იყავი.**

— ის პერიოდი ჩემთვის ყველაზე შედეგიანი იყო. ერთ მატჩში პოკერიც გამიტანია.

**— ამის შემდეგ ორი რუსული გუნდი მოიარე...**

— იქაც გამქონდა, ოღონდ უფრო იშვიათად. შარშან შემოდგომაზე „ტორპედოში“ ტრავმამოუშუშებელი დავბრუნდი და მაგრად გამიჭირდა ფორმის აღდგენა. წინა ჩემპიონატში სამ ბურთზე გავჩერდი და ძალიან უკმაყოფილო დავრჩი, „ტორპედოს“, ფაქტობრივად, ვერ დავეხმარე.

**— ახლა კმაყოფილი უნდა იყო.**

— ცხადია, თუმც უკეთესადაც შეგვეძლო თამაში, მეც და გუნდსაც. მეორე ადგილი ცუდი შედეგი ნამდვილად არ არის, მაგრამ როცა შანსი გეძლევა, მაქსიმალურად უნდა გამოიყენო. „ტორპედო“ ნორმალურად მომზადებული შეხვდა ჩემპიონატს, გუნდი კარგად იყო შეთამაშებული და შუა წრეში ფინანსური პრობლემები რომ არა, ახლა ხუთი-ექვსი ქულით მეტი გვექნებოდა. „დილასთან“, „დინამოსთან“ ხალხიც გვაკლდა და უვარგისობამაც იჩინა თავი. კლუბის სათავეში მიხეილ ქორქიას მოსვლით მდგომარეობა გამოსწორდა. ახალი ხელმძღვანელობა „ტორპედოს“ საჩემპიონოდ და თასის მოსაპოვებლად რაზმავს.

**— ფიქრობ, „ტორპედოს“ ძალუძს ამ სიმაღლეების დაძლევა?**

— რატომაც არა. აგერ ხვადაგიანი მოვიდა. თუ ამ შემადგენლობას შევინარჩუნებთ და ორ-სამ კაცსაც დავიმატებთ, ორივე ფრონტზე გვექნება შანსები. რა თქმა უნდა, ნორმალური წვრთნის პირობებში.

**— შენს თამაშში ნაკლს თუ ამჩნევ?**

— ყველაფერი ფიზიკურ მომზადებას უკავშირდება. როცა ძალას ვგრძნობ, თამაშიც გამომდის. თუ მზად არა ვარ, პრობლემები ჩნდება. პარტნიორს საჭირო მომენტში ვერ ვეხსნები, ბურთთან ვერ ვასწრებ. ორივე ფეხს თანაბრად ვხმარობ. თავით თამაშით კი ჩვენში, ვერც ვერავინ დაიკვეხნის.

**— ინტერტოტოზე „ლომელთან“ ქუთაისურ თამაშზე რას იტყვი?**

— ამნაირი თამაში რომ წაგვეგოს, არც კი მახსოვს. უპირატესობა ჩვენი იყო, პირველი ბურთიც ჩვენ გავიტანეთ, კიდევ გვქონდა მომენტები, მაგრამ ბედმა გაგვწირა. იმ წაგებას უიღბლობას ვაბრალებ, თუმცა ჩვენი მეკარის შეცდომებმაც ითამაშა როლი.

**— პარტნიორებიდან ვისთან გიიოლდება მოედანზე ურთიერთობა?**

— პირველ რიგში, დათო ჯანაშიასთან. დიდი ხანია ერთად ვთამაშობთ, კარგად გვესმის ერთმანეთის. კიდევ კვეტენაძეს, ჩხეტიანს დავასახელებდი, თუმცა არც სხვებთან მაქვს დიდი პრობლემები.

**— „ტორპედოში“ როდემდე დარჩები?**

— კლუბთან კონტრაქტი უკვე დამიმთავრდა. 12 დეკემბერს ველოდები. თუ ხელმძღვანელობასთან პირობებზე შევთანხმდებით, ქუთაისში დავრჩები. ასე მირჩევნია, ოჯახთან ახლო ვიქნები. თუ არა და წასასვლელს მოვძებნი. რამდენიმე წინადადება უკვე მაქვს, მათ შორის ისრაელში წასვლისა.

**იუზა კაციტაძე**

# გაქვთ 200 ათასი დოლარი? მაშინ ითამაშეთ!

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ყრილობამდე მერაბ ჟორდანიას რომ ჰკითხეს, არჩევნებში თქვენი გამარჯვების შემთხვევაში პირველად რას გააკეთებთო, ხუმრობანარევი ტონით უპასუხა — ფედერაციის შენობას გავარემონტებ, იქ შემსვლელი არ ვარო. მართალი იყო ჟორდანია, ცოტა არ იყოს, უხერხულიც კია, ნახევრად დანგრეულ, აშმორებულ შენობაში მუშაობა. ჰოდა, მოიგო საპრეზიდენტო არჩევნებში მერაბ ჟორდანიამ. ამჯერად მის ხელშია ქართული ფეხბურთის მომავალი. მასზე ბევრია დამოკიდებული, სიტყვა და საქმე ერთი უნდა იყოს. მაგალითად, როგორც ეს — თქვა კაცმა, გაურემონტებელ შენობაში ფეხს არ შევდგამ, იქაურობას შევალამაზებო და ასრულებს კიდეც. დღე-დღეზე ფედერაცია ვაკეში გადაბარგდება, იამანიძის №5-ში რემონტი დაიწყება, თავად პრეზიდენტი კი დროებით ბორის პაიჭაძის ეროვნულ სტადიონზე, „დინამოს" ოფისში მოწყობილა, მუშაობს და სტუმრებსაც იქვე ღებულობს.

გამონაკლისები არც ჟურნალისტები ვყოფილვართ. მერაბ ჟორდანიამ გუშინ ნაშუადღევს თავისთან მიგვიწვია, ახალი ამბები მაქვს სათქმელი და შევიკრიბოთო.

სხვათა შორის, ფედერაციის პრეზიდენტი შვეიცარიიდან ახალდაბრუნებულია, ჟენევაში ევროპის საფეხბურთო ფედერაციების პრეზიდენტთა კონგრესს ესწრებოდა და ეგებ ამანაც განაპირობა ეს პრესკონფერენცია. თუმცა ჟორდანიამ ჟენევურ ამბებს სულ 15-20 წუთი დაუთმო, დანარჩენ დროს შინაურ საქმეებზე ილაპარაკა. ჩვენც პირდაპირ ქართულ სატკივარზე დავწერთ, რადგანაც გასული კვირის „სარბიელებში" უკვე გაცნობეთ, უეფას თასების თასი გააუქმა და ჩემპიონთა ლიგის გათამაშების ახლებურად ჩატარებას აპირებსო. ისე, მერაბ ჟორდანიამ ამ თემაზე საუბრისას ისიც აღნიშნა, რომ ევროთასებზე საქართველოდან სამი გუნდი ითამაშებს, როგორ რეიტინგიც

მიტეტი, რომელთა კურატორებიც აღმასკომის წევრები იქნებიან. ძველი ფედერაციის თანამშრომლებიდან მხოლოდ რამდენიმე დარჩა თავის ადგილას. საშეჯიბრო კომიტეტს კლავინდებურად ბადრი ქარქაშაძე უთავკაცებს, საერთაშორისოს — დავით პეტრიაშვილი, ბავშვთა ფეხბურთს — ლევან ყიფიანი, სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტს — ანატოლი მილჩენკო, ვეტერანთა სოციალური დაცვა ილია მჭედლიშვილს დაევალა, სატრანსფერო კომიტეტის თავმჯდომარე კი ლევან გორხელაშვილი იქნება. ჯერჯერობით სულ ესაა, დანარჩენ კომიტეტთა უფროსებს უახლოეს დღეებში დავისახელებთ. სავარაუდოდ, ფედერაციის პრესსამსახურს დავით ქლიბაძე უხელმძღვანელებს.

მიუხედავად იმისა, რომ ფედერაციის ბიუჯეტი დღეს შეთხელებულია, ანგარიშზე ცოტა ფული გვაქვს, მაინც ვეცდებით, ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს დავეხმაროთ და ჩემპიონატი ავად თუ კარგად ჩავამთავროთ. მომავალი წლიდან კი საქმე სხვაგვარად იქნება. იანვარში ყველაფერი გვეცოდინება, გუნდებს ვაცნობებთ, თუ რა ცვლილებები მოხდება ჩემპიონატის გათამაშებაში, რას მოვითხოვთ მათგან. ორ თვეში ყველას საქმის კურსში ჩავაყენებთ, მერე სათქმელი რომ არ ჰქონდეთ, გვიან შეგვატყობინეთო. ჯერჯერობით მიჭირს კონკრეტულად საუბარი, მაგრამ მაინც, ალბათ, შევამცირებთ გუნდების რაოდენობას და კიდევ ეს უკვე ნაღდია — მომავალი ჩემპიონატის დაწყებამდე პირველ ჯგუფში მონაწილე თითოეულ კლუბს მოვთხოვთ, ანგარიშზე ჰქონდეთ 200 ათასი დოლარის ექვივალენტური თანხა ლარებში, მოგვცენ გარანტია იმისა, რომ გუნდი ჩემპიონატს შუა გზაზე არ მიატოვებს.

შეიქმნება საგანგებო კომისია, რომელიც

ნება. მოვითხოვთ, რომ ყველა კლუბმა ხელშეკრულება გააფორმოს ადგილობრივ სამართალდამცველ ორგანოსთან.

ახალი ჩემპიონატის დაწყებამდე სერიოზულ სამუშაოს გავწევთ, ყველა კლუბს შევამზადებთ ჩვენი მოთხოვნების შესასრულებლად. ექვსი, შვიდი თვის შემდეგ კი, ვისაც სურს ეროვნული ჩემპიონატის პირველ ჯგუფში მონაწილეობა, 200 ათასს იშოვნის. ფედერაცია, როგორც აღვნიშნე ამ ეტაპზე ყველას დაეხმარება, მერე კეთილი ინებონ და მოთხოვნები შეასრულონ. მეორე წრე წინ გვაქვს, მოსამზადებლად, მგონი, საკმარისია.

შეთანხმება უკვე მიღწეულია და კონტრაქტები გაფორმებულია „საქართველოს ავიახაზებთან" და „ერ ჯორჯიასთან". მათი დახმარებით ფედერაციას სოლიდური შეღავათები მიეცემა მგზავრობისას. თითქმის გადაწყვეტილია ისიც, რომ ვითანამშრომლებთ „კოკა-კოლასთან", რიგში „ალდაგი", „მაგთი", „ბორჯომი" დგანან. ალბათ, ყველასთან გამოვნახავთ საერთო ენას. ვინც ჩვენთან ითანამშრომლებს, წაგებული არავინ დარჩება. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასაც შეუძლია, სხვები ახეიროს. ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ მეცენატურ დახმარებას არავის ვთხოვთ, ვინც მოისურვებს სპონსორობას, არ იზარალებს. უცხოეთში სპონსორობაზე ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით — რიგი დგას, ფედერაციებს იქით ეხვეწებიან კონტრაქტების გაფორმებას. ეს ორივე მხარისთვის სასარგებლოა.

უეფაში ვიზიტისას ერიხ ეპლეს საქართველოში ფეხბურთის განვითარებისთვის საჭირო პრიორიტეტულ დარგებზე ვესაუბრე. დოკუმენტურად წარვუდგინე ყველაფერი, რაც ძირითადად ბავშვთა ფეხბურთის დახმარებას ითვალისწინებს. შევხვდი ნორვეგიელ კოლეგა ომდალსაც



ბაჩო კორინთელის ფოტო

პრესკონფერენციისას

გვაქვს, იმის შესაბამისადო. მხოლოდ ჩემპიონი იქნება ჩემპიონთა ლიგაში, თასის მფლობელი და ჩემპიონატის მეორე ადგილოსანი კი უეფას თასზე ითამაშებენ. გარდა ამისა, ჟორდანიამ გვითხრა, რომ საქართველოს ჩემპიონი ყველაზე პრესტიჟულ ევროპული თასისთვის ბრძოლას ტრადიციულად საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყებს, ოღონდ უწინდელისგან განსხვავებით, ჩვენს პირველ გუნდს ლიგაში შეღწევამდე ამჯერად სამი მეტოქის დამარცხება მოუწევს. და კიდევ, თუ აქამდე ჩემპიონთა ლიგის ბიუჯეტი 200 მილიონი შვეიცარიული ფრანკი იყო, მომავალი წლიდან ეს ციფრი 800 მილიონი იქნება.

ახლა მთავარზე. მერაბ ჟორდანიამ თქვა, რომ...

—ფედერაციის ახალი წესდება ფაქტობრივად უკვე შემუშავებულია, რომელსაც ამ დღეებში იუსტიციის სამინისტროს წარვუდგენთ დასამტკიცებლად. მუშაობა ნელ-ნელა დალაგდა. ჩამოვაყალიბეთ 14 კო-

ლიც გუნდებით მუშაობას შეამოწმებს. ვინც 200 ათასის საგარანტიო წერილს არ მოგვიტანს ფედერაციაში, ის გუნდი ჩემპიონატს დაემშვიდობება. მისი ადგილი შესაძლოა ქვემო ჯგუფის რომელიმე კლუბმა დაიკავოს, რა თქმა უნდა, თუ ზემოთქმული თანხის გარანტიას მოგვცემს. გარდა ამისა, თითოეული კლუბი ვალდებული იქნება, საკუთარი ან იჯარით აღებული სათამაშო მინდვრის ირგვლივ სარეკლამო დაფები განათავსოს, რადგანაც სატელევიზიო უფლებები ცენტრალიზებული იქნება და მატჩები ტელევიზიით გადაიცემა. ჩვენს ჩემპიონატს სპონსორები ეყოლება. გუნდი ვალდებული იქნება, არანაკლებ 5 000 ადგილიან სტადიონზე ითამაშოს. მოგვარდება სადაზღვევო საკითხი, რომელზეც ფირმა „ალდაგი" მუშაობს. ცივილიზებული სახით გაფორმდება ფეხბურთელისა და კლუბს შორის კონტრაქტი, რომლის ასლიც გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ფედერაციაშიც იქ-

რომელიც უეფას ვიცე-პრეზიდენტიცაა. ჩვენს საკითხს უახლოეს აღმასკომის სხდომაზე განიხილავენ.

ამჟამად ფეხბურთის ფედერაციის საბანკო ანგარიშის ფაქსიმილე ალექსანდრე ჩივაძეს აქვს. ფედერაციას 280 ათასი ლარი სახელმწიფოსი მართებს, 180 ათასი დოლარი კი შვეიცარიის ბანკისა, რომელსაც ამ წელს ბოლოს გავისტუმრებთ იმ თანხიდან, დახმარების სახით რომ მივიღებთ.

ამ დღეებში მე, ჩივაძე და ჩოლარია შვეიცარიას გავფრინდებით. დაგეგმილი გვაქვს ფირმა „ტელესპორტის" უფროსობასთან შეხვედრა, რომელთანაც ადრინდელ ფედერაციას გრძელვადიანი და არცთუ ხელსაყრელი კონტრაქტი ჰქონდა გაფორმებული. ვეცდებით, ხელშეკრულებაში ახალი, ჩვენთვის მეტად სასარგებლო პუნქტები ჩავაწერინოთ, თუ არადა, საერთოდ გავაუქმოთ. გარდა ამისა, ბანკში ფაქსიმილეს ამბავსაც მოვაწესრიგებთ.

**ჰოგა ინასარიძე**

საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი ნუგზარ ლობჟანიძე სექტემბრიდან მოყოლებული უკლუბოდ იყო. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველი მატჩის წინ ვლადიმერ გუცაევმა იგი ეროვნული ნაკრების შეკრებაზე იხმო. მაშინ ლობჟანიძე ბერძნული „ქსანტის" ღირსებას იცავდა და ალბანელებთან თამაშის შემდეგ დაუყოვნებლივ კლუბს უნდა დაბრუნებოდა. ბერძნებს მისთვის თვითმფრინავის ბილეთიც დაჯავშნული ჰქონდათ, თუმცა მათი ლოდინი ამაო გამო-



ბაჩო კორინთელის ფოტო

სკილეტა ცსკა-ში გადაბარგდა

# ლობჟანიძე ისევ რუსის ჯარშია

დგა, ლობჟანიძე „ქსანტში" აღარ დაბრუნებულა. ბუნებრივია, ეს ყოველივე ბერძნული კლუბის წარმომადგენლებმა სერიოზულ დარღვევად ჩათვალეს და უეფას სადისციპლინო კომიტეტში საჩივარიც შეიტანეს. ბერძნები ფულად კომპენსაციას და ფეხბურთელის დისკვალიფიკაციას ითხოვდნენ. რამდენიმე დღის წინ კი ამ საქმესთან დაკავშირებით უეფამ საბოლოო ვერდიქტი გამოიტანა — ლობჟანიძე დისკვალიფიკაციას გადაურჩა. იმ კლუბს კი, რომელსაც ფეხბურთელი თავის მომავალს დაუკავშირებს, „ქსანტისთვის" კომპენსაციის სახით გარკვეული თანხის გადახდა მოუწევს. ეს, ალბათ, მოსკოვის ცსკა იქნება. როგორც თავად ფეხბურთელმა განაცხადა, პრაქტიკულად გადაწყვეტილია მისი დაბრუნება რუსეთის ვიცე-ჩემპიონ გუნდში. არმიელთა რიგებში ლობჟანიძე შარშანაც გამოდიოდა, მაგრამ კლუბის დატოვება მოუხდა და გასული სეზონიც თბილისის „დინამოში" ჩაამთავრა.

**პაატა ძვანტალიანი**

# ჯამარაული დინამოს შემარცხვენელს მოეწონა

გუშინ გაგვიმართლა. აქამდე მოუხელთებელი ესპანური „სევილიას" ტექნიკური დირექტორი ვისენტე მიერა სამუშაო ადგილზე შევისწარით. ესპანელს თავიდან კი გაუკვირდა, საქართველოდან რომ ვაწუხებდით, ისიც გვითხრა, ქართულ ფეხბურთზე წარმოდგენა არ მაქვს, მხოლოდ ბასკებთან თქვენებურების თამაშის შემდეგ გავიგე, როგორ ფეხბურთს თამაშობთო, მაგრამ უმალ გაახსენდა, რომ მისი კლუბი ქართველი ფეხბურთელითაა დაინტერესებული და ეს გვითხრა:

— მენეჯერმა ვიდეოფირები ჩამოგვიტანა, რომელზეც გოჩა ჯამარაულის თამაშია აღბეჭდილი. სიმართლეს გეტყვით. არ გადავაჭარბებ მწვრთნელი სანტოსი და ყველა, ვინც იმ დროს ტელევიზორს უყურებდა, კმაყოფილი დარჩა, მათ შორის მეც. დიდი სურვილი გვაქვს, თქვენებური გადმოვიბიროთ, ალბათ, კონტრაქტსაც მალევე გავაფორმებთ. თუმცა ჩემს სიტყვებს საბოლოოდ ნუ ჩათვლით, ჯერ მხოლოდ სურვილი გვაქვს, დანარჩენს კი ერთ კვირაში გეტყვით. მწვრთნელმა კიდევ უნდა მოიფიქროს. აქამდე ბევრ ფეხბურთელში შევმცდარვართ. იმედია, თუ ჯამარაულს



ბაჩო კორინთელის ფოტო

ჯამარაულის ბედი ამ კაცის ხელშია

გადმოვიბირებთ, საქმე გაგვიუმჯობესდება. ჩვენი მიზანი ხომ პრიმერა დივიზიონში დაბრუნებაა.

ერთი სიტყვით, გოჩა ჯამარაულის ესპანეთში გადასვლის ამბავი რამდენიმე დღეში გაირკვევა. ჩვენ კი ვეცდებით, მანამდე ფერნანდო კასტრო სანტოსსაც ვესაუბროთ, მითუმეტეს, რომ მან ქართულ ფეხბურთზე „სევილიის" დირექტორზე მეტი იცის: „ბრაგამ" ჩვენი „დინამო" რომ შეარცხვინა, სანტოსი პორტუგალიურ კლუბს თავკაცობდა.

**ჰოგა ინასარიძე**


Ayety TV

მრავალარხიანი საკაბელო ტელევიზია

პირველი სთავაზობს თბილისის მოსახლეობას საახალწლო საჩუქარს

პირველ 500 მსურველს ვთავაზობთ მონტაჟისა და 2 თვის სააბონენტო გადასახადის წინასაახალწლო ტარიფებს

უნივერსალური პაკეტი - 50 ლარი - 76-ის ნაცვლად (12 არხი)
სტანდარტული პაკეტი - 65 ლარი - 90-ის ნაცვლად (14 არხი)
პრემიალური პაკეტი - 70 ლარი - 106-ის ნაცვლად (20 არხი)
ელიტარული პაკეტი - 75 ლარი - 120-ის ნაცვლად (22 არხი)

გაუკეთეთ თქვენს ოჯახს საახალწლო საჩუქარი ამ ფასად

93 47 33 ☎ 92 12 66

# ასე წავიდა შეფერი

ვინფრედ შეფერი ხუთი თვის განმავლობაში წვრთნიდა გერმანული ბუნდესლიგის გუნდს, „შტუტგარტს".

„ძველებურად გაგრძელება შეუძლებელი იყო. ჩვენ რადიკალური ცვლილების აუცილებლობის წინაშე დავდექით" — განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა გერჰარდ მაიერ-ვორფელდერმა.

„შტუტგარტს", თასების თასის ბოლო გათამაშების ფინალისტს, ეროვნული ჩემპიონატის ექვს შეხვედრაში ველარ მოიგო და ბოლო ტურის წინ, სამწუხარო მეათე ადგილზე იყო.

გასული კვირას თასის მეოთხედფინალში მან მიუნხენის „ბაიერნთან" 0:3 წააგო.

შეფერის თანამდებობიდან განთავისუფლების შემდეგ, მე-16 ტურში, გუნდმა ნავსი გატეხა, შინ, „ჰამბურგს" 3:1 მოუგო და ცხრილში მეცხრე ადგილზე აინაცვლა.

ვინფრედ შეფერი ივნისში ჩაუდგა „შტუტგარტს" სათავეში. კლუბმა 2000 წლის ივნისამდე გაუფორმა კონტრაქტი. შემდეგ კი ყველაფერი აირია, ფეხბურთელებმა, ყველაზე მეტად კი ფრედი ბობიჩმა, მის წინააღმდეგ დიდი კამპანია წამოიწყეს.

გასულ კვირაში გაზეთმა „ბილდმა" გამოაქვეყნა ფოტო, რომელზეც აღბეჭდილნი არიან „შტუტგარტის" მოთამაშეები, ოცდახუთივე კაცი, შეფერის წინააღმდეგ რომ აძლევენ ხმას.

„მწვრთნელის ბედი გუნდში შექმნილმა ვითარებამ განაპირობა" — დასძინა მაიერ-ვორფელდერმა.

ამ სეზონში, ბუნდესლიგაში უკვე ხუთმა მწვრთნელმა დატოვა თანამდებობა. მათგან, წინა კვირაში, ორი დარჩა უმუშევრად, „ნიურნბერგის" თავკაცი ვილი რაიმანი და შეფერი.



ვინფრედ შეფერი

ზემოთ „ბაიერნთან" სათასო შეხვედრა გახსენეთ. ამ მატჩში შეფერმა ბობიჩი სათადარიგოთა სკამზე დასვა, ბულგარელი გამთამაშებელი კრასიმირ ბალაკოვი კი განაცხადში საერთოდ არ შეიყვანა.

„ვნებდები, მუშაობის გაგრძელებას აზრი აღარ აქვს" — უთხრა გადამდგარმა მწვრთნელმა გაზეთ „ექსპრესის" კორესპონდენტს — „ისეთი განწყობილებით, „ბაიერნთან" თამაშის დროს რომ მქონდა, ველარაფერს გავაკეთებ."

„შტუტგარტი" გერმანიის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი გახლავთ, რომელმაც 1992 წელს ქვეყნის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, 1997 წელს კი თასი მოიგო, მაგრამ რაც თანამდებობიდან წინა მწვრთნელი ლიოვი გაუშვა, ხოლო შეფერი გავარდნილი „კარლსრუედან" გადაიყვანა, თავდაღმა დაეშვა.

ჯერჯერობით „შტუტგარტს" შეფერის აწ უკვე ყოფილი ასისტენტი ვოლფგანგ როლფი ხელმძღვანელობს.

შეფერის სავარაუდო შემცვლელებად მეორე ბუნდესლიგის გუნდის „ულმის" თავკაცს რალფ რანგინკსა და ჰოლანდიელ არი ჰაანს ასახელებენ. ჰაანი „შტუტგარტს" 1984-1990 წლებში წვრთნიდა.

# შენ დაშკარ!

არიელ ორტეგა, არგენტინელი ვარსკვლავი, იტალიაში, გენუის „სამპდორიაში" თამაშობს და ... სვამს. ის და მისი თანაკლუბელი, ფერდინანდო კორდობა კვირა საღამოს გვარიანად გამომთვრალან და მანქანა გიჟური სისწრაფით უტარებიათ. ეს ცნობა გენუის პოლიციამ გაავრცელა და დასძინა, რომ ამიერიდან ფეხბურთელებს საქმე სასამართლოსთან ექნებათ.

მარტო სიმთვრალეს ვინ ჩივის, როდესაც გააჩერეს, მეგობრებს წესრიგის დამცველთათვის გინებაც აუტეხიათ.

ყველაზე საინტერესო კი ის გახლავთ, რომ მთვრალ ორტეგას, რომელიც საჭესთან იჯდა, მაინცდამაინც პოლიციის შენობასთან მონდომებია ბორბლების ღრჭიალი.



# სასაცილო მკვლელობის პუშკავი

შარდის დამალვა დიდი ხელოვნება ყოფილა. „კორიერე დელა სერას", გამოცდილება ყოფილმა ფეხბურთელმა, კარლო პეტრინიმ გაუზიარა.

პეტრინის საგაზეთო აღსარება იტალიურ ფეხბურთში მიმდინარე დოპინგ სკანდალის გამოხმაურება გახლდათ. რესპონდენტმა გაიხსენა „ჯენოაში" გატარებული დღეები, როდესაც მას და მის თანაგუნდელებს კლუბის ხელმძღვანელობა სტიმულატორების მიღებას ავალებდა.

„ჯენოას", „მილანის", „რომასა" და „ვარეზას" ყოფილმა მოთამაშემ საქვეყნოდ გაიხსენა, როგორ ატყუებდნენ ფეხბურთელები ანტისადოპინგო ლაბორატორიის ექსპერტებს.

„ჩვენ ორმაგ-ჯიბიანი სამ-სამი ხალათი გვქონდა. ეს საშუალებას იძლეოდა, ტესტისთვის შერჩეულ მოთამაშეს ის კოლბა, რომელშიც მისი შარდი იყო, დაემალა და ჯიბიდან ამოეღო სხვა სათადარიგო ფეხბურთელის შარდით სავსე ჭურჭელი. ამრიგად ლაბორატორია აანალიზებდა შარდს, რომელშიც აკრძალული პრეპარატის კვალს ვერაფრით იპოვნიდა" — ასეთია ციტატა პეტრინის ინტერვიუდან.



კრისტიან ვიერი შიგადაშიგ კრეატინს სვამდა

ამასობაში კი ტურინში, დაკითხვაზე გამოიძახეს „იუვენტუსის" ყოფილი ფეხბურთელი, დღეს რომის „ლაციოს" წევრი, იტალიის ნაკრების თავდამსხმელი კრისტიან ვიერი.

ვიერიმ გამომძიებლებს განუცხადა, რომ აკრძალული წამლების სმა მას არ სჩვევია, თუმცა დასძინა, რომ „იუვენტუსში" თამაშის დროს, იშვიათად, კრეატინს ყლაპავდა.

გასულ ზაფხულს აგორებული, ერთი შეხედვით პირწმინდად საფეხბურთო სკანდალი საბოლოოდ ნამდვილ მაფიოზურ ისტორიის დაემსგავსა. „რომას" ჩეხმა მწვრთნელმა ზდენეკ ზემანმა საგაზეთო ინტერვიუში დოპინგი პირველად რომ ახსენა, არც კი იცოდა, რომ მის სიტყვებს სერიოზული გამოძიება და საშინელ ამბავთა ამოქექვა მოჰყვებოდა.

აქ სიტყვა საშინელი შემთხვევით არ გვიხსენებია. არც შარდის დამალვის თითქოსდა სასაცილო ისტორიას ვგულისხმობთ. გამოძიებამ 45 ადამიანის სიკვდილს მიაკვლია და ახლა მიზეზებს ადგენს.

დიახ, ტურინელი პროკურორი, რაფაელე გარინელო კვალმა ხალხიმ სიკვდილთან მიიყვანა. არ არის გამორიცხული, რომ საქმე მკვლელობასთან, ნელ, ცინიკურ მკვლელობასთან გვაქვს.

გარინელომ შეიტყო, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში იტალიაში 45 ყოფილი ფეხბურთელი გარდაიცვალა. საუბარია 1950-1960-იან წლებში დაბადებულ იმ ფეხბურთელებზე, რომლებიც სერია A, B, და C-ს გუნდებში თამაშობდნენ. ამ ფეხბურთელთა თაობას მოუწია მოედანზე დოპინგის დანერგვის ეპოქაში ყოფნა. ეს ის თაობაა, რომელიც შარდს მალავდა და რომლის 45 წარმომადგენელი, გარინელოს ეჭვით, სწორედ დოპინგის რეგულარულმა სმამ მოწამლა.

მიხეილ სურგულაძე

## საბერძნეთი

მე-12 ტური. პანათინაიკოსი — ოლიმპიაკოსი 2:4, ვერია — პაოკი 1:2, კავალა — აეკი 2:1, ირაკლისი — პანიონისი 2:0, პანილიაკოსი — პრუდეფტიკი 1:2, ეთნიკოსი (პირეოსი) — ქსანტი 1:1, ოფი — ეთნიკოსი (ასტირი) 1:1, აპოლონი — არისი 1:3, პანელეფსინიაკოსი — იონიკოსი წუხელ გვიან გაიმართა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 12 | 9 | 1 | 2 | 33:10 | 28 |
| აეკი | 12 | 8 | 2 | 2 | 26:10 | 26 |
| პანათინაიკოსი | 12 | 8 | 1 | 3 | 24:16 | 25 |
| ქსანტი | 12 | 7 | 3 | 2 | 15:9 | 24 |
| პაოკი | 12 | 7 | 2 | 3 | 19:14 | 20 |
| ოფი | 12 | 6 | 2 | 4 | 16:12 | 20 |
| არისი | 12 | 6 | 2 | 4 | 17:18 | 20 |
| ირაკლისი | 12 | 5 | 3 | 4 | 21 3 | 18 |
| ეთნიკოსი (ა) | 12 | 5 | 2 | 5 | 20:19 | 17 |
| იონიკოსი | 11 | 5 | 1 | 5 | 21:15 | 16 |
| პანიონისი | 12 | 5 | 1 | 6 | 27:19 | 16 |
| პანილიაკოსი | 12 | 5 | 1 | 6 | 17:20 | 16 |
| კავალა | 12 | 4 | 3 | 5 | 22:29 | 15 |
| პანელეფსინ. | 11 | 2 | 4 | 5 | 8:15 | 10 |
| პრუდეფტიკი | 12 | 2 | 3 | 7 | 12:21 | 9 |
| ვერია | 12 | 1 | 4 | 7 | 5:18 | 7 |
| აპოლონი | 12 | 1 | 3 | 8 | 14:34 | 6 |
| ეთნიკოსი (პ) | 12 | 0 | 4 | 8 | 3:27 | 4 |


სარბიელი
სამუშაოდ იწვევს
სპორტისა და ინგლისური ენის მცოდნე ქალებსა და ვაჟებს
დაგვირეკეთ: 39 48 29; 38 11 14 ან გვესტუმრეთ დედაქალაქში: ალექსანდრე ყაზბეგის 42, II კორპუსი, IV სართული

ქირავდება
1-ოთახიანი
კეთილმოწყობილი
ბინა
ქავთარაძის ქუჩაზე
☎ 93 15 72


აზიის ფეხბურთის კონფედერაციამ 15 დეკემბერს საგანგებო სხდომა დანიშნა. აზიელთა შეშფოთება განაპირობა ფიფას აღმასრულებელი კომიტეტის მიერ გასულ პარასკევს მიღებულმა გადაწყვეტილებამ 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესახებ. საქმე ის გახლავთ, რომ, ვინაიდან 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი აზიაში, კერძოდ იაპონიასა და კორეაში უნდა გაიმართოს, ამ ორი ქვეყნის ნაკრებს, ბუნებრივია, ავტომატურად აქვს შეჯიბრებაში ადგილი დაჯავშნული. მათ გარდა კონფედერაციაში გაწევრიანებული 43 ქვეყანა, რომელთათვისაც ფიფამ ორად ორი ადგილი გამოყო. მოსალოდნელია, რომ აზიელთა 15 დეკემბრის თავყრილობაზე დაგმობენ მსოფლიო ფეხბურთის შეფთა გადაწყვეტილებას და მათზე ზეწოლის მეთოდებზეც მოილაპარაკებენ. საგულისხმოა, რომ ამ დღეებში ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი, კორეასა და იაპონიაში ვიზიტის შემდეგ ტაილანდში უნდა ჩასულიყო, მაგრამ ბოლოწამს ავადმყოფობის მიზეზით ჩაშალა მოგზაურობა. შეგახსენებთ, ომ საფრანგეთის მსოფლიო ჩემპიონატზე აზიას ოთხი გუნდი წარმოადგენდა. მათგან ერთი, ირანი, შეჯიბრებაზე გადათამაშებაში ავსტრალიასთან (ოკეანიის გუნდთან) გამარჯვების შედეგად მოხვდა.

შოტლანდიურ ფეხბურთში რთული მდგომარეობაა. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის 10 უძლიერესი კლუბი იქაური პრემიერლიგის წყალობით გამდიდრდა, არც მაყურებლის რაოდენობას უჩივის და არც სატელევიზიო თუ სხვა შემოსავლებს, პირველი დივიზიონის გუნდები გაკოტრების პირას არიან მისულნი. შოტლანდიური ფეხბურთის მმართველებს კარგად ესმით, რომ ასეთი პირობები სპორტის ამ სახეობის შემდგომი განვითარებისთვის ძალიან სახიფათოა და გამოსავალს ეძიებენ. ქვეყნის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის განცხადებით აუცილებელია პრემიერლიგაში გუნდების რაოდენობა 10-დან 16-მდე გაზარდონ. პირველ დივიზიონში შოტლანდიელებს 10 გუნდი ჰყავთ და ყოველი მათგანი სტადიონის განახლება-აშენებისა და ფეხბურთელთა დიდი ჯგუფის დაქირავების გამო უდიდეს ფინანსურ კრიზისს განიცდის.

## ფეხბურთის რუკასთან



ფრანგული „პარი სენ ჟერმენის" პორტუგალიელმა მწვრთნელმა არტურ ჟორჟემ თანამემამულე ფეხბურთელი ჰელდერ ბატისტა გადაიბირა. პარიზელთა გუნდში ოქტომბერში მისული ჟორჟესთვის ჰელდერ ბატისტა პირველი შენაძენია. ჰელდერი 26 წლის მცველ-ნახევარმცველი გახლავთ. მის სანაცვლოდ „ბოავიშტამ" პსჟ-სგან 11 მილიონი ფრანკი (1,8 მილიონი დოლარი) მიიღო.

ჰოლანდიის პირველი დივიზიონის გუნდმა, როტერდამის „სპარტამ" თანამდებობიდან გაანთავისუფლა მწვრთნელი ჰანს ვან დერ ზეე. მიზეზი ცუდი შედეგები გახლდათ. „სპარტა" ის გუნდია, რომელსაც ისტორიის მანძილზე არასდროს დაუტოვებია ქვეყნის პირველი დივიზიონი და ახლა, ბოლო შვიდ შეხვედრაში მისი მონაგარი მხოლოდ 2 ქულა გახლავთ. როტერდამელთა ეს გუნდი სადღეისოდ, ცხრილში მხოლოდ ორს უსწრებს — მე-16 ადგილზეა. ვან დერ ზეეს წასვლის მერე მის ჰაპანს ასისტენტები, ადრი ვან ტიგელენი და დოლფ როკსი გასწევენ, თუმცა მთავარი მწვრთნელის თანამდებობაზე რომელიმე მათგანის დანიშვნა გამორიცხულია. საქმე ის გახლავთ, რომ ჰოლანდიურ გუნდებში მთავარ მწვრთნელად ნებისმიერი ადამიანი ვერ იმუშავებს. მას შესაბამისი სერტიფიკატი უნდა ჰქონდეს.

უელსელი თავდამსხმელი დინ სონდერსი ინგლისური „შეფილდ იუნაიტედიდან" პორტუგალიურ „ბენფიკაში" გადავიდა. „კლუბებს შორის მოლაპარაკებანი შაბათს, ფინანსური საკითხების გარკვევით დასრულდა. მოთამაშე ორშაბათს დილით გაემგზავრა ლისაბონს რათა კონტრაქტს ხელი მოაწეროს და სამედიცინო შემოწმებაც გაიაროს" — ეწერა „შეფილდ იუნაიტედის" განცხადებაში. 34 წლის სონდერსში „ბენფიკამ" 828 200 დოლარი გადაიხადა. თავდამსხმელისთვის ლისაბონის კლუბი კარიერაში მეთერთმეტე იქნება. მის წინა კლუბთა შორის საგანგებოდ აღსანიშნავი „ლივერპული" და თურქული „გალათასარაი" გახლავთ. სონდერსს უელსის ეროვნულ გუნდში 63 შეხვედრა აქვს ჩატარებული (აქედან ორი საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ თბილისსა და კარდიფში). „ბენფიკა" ბოლო წლებში მატერიალურ კრიზისში იყო და შესაბამისად ვარსკვლავებსაც ნაკლებად ყიდულობდა. მისი ყველაზე თვალსაჩინო შენაძენი გახლდათ ჩეხი კარელ პობორსკი, რომელიც ლისაბონელებმა „მანჩესტერ იუნაიტედისგან" ერთი წლის წინ 3,3 მილიონ დოლარად იყიდეს.

ესპანეთის სამეფო გუნდად წოდებული მადრიდის „რეალის" პრეზიდენტმა ლორენსო სანსმა განაცხადა, რომ წლის ბოლომდე ახალი მოთამაშეების ყიდვაში ფულს აღარ დახარჯავს. 1998 წლის ჩემპიონთა და საკონტინენტთაშორისო თასების მფლობელი დღეისათვის ეროვნულ ჩემპიონატში მეშვიდე ადგილზეა. ბოლოხანს ამბობდნენ, რომ „რეალი" ლივერპულელი ვარსკვლავის სტივ მაკმანამანისა და „ესპანიოლის" ნახევარმცველის ივან ელგერას ყიდვას აპირებდა, მაგრამ გაზეთ „მარკასთვის" მიცემულ ინტერვიუში სანსმა თქვა: „დეკემბერში ახალ ფეხბურთელს აღარ ვიყიდი. ის გუნდი, რომელიც დღეს გვყავს, საკმაოდ ძლიერია, რათა თავად გაიმარჯვოს უდიდეს შეჯიბრებებში".

დანიის ნაკრების მცველმა ოლე ტობიასენმა მარცხენა მუხლზე მეორე ოპერაცია გაიკეთა და კარგა ხანს ველარ ითამაშებს. „ტობიასენის სრულ გამოჯანმრთელებას გვარიანი დრო დასჭირდება. დღეს, ზუსტად თქმა იმისა თუ როდის დაუბრუნდება იგი მინდორს, შეუძლებელია" — ეწერა დანიელი ფეხბურთელის კლუბის, ამსტერდამის „აიაქსის" განცხადებაში. ტობიასენი მუხლის ტკივილმა გასულ სეზონშიც ძალიან გააწამა.

ინგლისელი დევიდ ბეტი ახლოსაა „ნიუკასლ იუნაიტედიდან" ძველ კლუბში, „ლიდს იუნაიტედში" დაბრუნებასთან. აგერ უკვე ორი კვირაა ბეტის თაობაზე ხსენებულ კლუბებს შორის ვაჭრობა მიმდინარეობს. როგორც ირკვევა ნიუკასლელებმა საბოლოოდ მაინც აიძულეს „ლიდსი" ფეხბურთელის სანაცვლოდ 4,8 მილიონი გირვანქა ანუ 7,9 მილიონი დოლარი გადაიხადოს. ბეტიმ „ნიუკასლის" შემადგენლობაში ბოლო ორი შეხვედრა ჩაატარა, რადგან გუნდის მწვრთნელმა, ჰოლანდიელმა რუუდ გულიტმა იწყინა მისი მოთხოვნა წასვლის შესახებ. 29 წლის მოთამაშის ტრანსფერთან დაკავშირებით ჯერ კიდევ დარჩა მოსაგვარებელი რამდენიმე წვრილმანი. გასავლელია სამედიცინო შემოწმებაც. ბეტი „ლიდს იუნაიტედის" შემადგენლობაში 1992 წელს ინგლისის ჩემპიონი გახდა, საიდანაც ჯერ „ბლექბერნს" მიაშურა, ხოლო შემდეგ, 1996 წელს, 6,2 მილიონი დოლარის სანაცვლოდ „ნიუკასლში" გაუშვეს.

ჰოლანდიურმა „აიაქსმა" განაცხადა, რომ ბოლო დროს კრიტიკის ობიექტად ქცეულ მწვრთნელს, დანიელ მორტენ ოლსენს არსად უშვებს. „ოლსენი მიმდინარე სეზონს უეჭველად ჩვენს გუნდში ჩაამთავრებს" — განაცხადა კლუბის პრეზიდენტმა მიხაელ ვან პრააგმა. ამსტერდამში უკვე ხშირად ლაპარაკობენ დიდების დროინდელი თავკაცის, დღეს „ბარსელონაში" მომუშავე ლუის ვან გაალის დაბრუნების შესახებ. გულშემატკივრები ოლსენს აქამდე მხარს უჭერდნენ, თუმცა გადადგომას და სათადარიგო გუნდის ხელმძღვანელისთვის, იან ვაუტერსისთვის ადგილის დათმობასაც თხოვდნენ.

ინგლისში საბოლოოდ გადაწყდა, რომ „უემბლის" ცნობილი სტადიონის რეკონსტრუქცია, მის ორ კოშკს იმსხვერპლებს. „ბევრის საყვარელი კოშკები აუცილებლად უნდა დავანგრიოთ, რადგან პროექტი სტადიონის გაფართოვებას გულისხმობს, თუმცა ვიმედოვნებ, რომ ზუსტად ასეთსავე კოშკებს მაინც ააგებენ" — განაცხადა „უემბლის" თავმჯდომარის მოადგილემ ჯერვის ესტაირმა.

პოლონელი თავდამსხმელი პიოტრ რეისი პოზნანის „ლეხიდან" გერმანულ „ჰერტაში" გადავიდა. ბუნდესლიგის კლუბმა განაცხადა, რომ რეისის კონტრაქტი 2002 წლამდე იმოქმედებს, „თუმცა" ლეხისთვის გადახდილი თანხის შესახებ არაფერი უთქვამს.

*ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გადის რვა კლუბი — ექვსი ჯგუფის გამარჯვებული და მეორე ადგილზე გასულთა შორის ორი საუკეთესო. „პორტუ“, „ბილბაო“, „შტურმი“, „ბარსელონა“, „ბრონდბიუ“, „არსენალი“ და ჰიკი ჩემპიონთა თასისთვის ბრძოლას, რომლის ფინალიც 26 მაისს ბარსელონაში გაიმართება, უკვე გამოეთიშნენ, იმის მიუხედავად, თუ როგორ ითამაშებენ ბოლო ტურში. „კაიზერსლაუტერნი“, ჰიკ-თან რომც დამარცხდეს, როგორც F ჯგუფის გამარჯვებული, უკვე მეოთხედფინალშია. ჯგუფიდან გასვლის შანსს ბევრი ინარჩუნებს, მაგრამ მეოთხედფინალში მხოლოდ შვიდისთვისღაა ადგილი*

# რომელი გზა

## A ჯგუფი

მეექვსე ტურის წინ „კროაცია“, ბურთების უარყოფითი ბალანსის მიუხედავად, მეორეა, რადგან „აიაქსთან“ პირად შეხვედრებში აქვს უპირატესობა (0:0 და 1:0).

„ოლიმპიაკოსი“ იმ შემთხვევაში მოიგებს A ჯგუფს, თუ ბოლო ტურში არ დამარცხდება „კროაციასთან“. მოგება და ფრე ბერძნებს ხელს აძლევს.

„კროაცია“ იმ შემთხვევაში გავა პირველ ადგილზე, თუ „ოლიმპიაკოსს“ სამი და მეტი ბურთის სხვაობით დაამარცხებს. ბოლო ტურის წინ „ოლიმპიაკოსს“ „კროაციასთან“ შედარებით ბურთების უკეთესი სხვაობა აქვს, ამასთან ერთად ბერძნების და ხორვატების პირველ შეხვედრაში „ოლიმპიაკოსმა“ 2:0 მოიგო.

„კროაციას“ დახმარება შეუძლია „აიაქსს“. თუ „კროაციამ“ დაამარცხა „ოლიმპიაკოსი“, ხოლო ჰოლანდიელებმა „პორტუს“ სძლიეს, მაშინ სამივე კლუბს ქულათა თანაბარი რაოდენობა — 10 დაუგროვდება. ამ შემთხვევაში პირველ რიგში მხედველობაში მიიღება არა ბურთების სხვაობა, არამედ პირად შეხვედრებში მოპოვებულ ქულათა რაოდენობა.

„აიაქსი“ მეოთხედფინალში იმ შემთხვევაში გავა, თუ მეორეადგილოსანთა შორის საუკეთესო მაჩვენებელი ექნება.

### კროაცია — ოლიმპიაკოსი

ხორვატიის ჩემპიონი „ოლიმპიაკოსს“ თოვლიანი სტადიონით, გიჟმაჟი გულშემატკივრებითა და საბრძოლო შემადგენლობით დაუხვდება. სრულიად გამოჯანმრთელდნენ ახალგაზრდა, ნიჭიერი თავდამსხმელები იოსიპ სიმიჩი და მიკაელ მიკიჩი, რომლებიც „კროაციის“ მთავარ დამრტყმელ ძალას წარმოადგენენ.

ტრავმებს არც ბერძნები უჩივიან, ოღონდ ეგ არის, დისკვალიფიკაციის გამო ორი წამყვანი ფეხბურთელი — პარასკევას ანცასი და ვასილიოს კარაპიალისი გამოაკლდებათ.

მსაჯი: რუნე პედერსენი (ნორვეგია)

*კროაცია. დისკვალიფიკაცია: დამირ კრჟნარი (ერთმატჩიანი)*
*გაფრთხილება: გორან იურიჩი, სილვიო მარიჩი, მარიო ტოკიჩი, დარიო სიმიჩი, იოსკო იელიჩიჩი, მიკაელ მიკიჩი.*
*ოლიმპიაკოსი. დისკვალიფიკაცია: პარასკევას ანცასი (ერთმატჩიანი), ვასილიოს კარაპიალისი (ერთმატჩიანი)*
*გაფრთხილება: ლუსიანუ ნუნეშ დე სოუზა, დიმიტრიოს მავროგენიდისი, პეტროს პასალისი, ალექსიოს ალექსანდრისი, გრიგორიოს გეორგატოსი, სტილიანოს იანაკოპულოსი, სინიშა გოგიჩი, კირიაკოს კარატაიდისი, პრედრაგ ჯორჯევიჩი*

### პორტუ — აიაქსი

პორტუგალიელებს პრობლემები საკმაოდ დაუგროვდათ. გარდა იმისა, რომ მათ დღეს დისკვალიფიკაციის გამო კაპუჩო, მენდესი და სეკრეტარიუ არ ეყოლებათ, საეჭვოა გუნდის ერთ-ერთი ლიდერის, ბრაზილიელი ბომბარდირის მარიო ჟარდელის თამაშიც, რომელსაც მხარი აქვს დაშავებული. თუმცა ამ პრობლემებს სიმწვავეს ის უკარგავს, რომ „პორტუს“ ჯგუფიდან გასვლის არანაირი შანსი აღარ აქვს.

უჭირს ამსტერდამულ კლუბსაც. ტრავმირებულნი არიან შოთა არველაძე, იარი ლიტმანენი, ოლე ტობიასენი და ვეტერანი კაპიტანი დენი ბლინდი. ძირითადი შემადგენლობის კიდევ ერთი ფეხბურთელი რიხარდ ვიჩხე დისკვალიფიცირებულია და დღეს თავისიანებს ვერც ის დაეხმარება.

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)

*პორტუ. დისკვალიფიკაცია: კაპუჩო (ერთმატჩიანი), ფერნანდო მენდესი (ერთმატჩიანი), კარლოს სეკრეტარიუ (ერთმატჩიანი)*
*გაფრთხილება: ალვეშ ალოიზიო, ზლატკო ზაჰოვიჩი, ჟუნიორ დორივა*
*აიაქსი. დისკვალიფიკაცია: რიხარდ ვიჩხე (ერთმატჩიანი)*
*გაფრთხილება: რონალდ დე ბური, დანი, ოლე ტობიასენი, ანჯეი რუდი, ვამბერტო*

## B ჯგუფი

„რუსენბორგი“ იმ შემთხვევაში მოიგებს B ჯგუფს, თუ ტურინში გაიმარჯვებს, „გალათასარაი“ კი „ბილბაოს“ ვერ დაამარცხებს.

„გალათასარაი“ პირველ ადგილზე გავა, თუ „იუვენტუსი“ „რუსენბორგს“ დაამარცხებს, თავად კი ბილბაოში არ წააგებს.

„იუვენტუსი“ იმ შემთხვევაში მოიგებს B ჯგუფს, თუ შინ დაამარცხებს „რუსენბორგს“, ხოლო „გალათასარაი“ ბილბაოში აუცილებლად წააგებს. ამ შემთხვევაში სამივე კლუბი აგროვებს რვა ქულას და ამოქმედდება ურთიერთშეხვედრებში დაგროვილი ქულების პრინციპი. ზემოხსენებულ შემთხვევაში „იუვენტუსი“ აგროვებს ექვს ქულას („გალათასარაისთან“ ორი ფრე, „რუსენბორგთან“ მოგება და ფრე), „გალათასარაი“ ხუთ ქულას (ორი ფრე „იუვენტუსთან“, წაგება და მოგება „რუსენბორგთან“), „რუსენბორგი“ კი ოთხ ქულას (წაგება და ფრე „იუვენტუსთან“, წაგება და მოგება „გალათასარაისთან“). შესაბამისად, ბურთების სხვაობის მიუხედავად, „იუვენტუსი“ იგებს ჯგუფს და გადის მეოთხედფინალში.

### ბილბაო — გალათასარაი

„ატლეტიკის“ ერთ-ერთი ლიდერი, ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველი იულენ გერერო პრიმერა დივიზიონის ბოლო ორ ტურში სათადარიგოთა შორის იყო გამწესებული და მისი თამაში დღესაც სათუოა. ორმატჩიანი დისკვალიფიკაციის მეორე მატჩი უწევს მცველ ლაკრუზს, დანარჩენები კი მწყობრში არიან.

„გალათასარაის“ დღეს ორი ჰაქანი გამოაკლდება — თურქთა შეტევების დამაგვირგვინებელი, „დიდი“ ჰაქან შუქური და მცველი, „პატარა“ ჰაქან უნსალი. ორივე უეფას სადისციპლინო კომიტეტის მიერ არის დასჯილი. ასე რომ, „გალათასარაის“, რომელსაც შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის მხოლოდ ერთ შემთხვევაში აძლევს ხელს ფრე (თუ ტურინშიც ფრე დაფიქსირდა), ისე კი აუცილებლად უნდა მოიგოს, დღეს ძალიან რთული მატჩი ელის ჯიგრით მოთამაშე ბასკებთან.

მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

*ბილბაო. დისკვალიფიკაცია: ხოსე მარია ლაკრუზი (ორმატჩიანის მეორე შეხვედრა)*
*გაფრთხილება: ფრანსისკო ფერეირა, სანტიაგო ესკუერო, ანდონი იმასი, ისმაელ ურსაისი, ხოსუ ურუტია, იულენ გერერო, ხოსება ეჩებერია, მიკელ ლასა, ფელიპე ალდანალდო*
*გალათასარაი. დისკვალიფიკაცია: ჰაქან შუქური (ერთმატჩიანი), ჰაქან უნსალი (ერთმატჩიანი)*
*გაფრთხილება: ემრე ბელოზოღლუ, გოქან ჰასან სასი, ოქან ბურუქი, გეორგ ჰაჯი, დავალა უმიტი, არიფ ერდემი, იულიან ფილიპესკუ, თოლუნაი ქაფქასი*



ინტერი — რეალი. ფერნანდო სანსის და რონალდოს საჰაერო დუელი

### იუვენტუსი — რუსენბორგი

იტალიის ჩემპიონი საშინელ ფორმაშია, სერია A-შიც თამაშს თამაშზე აგებს და ჩემპიონთა ლიგაშიც არ გაუხარია გამარჯვებით. ყველაზე დიდი თავსატეხი ალესანდრო დელ პიეროს არყოფნაა, რომელიც სულ ცოტა აპრილამდე ვეღარ ითამაშებს. სავსებით შესაძლებელია, დღეს „დელე ალპიზე“ გამოცდილი ჩირო ფერარაც ვერ ვიხილოთ — მას ტრავმა აწუხებს. სავარაუდოა, „იუვენტუსის“ ნახევარდაცვის ხაზი სამი კვირის უთამაშებელმა ჰოლანდიელმა ედგარ დავიდსმა გააძლიეროს. გამოჯანმრთელდა იტალიელთა კარის დარაჯი ანჯელო პერუცი, ვინც ტრავმის გამო ჯერ ჩემპიონთა ლიგის წინა ტურში გამოაკლდა თანაგუნდელებს „გალათასარაისთან“ შეხვედრის მსვლელობისას, შემდეგ კი „ლაციოსთან“ 0:1 წაგებული მატჩიც გამოტოვა. გარდა ამისა, მცირე ტრავმები და სათამაშო პრაქტიკის არქონა აწუხებთ ნიკოლა ამორუზოს და ურუგვაელ ფორვარდ დანიელ ფონსეკას.

ნორვეგიელებს ერთი პრობლემა აქვთ — დისკვალიფიცირებულია ბენტ სკამელსრუდი. სხვა მხრივ „რუსენბორგში“ ყველაფერი რიგზეა. გუნდს ტრავმების შემდეგ დაუბრუნდა ორი წამყვანი ფეხბურთელი — ანდრე ბერგდოლმო და მორტენ პედერსენი.

მსაჯი: მარიო ვან დერ ენდე (ჰოლანდია)

*იუვენტუსი. დისკვალიფიკაცია: ალესიო ტაკინარდი (ერთმატჩიანი)*
*გაფრთხილება: ედგარ დავიდსი, დიდიე დეშამპი, დანიელ ფონსეკა, ალესანდრო ბირინდელი, ზორან მირკოვიჩი, ფილიპო ინძაგი, ანტონიო კონტე, პაოლო მონტერო*
*რუსენბორგი. დისკვალიფიკაცია: ბენტ სკამელსრუდი (ერთმატჩიანი)*
*გაფრთხილება: ბენტ-ინგე იონსენი, ანდრე ბერგდოლმო, ანდრეას მაიერი, იან ივარ იაკობსენი, ერიკ ჰოფტუნი, მორტენ პედერსენი*

## C ჯგუფი

თუ „ინტერი“ მოიგებს ბოლო ტურის შეხვედრას C ჯგუფში, პირველ ადგილზე შესაბამისად, მეოთხედფინალში გავა.

„ინტერი“ იმ შემთხვევაში იმარჯვებს ჯგუფში, თუ:

1. „რეალის“ და „სპარტაკის“ მატჩი ფრედ დასრულდება.

2. „სპარტაკი“ „რეალს“ დაამარცხებს. „ინტერს“ და მოსკოველებს 11-11 ქულა დაუგროვდებათ, პირად შეხვედრებში კი „ინტერი“ „სპარტაკს“ სჯობნის (2:1, 1:1).

„რეალი“ მაშინ გახდება პირველი, თუ „სპარტაკს“ სძლევს, ხოლო „შტურმი“ „ინტერთან“ არ წააგებს.

„სპარტაკი“ პირველ ადგილს დაიკავებს, თუ „რეალს“ დაამარცხებს, ხოლო „შტურმი“ „ინტერს“ მოუგებს.

### შტურმი — ინტერი

მილანელთა ახალდანიშნულ მწვრთნელს, რუმინელ მირჩეა ლუჩესკუს დიდი იმედი აქვს, რომ რონალდო დღეს თამაშს შეძლებს და „ინტერს“ ჯგუფში პირველი ადგილის დაკავებაში დაეხმარება. თუ ბრაზილიელი „არნოლდ შვარცნეგერზე“ გამოჩნდება, მაშინ მას ან მსოფლიოს ჩემპიონ იური ჯორკაეფთან ანაც ჩილელ ივან სამორანოსთან მოუწევს შეწყვილება, ვინაიდან რობერტო ბაჯო, ნიკოლა ვენტოლა და ფრანჩესკო მორიერო ტრავმირებულნი არიან. ნიგერიელ მცველ ტარიბო ვესტს, რომელმაც უკვე მოასწრო ლუჩესკუსთან წაკამათება, სავარაუდოდ, ფრანგი მიკაელ სილვესტრი შეცვლის.

რაც შეეხებათ ავსტრიელებს, მათ ხუთი მოთამაშე ჰყავთ დაშავებული: რომან მაილიხი, მარკუს შუპი, მეჰრდად მინავანდი, დიდიე ანგიბედი და მარიო პოში.

მსაჯი: იაცეკ გრანატი (პოლონეთი)

*ინტერი. დისკვალიფიკაცია: ბენუა კოე (ერთმატჩიანი)*
*გაფრთხილება: დიეგო სიმეონე, ნიკოლა ვენტოლა, ფრანჩესკო მორიერო, ტარიბო ვესტი, ზე ელიასი, ჯუზეპე ბერგომი, ფაბიო გალანტე, რობერტო ბაჯო*
*შტურმი. გაფრთხილება: დიდიე ანგიბედი, დარკო მილანიჩი, რომან მაილიხი, მარიო ჰაასი, გიუნტერ ნიუკირხნერი, ტომისლავ კოჩჯანი, მარკუს შუპი*

### რეალი — სპარტაკი

დისკვალიფიცირებულია „რეალის“ კაპიტანი მანუელ სანჩისი, სამაგიეროდ, გამოჯანმრთელდა ფერნანდო იერო და დღეს აუცილებლად გავა მოედანზე. საეჭვოა არგენტინელი ნახევარმცველის ფერნანდო რედონდოს თამაში, რომელსაც მუხლი აქვს დაზიანებული. თუმცა „რეალის“ ექიმები მაინც იმედიანად არიან.

რუსებს დისკვალიფიკაციის შემდეგ მცველი დმიტრი პარფიონოვი დაუბრუნდათ, მაგრამ მათ სერიოზული პრობლემები აქვთ. ტრავმების გამო დღეს „სპარტაკს“ გამოაკლდებიან ბელარუსი მცველი მიროსლავ რომაშჩენკო, ვისაც მუხლი ტკივა და თავდამსხმელი ნიკოლაი პისარევი — მას კოჭი აქვს დაშავებული.

მსაჯი: ლასლო ვაგნერი (უნგრეთი)

*რეალი. დისკვალიფიკაცია: მანუელ სანჩისი (ერთმატჩიანი)*
*გაფრთხილება: კრისტიან კარემბე, ფერნანდო მორიენტესი, რაული, ფერნანდო იერო, კრისტიან პანუჩი, ფერნანდო რედონდო, ბოდო ილგნერი, პრედრაგ მიატოვიჩი, კლარენს ზეედორფი*
*სპარტაკი. გაფრთხილება: ნიკოლაი პისარევი, ევგენი ბუშმანოვი, ანატოლი კანიშჩევი, ვასილი ბარანოვი, ანდრეი ტიხონოვი, მიროსლავ რომაშჩენკო, სერგეი გორლუკოვიჩი, დიმიტრი ანანკო*

## D ჯგუფი

„ბაიერნი“ პირველი იქნება, თუ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ არ წააგებს.

„მანჩესტერი“ D ჯგუფს მოიგებს, თუ „ბაიერნს“ დაამარცხებს.

„ბაიერნთან“ წაგების შემთხვევაში „მანჩესტერს“ მეოთხედფინალში გასვლის შანსი მეორეადგილოსანთა შორისაც აქვს. ინგლისელებს ბურთების საკმაოდ დიდი მარაგი აქვთ — +9.

### მანჩესტერი — ბაიერნი

— ერთ-ორ წელიწადში ბიჭებიც დაიზრდებიან და დიდი მანჩესტერელების კვალს გაჰყვებიან. კლუბის ახალგაზრდულ გუნდებში ბევრი ნიჭიერი მოთამაშეა, დარწმუნებული ვარ, ისინი „მანჩესტერ იუნაიტედის“ სახელოვან ისტორიას გააგრძელებენ — განაცხადა ალექს ფერგიუსონმა, დღევანდელი „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემქმნელმა და ფუძემდებელმა.

„ოლდ ტრეფორდი“ ელის „ბაიერნს“. არა, აქ რაიმე შურისძიებაზე არაა საუბარი, უბრალოდ, მიუნხენურ კლუბთან „ალისფერ ეშმაკუნებს“ (მანჩესტერელთა მეტსახელია) უსიამოვნო მოგონებები აკავშირებთ — 1958 წელს მატ ბასბის ლეგენდარული კლუბი სწორედ მიუნხენში დაიღუპა...

რაიან გიგზი, ოლდტრეფორდელთა ვერცხლისწყალივით მოუსვენარი ბიჭი ჯანმრთელადაა, ეს კი მანჩესტერელთათვის ძალიან მნიშვნელოვანია. გიგზი მართლაც დიდი ძალაა, მაგრამ შეძლებს თუ არა გერმანული მანქანის წინააღმდეგ ჩვეულად გარჯას, ეს დღეს გამოჩნდება. და საერთოდ, დღევანდელი შეხვედრა ერთ-ერთი იმ იშვიათთაგანია, რომელსაც „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყველა ფეხბურთელი სალ-სალამათი ხვდება.

რა შეიძლება ითქვას „ბაიერნზე“? ოტმარ ჰიცფელდის გუნდი დღეს ერთ-ერთი უძლიერესთაგანია, ჩემპიონთა ლიგის უპირველესი ფავორიტია და, რაც მთავარია, გერმანული კლუბია, სწორედ იმ ქვეყნის გუნდი, რომელთან ბრძოლაც ინგლისელებს სხვებთან შედარებით უჭირთ.

ლოთარ მათეუსი, ბუნდესლიგის ბოლო ტურში, „ბოხუმთან“ შეხვედრაში რომ შეცვალეს, უკვე ჯანმრთელადაა.

მსაჯი: დიკ იოლი (ჰოლანდია)

*მანჩესტერი. გაფრთხილება: ხორდი კრუიფი, ტედი შერინგემი, იესპერ ბლომკვისტი, დენის ირვინი, როი კინი, პოლ სქოულზი*
*ბაიერნი. გაფრთხილება: ტორსტენ ფინკი, ტომას ჰელმერი, ოლივერ კანი, მარკუს ბაბელი, სამუელ კუფური, ბიქსენტე ლისარასუ, ლოთარ მათეუსი, მიხაელ ტარნატი, ტომას შტრუნცი*

### ბრონდბიუ — ბარსელონა

შეხვედრას, რომელსაც აზრი დაეკარგა და რომელიც ყინვასა და თოვლში უნდა ჩატარდეს, მაინც გულშემატკივრებით სავსე „პარკენ სტადიონი“ უმასპინძლებს.

დანიაში მოუთმენლად ელიან ბარსელონელთა სტუმრობას.

ორივე გუნდი გამოეთიშა ჩემპიონთა თასისთვის ბრძოლას, მაგრამ კატალონიელთა თავკაც ლუის ვან გაალისთვის ეს შეხვედრა მაინც მნიშვნელოვანი იქნება.

| | A ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოლიმპიაკოსი | | 2:0 | 1:0 | 2:1 | 7:5 | 10 |
| 2 | კროაცია | 09.12 | | 0:0 | 3:1 | 4:6 | 7 |
| 3 | აიაქსი | 2:0 | 0:1 | | 2:1 | 4:3 | 7 |
| 4 | პორტუ | 2:2 | 3:0 | 09.12 | | 8:9 | 4 |

| | B ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გალათასარაი | | 3:0 | 1:1 | 2:1 | 8:7 | 8 |
| 2 | რუსენბორგი | 3:0 | | 1:1 | 2:1 | 7:6 | 8 |
| 3 | იუვენტუსი | 2:2 | 09.12 | | 1:1 | 5:5 | 5 |
| 4 | ატლეტიკი | 09.12 | 1:1 | 0:0 | | 4:6 | 3 |

| | C ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ინტერი | | 3:1 | 2:1 | 1:0 | 7:5 | 10 |
| 2 | რეალი | 2:0 | | 09.12 | 6:1 | 15:7 | 9 |
| 3 | სპარტაკი | 1:1 | 2:1 | | 0:0 | 6:4 | 8 |
| 4 | შტურმი | 09.12 | 1:5 | 0:2 | | 2:14 | 1 |

# მიდის კატალონიის დედაქალაქში?

შეძლებენ ხოსეპ გვარდიოლათი გაძლიერებული ბარსელონელები მოგებას?

მსაჯი: ნიკოლაი ლევნიკოვი (რუსეთი)

*ბრონდბიუ. გაფრთხილება: ებე სანდი, ბრაიან იენსენი, კიმ დოგაარდი, იონ იენსენი*

*ბარსელონა. გაფრთხილება: ლუიშ ფიგუ, რუუდ ჰესპი, ოსკარი, ალბერტ სელადესი*

### E ჯგუფი

„ლანსი“ — „დინამოს“ შეხვედრაში გამარჯვებული ჯგუფსაც მოიგებს და მეოთხედფინალშიც გავა.

თუ „ლანსი“ — „დინამოს“ დაპირისპირება ფრედ დასრულდება, ხოლო „პანათინაიკოსი“ „არსენალს“ დაამარცხებს, სამივე კლუბს 9-9 ქულა დაუგროვდებათ. ამ შემთხვევაში დაითვლება პირად შეხვედრებში დაგროვილი ქულები, რომელთა მიხედვით პირველ ადგილზე „პანათინაიკოსი“ გავა.

იმ შემთხვევაში, თუ „პანათინაიკოსი“ „არსენალს“ ვერ მოუგებს, „ლანსისთვის“ კიეველებთან მატჩში 0:0 ფრეც საკმარისი იქნება პირველ ადგილზე გასასვლელად. კიევში ამ გუნდების შეხვედრა 1:1 დასრულდა.

კიევის „დინამო“ E ჯგუფს მოიგებს, თუ „პანათინაიკოსი“ „არსენალს“ ვერ დაამარცხებს, „დინამო“ კი ლანსში არ წააგებს და 0:0-ის გარდა ნებისმიერი სხვა საყაიმო ანგარიშით დაასრულებს მატჩს.

#### ლანსი — დინამო

საფრანგეთის და უკრაინის ჩემპიონთა დაპირისპირება უეჭველად დაძაბული იქნება, თუმცაღა შესაძლოა „პანათინაიკოსმა“ მათი შრომა წყალში ჩაყაროს.

„დინამოს“ კახა კალაძე დაუბრუნდა. ქართველმა მცველმა მოირჩინა ტრავმა, რომელმაც მას ჩემპიონთა ლიგაში ორი მატჩი გამოატოვებინა. ანდობს თუ არა ვალერი ლობანოვსკი ძირითად შემადგენლობაში ადგილს კალაძეს, ძნელი სათქმელია. „დინამოს“ დაუბრუნდა ვლადისლავ ვაშჩუკიც, რომელმაც წინა მატჩი „პანათინაიკოსთან“ დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა.

— კარგი შანსი გვაქვს, მეოთხედფინალში ზედიზედ მეორედ გავიდეთ და ამას ვეცდებით კიდეც. მეტოქე საკმაოდ ძლიერია, მაგრამ არაფრის დათმობას არ ვაპირებთ. „დინამო“ გამარჯვებისთვის იბრძოლებს — განუცხადა აეროპორტში დახვედრილ ჟურნალისტებს კიეველთა თავკაცმა.

ლობანოვსკის გუნდი ფრანგთათვის მართლაც სახიფათო მოწინააღმდეგეა. თან თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „ლანსს“ სამი საკმაოდ ძლიერი ფეხბურთელი დააკლდება, ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

შესაძლებელია კიეველთა წინააღმდეგ კამერუნელმა მარკ ვივიენ-ფოემ ითამაშოს. „ლანსის“ აფრიკელმა ლეგიონერმა ამ რამდენიმე დღის წინ მოირჩინა მძიმე ტრავმა და ბოლო ტურში, „სტრასბურთან“ 3:0 მოგებულ შეხვედრაშიც ითამაშა.

მსაჯი: ლუბოკ მისელი (სლოვაკეთი)

*ლანსი. დისკვალიფიკაცია: სირილ რული (ერთმატჩიანი), ტონი ვერელი (ერთმატჩიანი), ერიკ სიკორა (ერთმატჩიანი)*

*დინამო. გაფრთხილება: ანდრეი შევჩენკო, ოლეგ ლუჟნი, ვიტალი კოსოვსკი*

*გაფრთხილება: მიკაელ დებევი, ფრედრიკ დეუ, ალექს ნიარკო, ქსავიერ მერიდე*

#### პანათინაიკოსი — არსენალი

„არსენალი“ საბერძნეთს შესუსტებული შემადგენლობით მიემგზავრება. ინგლისის ჩემპიონთა სამარცხვინო სვლა ჩემპიონთა ლიგაში ალბათ სწორედ ათენში დასრულდება და არაა გამორიცხული, რომ ტრაგიკულადაც.

— თითქმის ნახევარი გუნდი ვერ ითამაშებს, თუმცა ვეცდებით, მოვიგოთ — თქვა ინგლისელთა ფრანგმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა.

ორშაბათს „არსენალის“ კიდევ ერთი მოთამაშე, ჰოლანდიელი თავდამსხმელი მარკ ოვერმარსი დაშავდა.

ბერძნებს პრობლემები არ აწუხებთ და ლონდონელებთან მატჩისთვის გამალებით ემზადებიან.

მსაჯი: სტეფანო ბრაჩი (იტალია)

*პანათინაიკოსი. გაფრთხილება: ალიოშა ასანოვიჩი, ეფსტრატიოს აპოსტოლაკისი, ნიკოლაოს ლიბეროპულოსი, ბლენდარ კოლა, ანდრეას ლაგონიკაკისი*

*არსენალი. დისკვალიფიკაცია: ლი დიქსონი (ერთმატჩიანი), რეი პარლოუ (ერთმატჩიანი)*

*გაფრთხილება: დენის ბერხკამპი, მარტინ კიოუნი, პატრიკ ვიეირა, ნელსონ ვივასი*

### F ჯგუფი

„კაიზერსლაუტერნი“ ჯერჯერობით ჩემპიონთა ლიგის ერთადერთი მეოთხედფინალისტია.

„ბენფიკას“ და „ეინდჰოვენს“ მეოთხედფინალში გასვლის შანსი იმ შემთხვევაში ექნებათ, თუ ბოლო ტურში რომელიმე წარმატებით ითამაშებს, სხვა ჯგუფებში კი ისე განვითარდება მოვლენები, რომ მათ მეორეადგილოსანთა შორის მოხვედრის შესაძლებლობა გაუჩნდებათ.

#### ეინდჰოვენი — ბენფიკა

— თითქოს კლუბი დაითარსაო. რაც უფრო ახლოვდება „ბენფიკასთან“ მატჩი, მით უფრო ცუდი ამბები ხდება ჩვენს თავს — განაცხადა სამშაბათს ჩემპიონთა თასის 1988 წლის მფლობელი კლუბის მწვრთნელმა, ინგლისელმა ბობი რობსონმა.

მართლაც, თითქოს უბედურებით სავსე სათლი დაამხეს „ეინდჰოვენს“ თავზე — კლუბის რუსი მცველი იური ნიკიფოროვი დისკვალიფიცირებულია, რობერტ ფუქსმა და იურგენ დირქსმა ამას წინათ მიიღეს მძიმე ტრავმები. შესაძლოა მარცხენა მცველმა დენი ოიენმაც ვერ ითამაშოს. მან გასულ კვირას დაიწყო ვარჯიში.

„ბენფიკას“ რუს მეკარეს სერგეი ოვჩინიკოვს, რომელმაც „კაიზერსლაუტერნთან“ 2:1 მოგებულ შეხვედრაში კარგად ითამაშა, ტრავმის მიუხედავად, ალბათ, მოედანზე ვიხილავთ.

მსაჯი: კარლ-ერიკ ნილსონი (შვედეთი)

*ეინდჰოვენი. დისკვალიფიკაცია: იური ნიკიფოროვი (ერთმატჩიანი)*

*გაფრთხილება: ჟორჟინიო, ანდრე ოიერი, ტომაშ ივანი, ვუტერუს ვან დერ დოელენი, არნოლდ ბრუგინკი, დენის რომედალი, აბელ შავიერი, დავი ოიენი, რონალდ ვატერეუსი, ბიორნ ვან დერ დოელენი, ლუკ ნილისი*

*ბენფიკა: დისკვალიფიკაცია: პაულო მადეირა (ერთმატჩიანი)*

*გაფრთხილება: სკოტ მინტო, უგო პორფირიუ, ულფ პრინგლი, რონალდო გუიარო*

#### კაიზერსლაუტერნი — ჰიკ

— გვსურს, ჩემპიონთა ლიგაში ბოლო მატჩი მოვიგოთ და გულშემატკივრები გავახაროთ — განაცხადა „კაიზერსლაუტერნის“ მეკარე ანდრეას რაინკემ.

გერმანელები სიტყვის ხალხია. ისინი ფინელებს, ალბათ, კუდით ქვას ასროლინებენ.

ფინელებს მართალია ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელად ჰყავთ, მაგრამ მათთვის მატჩს ყოველგვარი აზრი დაკარგული აქვს, ამიტომ წაგებაც არ უნდა ეწყინოთ.

მსაჯი: კიმ მილტონ ნილსენი (დანია)

*კაიზერსლაუტერნი. გაფრთხილება: ჰანი რამზი, მიქაელ შიონბერგი, უვე როსლერი, ჰუსეინ სამირ იბრაჰიმი, მიხაელ ბალაკი, მარკო რაიხი, პასკალ ოჯიგვე*

*ჰიკ. გაფრთხილება: მარსელო გონსალვეშ პირასაია, მიკა ლეჰკოსუ, აკი რილაჰტი, ვილე ნილუნდი, მარკუ კანერვაი, შეფკი კუქი*



დინამო — არსენალი. ანდრეი შევჩენკო (№10) მარტინ კიოუნს გაურბის



ბაიერნი — ბრონდბიუ. ჯოვანი ელბერი (შუაში) მეტოქეს მედგრად ებრძოდა

## ვინ გავა მეოთხედფინალში?

„გალათასარაისა“ და „იუვენტუსის“ მატჩის შემდეგ ჩემპიონთა ლიგაში დარჩა ერთი ტური, რომელიც F ჯგუფის ლიდერის „კაიზერსლაუტერნის“ მსგავსად მეოთხედფინალში გასულ კიდევ შვიდ გუნდს გამოავლენს.

ბუნებრივია, არაა გამორიცხული, რომ საბოლოო ცხრილებში გუნდებმა თანაბარი ქულები დააგროვონ. ასეთ შემთხვევას უეფას კანონთა მეოთხე სტატიის მეექვსე პარაგრაფი ითვალისწინებს:

1. უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელიც მოდავესთან ურთიერთშეხვედრებში მეტ ქულას დააგროვებს.
2. უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც მოდავესთან ურთიერთშეხვედრებში გატანილ და გაშვებულ გოლთა უკეთესი სხვაობა ექნება.
3. უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელმაც მოდავეს სტუმრად მეტი გოლი გაუტანა.
4. უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც ცხრილში, ყველა მატჩის ჯამში, გატანილ და გაშვებულ გოლთა უკეთესი სხვაობა ექნება.
5. უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც ცხრილში, ყველა მატჩის ჯამში, მეტი გოლი ექნება გატანილი.
6. უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელმაც ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასაც სეზონის დასაწყიში მეტი სარეიტინგო კოეფიციენტი ჰქონდა.

მოგეხსენებათ, რვა მეოთხედფინალისტიდან ექვსი თავისი ჯგუფის გამარჯვებული იქნება, ხოლო ორი, ჯგუფებში მეორე ადგილებზე გასულთა შორის საუკეთესო.

მეორეთა შორის საუკეთესოებს უეფას კანონთა მეოთხე სტატიის მეშვიდე პარაგრა ვი განსაზღვრავს:

1. უპირატესობა მიენიფება გუნდს, რომელიც თავის ჯგუფში ყველაზე მეტ ქულას დააგროვებს.
2. უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც ცხრილში, ყველა მატჩის ჯამში გატანილ და გაშვებულ გოლთა უკეთესი სხვაობა ექნება.
3. უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელმაც ცხრილში, ყველა მატჩის ჯამში მეტი გოლი ექნება გატანილი.
4. უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელსაც სტუმრად ჩატარებულ შეხვედრებში მეტი გოლი ექნება გატანილი.
5. უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომლის ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციასაც სეზონის დასაწყიში მეტი სარეიტინგო კოეფიციენტი ჰქონდა.
6. უპირატესობა მიენიჭება გუნდს, რომელმაც სეზონის დასაწყიში საკლუბო რეიტინგში მეტი ქულა ჰქონდა.

მეოთხედფინალის კენჭისყრა 1998 წლის 16 დეკემბერს, ოთხშაბათს, ჟენევის სასტუმრო „ინტერკონტინენტალში“ ცენტრალური ევროპის დროით 12 საათზე ანუ საქართველოს დროით 15 საათზე გაიმართება, კენჭისყრისას იხელმძღვანელებენ ასეთი პრინციპებით:

ა) ერთი და იმავე ჯგუფიდან გასული გუნდები ერთმანეთს არ შეხვდებიან;

ბ) მეორე ადგილით გასული ორი გუნდი ერთმანეთს არ შეხვდება;

გ) მეორე ადგილზე გასული გუნდები პირველ მეოთხედფინალურ შეხვედრას შინ ჩაატარებენ;

დ) ერთი და იმავე ქვეყნის გუნდების შეხვედრა ნებადართულია.

| ⚽ | D ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაიერნი | ⚽ | 2:2 | 1:0 | 2:0 | 8:5 | 10 |
| 2 | მანჩესტერი | 09.12 | ⚽ | 3:3 | 5:0 | 19:10 | 9 |
| 3 | ბარსელონა | 1:2 | 3:3 | ⚽ | 2:0 | 9:9 | 5 |
| 4 | ბრონდბიუ | 2:1 | 2:6 | 09.12 | ⚽ | 4:16 | 3 |

| ⚽ | E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | დინამო | ⚽ | 1:1 | 2:1 | 3:1 | 8:6 | 8 |
| 2 | ლანსი | 09.12 | ⚽ | 1:0 | 1:1 | 4:3 | 8 |
| 3 | პანათინაიკოსი | 2:1 | 1:0 | ⚽ | 09.12 | 5:6 | 6 |
| 4 | არსენალი | 1:1 | 0:1 | 2:1 | ⚽ | 5:7 | 5 |

| ⚽ | F ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლაუტერნი | ⚽ | 1:0 | 3:1 | 09.12 | 7:4 | 10 |
| 2 | ბენფიკა | 2:1 | ⚽ | 2:1 | 2:2 | 6:7 | 7 |
| 3 | ეინდჰოვენი | 1:2 | 09.12 | ⚽ | 2:1 | 8:9 | 6 |
| 4 | ჰიკ | 0:0 | 2:0 | 1:3 | ⚽ | 6:7 | 5 |

# ოქროს ბურთის ლაურეატები

France Football

## 1993 რობერტო ბაჯო

ლაშა გორგაძე

# პატარა კალდონიელი



ყველაფერი კალდონიაში დაიწყო, ქალაქ ვიჩენცასთან მდებარე პატარა დაბაში. სწორედ კალდონიაში დაიბადა თანამედროვეობის საუკეთესო იტალიელი ფეხბურთელი რობერტო ბაჯო, მოთამაშე, რომლის დიდების წლებმა უკვე ჩაიარა, მაგრამ მას, ფეხბურთის გენიოსს, მაინც ვერაფერი დააკლო.

ხშირად იქმნება შთაბეჭდილება, რომ გამორჩეულ მოთამაშეთა კარიერის დასაწყისი ია-ვარდით იყო მოფენილი, არადა, უმეტეს შემთხვევაში პირიქით ხდებოდა. რობერტო ბაჯოს საფეხბურთო კარიერაც ძნელად დაიწყო. მას ხშირად სტანჯავდა ტრავმები, ზოგჯერ ძალიან სერიოზულიც, მაგრამ ყველაფერს გაუძლო, ყველაფერი გადაიტანა და მწვერვალებს შესწვდა.

ყველაფერი კი მაინც კალდონიაში დაიწყო...

პატარა ქალაქი იყო, ძალიან პატარა. ისეთი პატარა, რომ როცა რაიმე მნიშვნელოვანი ხდებოდა, უმალ მთელმა ქალაქმა იცოდა. იქ ყველა ყველას იცნობდა. პატარა რობერტოც ცნობილი იყო, ოღონდ საფეხბურთო ნიჭით კი არა... გრძელი თმებით. კალდონაში ასეთებს კეთროვანივით ერიდებოდნენ. კალდონიის ბერთა საძმო გრძელ თმას კრძალავდა და ქალაქშიც ერთთავად მოკლედ გაკრეჭილი ხალხი დაიარებოდა. ყველა, გარდა რობერტო ბაჯოსი.

„მახსოვს, ერთხელ ვარცხნილობა მშობლების დროულმა გამოჩენამ გადაარჩინა. ბერები ჩამისაფრდნენ, დამიჭირეს და თმის გადაპარსვა მოიწადინეს, მაგრამ ზუსტად იმ დროს დედ-მამა გამოჩნდა და მეც მეშველა" — იხსენებს რობერტო. გრძელი თმა მან ბოლომდე შეინარჩუნა, მაგრამ ერთი შემთხვევის შემდეგ მას აღარც ბერების შიში ჰქონდა და არც არავისი.

ერთ დღეს პატარა რობერტოს საყდართან მჯდარმა ღვთისმსახურებმა უხმეს და შეეცადნენ დაერწმუნებინათ, რომ გრძელი თმა სიკეთეს არ მოუტანდა. რობერტომ ერთ-ერთ მსახურს სანაძლეო შესთავაზა, რომლის მოგების შემთხვევაში ბერები მის თმას სამუდამოდ შეეშვებოდნენ. სანაცვლოდ თუ წააგებდა თმა უნდა შეეჭრა. ვინც „ჩეკაჩონკას" მოიგებდა, გამარჯვებულიც ის იქნებოდა.

რობერტომ მოიგო, „ჩეკაჩონკა" კი სხვა არაფერი იყო, თუ არა ბურთის კენწვლა — ბაჯომ ბურთი 165-ჯერ აკენწლა, მისმა მეტოქემ კი ასსაც ვერ გადააჭარბა. ის დღე იყო და ის დღე, კალდონიაში მხოლოდ ერთი გრძელთმიანი ბიჭი დადიოდა — რობერტო ბაჯო.

თანატოლების დარად რობერტოც ფეხბურთის თამაშში ათენებდა და აღამებდა. უსწორმასწორო მოედანზე ბურთი ხშირად სკდებოდა, თუმცა იქვე, მაღაზიაში რობერტო ნისიად ყიდულობდა ახალს და თამაშიც გრძელდებოდა. მამამისს, სინიორ ფლორიანოს შვილის ონავრობა ლირები უჯდებოდა და რვა შვილის პატრონს ეს სულაც არ ეხალისებოდა. მიუხედავად ამისა იგი რობერტოს ფეხბურთის თამაშს არ უშლიდა.

პატარა რობერტო ფეხბურთელთა გუნდში მიიყვანეს. ერთ კვირაში იგი „კალდონიოს" საუკეთესო თავდამსხმელი გახდა. ერთხელ, „ლევისთან" თამაშისას კი ბიჭმა ექვსი გოლი გაიტანა. ახლა უკვე კალდონიოში რობერტოს ყველა იცნობდა არა იმიტომ, რომ მას გრძელი თმები ჰქონდა, არამედ იმიტომ, რომ იგი შესანიშნავი ფეხბურთელი იყო.

წლებმა მალე გაირბინა. რობერტო ბაჯოც წამოიზარდა და ვიჩენცას კლუბ „ლანეროსში" ჩაირიცხა. სწორედ აქ მიიღო რობერტომ პირველი მძიმე ტრავმა.

„რიმინის" ხვდებოდნენ. მეტოქის მწვრთნელმა, არიგო საკიმ რობერტოს მეურვე მიუჩინა, თუმცა ბაჯოს თამაშიდან გამოთიშვას მცველი არ დასჭირვებია — ერთ მომენტში რობერტო მოცელილივით დავარდა. ექიმებმა ჯვარედინი მყესების გაწყვეტა დაუდგინეს. ერთ დღეში ფეხბურთელი საფრანგეთში გააქანეს, ცნობილი მკურნალ ჟილ ბუსკესთან...

„ვხვდები, რომ მაშინდელი ტრავმა ჩემი „დამსახურება" იყო. იმ წლებში არავინ მაინტერესებდა საკუთარი თავის გარდა. ეგოიზმით ვიყავი შეპყრობილი, მაგრამ იმ შემთხვევამ მიმახვედრა, რომ მე მარტო არ ვიყავი. ძალიან მიჭირდა საფრანგეთში, ნაცნობი არავინ იყო, მაგრამ როცა დედ-მამა ჩამოვიდა, დავწყნარდი. მაშინ ვიგრძენი, რომ ოჯახური იდილია, გარშემომყოფთა სიყვარული პირველი უნდა იყოს ცხოვრებაში" — ფიქრობდა საფრანგეთის საავადმყოფოში მწოლარე ბაჯო. მაშინ მან არც კი იცოდა, კვლავ ითამაშებდა თუ არა ფეხბურთს.

...1995 წელს, როცა ტურინის „იუვენტუსს" სტოვებდა და „მილანში" გადადიოდა, ბაჯოს ერთ-ერთმა ჟურნალისტმა უთხრა, განა „ინტერში" არ გერჩივნა წასვლა, იქ მეტ ფულს მიიღებდიო. და იცით, რა უპასუხა რობერტომ? მე რომ ფული მდომებოდა, ახლა იაპონიაში კარგა ხნის წასული ვიქნებოდიო. ამომავალი მზის ქვეყანაში რობერტოს მართლაც იწვევდნენ, მაგრამ რობერტო იაპონიაში არ წავიდა. არ წავიდა, რადგან ჯეი-ლიგაში გადაბარგება ფეხბურთელი რობერტო ბაჯოს აღსასრულის მომასწავებელი იქნებოდა.

მის კარიერაში მიწვევები მრავლად იყო. წელიწადი არ ჩაივლიდა ისე, რობერტოს რომელიმე გრანდი არ შეხმიანებოდა. აღსანიშნავია ისიც, რომ რობერტოს ყველა ტრანსფერს უდიდესი გამოხმაურება ერთვოდა. იქ მუდამ დიდძალი ფული იყო და ყველა შემთხვევაში ბაჯოს მყიდველ გუნდს წარმატება ელოდა. ასე იყო „ფიორენტინაში", „იუვენტუსში", „მილანში", „ბოლონიაში" და „ინტერშიც". რობერტოს ყველგან თავის ხელწერა მიჰქონდა. მის გარეშე და მისით ერთი და იგივე კლუბები ძალიან განსხვავდებოდნენ.

რობერტოს ცხოვრებაში ხშირი იყო იმედგაცრუებაც. ჯერ კიდევ ფლორენციაში, „ფიორენტინაში" თამაშისას, რობერტო ერთ-ერთ მატჩში მძიმედ დაშავდა. ხელმეორედ დადგა ფეხბურთში დარჩენა- არდარჩენის საკითხი. ბოლოს იგი დარჩა, მაგრამ საამისოდ მას რწმენის შეცვლა მოუხდა — ქრისტიანი ფეხბურთელი ბუდისტ მოთამაშედ იქცა. იმ დღეებში, როცა სულიერად უჭირდა, მან ბუდისტური რელიგია შეიმეცნა და ირწმუნა. თავიდან ამის გამხელა უჭირდა, მაგრამ მალე ყველაფერს ნათელი მოეფინა. 1993 წელს კი, როცა „ფრანს ფუტბოლმა" ფეხბურთელს „ოქროს ბურთი" გადასცა, რობერტომ იგი ბუდისტ მოძღვარ დაისაკუ იკედეს მიუძღვნა.

იმედგაცრუება იყო „იუვენტუსშიც", როცა იგი ტურინულ კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივებას ელოდა, „ბებერი ქალბატონის" თავკაცობა კი მის ზურგსუკან ბაჯოს „ინტერში" ტრანსფერს აკვარახჭინებდა. რობერტო „იუვენტუსზე" დღემდე გულნატკენია. არანაკლები წყენა შეხვდა „მილანში" — იქ გატარებული ორი სეზონი ფაქტობრივად დაკარგა. შემდეგ „ბოლონიაში" ცოტა ამოისუნთქა, დაამტკიცა, რომ ჩამოსაწერი არ იყო, მაგრამ „ინტერში" კვლავ არ ენდნენ. ასე გაგრძელდა უკვე რამდენიმე წელიწადს. ამ ხნის განმავლობაში ნაკრებშიც არ იყო კარგი სიტუაცია — დროგამოშვებით მიიწვევდნენ-ხოლმე, მაგრამ იმას, რასაც რობერტო ესწრაფვოდა, ვერ მიაღწია. „სკუადრა ატურაში" რობერტო ბაჯოს „მეორედ მოსვლა" ვერ შედგა.

და ყველა ამ გაჭირვების თუ წინააღმდეგობის მიუხედავად, რობერტო ბაჯოს დიდ ფეხბურთელობას, ბრწყინვალებას არაფერი დააკლდებია. რობერტო ბაჯო დღესაც უდიდესი ფეხბურთელია. მიუხედავად იმისა, რომ მწვერვალი უკვე გადაიარა.

„ოქროს ბურთის" წინა ლაურეატებზე თხრობისას ვცდილობდით, გაგვეხსენებინა შესანიშნავ ფეხბურთელთა ერთი-ორი ბრწყინვალე მატჩი, ახლა კი რობერტოს თამაშები შეგნებულად არ გაგვიხსენებია. ვერც ერთი მატჩი გამოვარჩიეთ, რადგან მის კარიერაში ამგვარი თამაში მრავლად იყო. თან მათი გახსენება სხვა არაფერი იქნებოდა, თუ არა გუშინდელის გახსენება.

...რობერტო დღესაც თამაშობს. გულშემატკივრები ბედნიერნი არიან, რომ ფეხბურთის ამ დიდოსტატის თამაშს თავად ხედავენ და ტკბებიან მისით.

### რობერტო ბაჯო

დაიბადა 1967 წლის 18 თებერვალს იტალიის ქალაქ კალდონიაში
თავდამსხმელი
სიმაღლე: 1,74
წონა: 73 კგ
კლუბები: „ვიჩენცა" (იტალია, 1980-85); „ფიორენტინა" (იტალია, 1985-90); „იუვენტუსი" (იტალია, 1990-95); „მილანი" (იტალია, 1995-97); „ბოლონია" (იტალია, 1997-98); „ინტერი" (იტალია, 1998-)
ტიტულები: იტალიის ჩემპიონი — 1995, 96; იტალიის თასი — 1995; უეფას თასი — 1993; მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი — 1994; მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი — 1990;
ნაკრებში 53 თამაშში გაიტანა 29 გოლი (1988-)

# სარბიელი

# სპორტული ლატარია "CROCO"

### ჩემპიონთა ლიგა. მეექვსე ტური

9 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| პორტუ — აიაქსი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| კროაცია — ოლიმპიაკოსი | 1,8 | 2,8 | 4,4 |
| ბილბაო — გალათასარაი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| იუვენტუსი — რუსენბორგი | 1,4 | 3,8 | 6,0 |
| რეალი — სპარტაკი | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| შტურმი — ინტერი | 9,0 | 2,4 | 1,6 |
| ბრონდბიუ — ბარსელონა | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| მანჩესტერი — ბაიერნი | 1,7 | 2,6 | 6,0 |
| ლანსი — დინამო | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| პანათინაიკოსი — არსენალი | 1,6 | 3,3 | 4,7 |
| კაიზერსლაუტერნი — ჰიკი | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| ეინდჰოვენი — ბენფიკა | 2,3 | 2,9 | 2,8 |

### ინგლისიის ჩემპიონატი. პრემიერლიგა

9 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ჩელსი — ასტონ ვილა | 1,9 | 2,8 | 3,8 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი

9 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრედა — ვიტესი | 3,6 | 2,9 | 1,9 |

10 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ვალვაიკი — ფეიენოორდი | 6,0 | 3,8 | 1,4 |

### ჰოლანდიის. თასი

9 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ემენი — ჰერენვენი | 4,7 | 3,0 | 1,7 |

### შოტლანდიის ჩემპიონატი

9 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| მოზერველი — დანდი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| სენტ ჯონსტონი — ჰარტსი | 2,0 | 2,8 | 3,5 |

### ჰოკეი. NHL

9 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| რეინჯერსი — კოლორადო | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ფლორიდა — ოტავა | 1,9 | 4,4 | 2,1 |
| ჩიკაგო — ედმონტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| დალასი — სან ხოსე | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ფინიქსი — მონრეალი | 1,3 | 4,4 | 4,0 |
| ანაჰაიმი — ვანკუვერი | 1,8 | 4,4 | 2,2 |
| ლოს ანჯელესი — ვაშინგტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |

10 დეკემბერი

| | | | |
|---|---|---|---|
| ფილადელფია — ნიუ ჯერსი | 1,7 | 4,4 | 2,4 |
| კაროლინა — ბოსტონი | 2,0 | 4,4 | 2,0 |
| ნეშვილი — სან ხოსე | 1,8 | 4,4 | 2,2 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

**თბილისში** — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან; №2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; №67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი.

**ქუთაისში** — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში;

**ბათუმში** — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

**რუსთავში** — კინოთეატრი „რუსთაველი"; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

# დავით გობეჯიშვილი:

## თუ ელდარ კურტანიძე საქართველოს ნაკრებში არ იქნება, ვერც სხვა ქვეყნის სახელით გამოვა, მის დასაბრუნებლად კი ყველაფერს ვიღონებთ

**მოჭიდავეთათვის წლევანდელი სეზონი უკვე დამთავრდა. უფრო სწორად, ჩვენი მოჭიდავეებისთვის დამთავრდა, თორემ წლის მიწურულს ამა თუ იმ რანგის ტურნირები აქა-იქ კიდევ იმართება, ოღონდ ეგაა, ჩვენი ფალავნები უფულობის გამო ვეღარსად წავლენ. ამათთვის (განსაკუთრებით კი უმცროსებისთვის) უსახსრობის გამო ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე წასვლა იყო პრობლემა და, აბა, რიგით ტურნირზე ვინ გაუშვებს? ჰოდა, ამიტომაც დამთავრდა ჩვენი მოჭიდავეებისთვის სეზონი, ხოლო თუ როგორი იყო იგი — ამაზე და სხვა საკითხებზეც გვესაუბრება საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი დავით გობეჯიშვილი**



**— ბატონო დავით, მოდით, ჯერ განვლილი სეზონი შევაფასოთ.**

— თუ ჭიდაობის ორივე სახეობაში — თავისუფალსა და ბერძნულ-რომაულში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების შედეგებს გავითვალისწინებთ, არც მთლად კარგი იყო და არც მთლად ცუდი.

ევროპის პირველობებზე ორი ოქრო მოვიპოვეთ, ეს კი ნამდვილად კარგია. ამას დაუმატეთ იუნიორებისა და კადეტების მიერ მოპოვებული მედლებიც. სამწუხაროდ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერავითარ წარმატებას ვერ მივაღწიეთ.

შეუძლებელია, წინასწარ გათვალოთ, თუ როდის შეგაწუხებს ტრავმა ან როდის შეგეყრება რაღაც ავადმყოფობის ვირუსი. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ხვიჩა ბიჩინაშვილმა მსოფლიომდე ევროპის ვიცე-ჩემპიონობა მოიპოვა და შვედეთშიც მედალს ძირითადად მისგან ველოდით, მაგრამ ხელის ტკივილმა ამის საშუალება არ მისცა.

ასევე მოულოდნელად მოიწამლა ირანში ელდარ კურტანიძეც.

**— ევროპულ პირველობაზე მოპოვებული მედლები ახსენეთ, როგორც სიძლიერის განმსაზღვრელი. როცა ევროპის ოქროს ან ვერცხლის მფლობელი მსოფლიოს ჩემპიონატზე პრიზიორი ვერ ხდება, ამას ორი ახსნა შეიძლება მოვუძებნოთ — ევროპას ან სუსტი ჩემპიონი ჰყავს, ან მსოფლიოს საჭიდაო სამყაროში მას მცირე ადგილი უჭირავს.**

— მე არ გეთანხმებით არც ერთ მოსაზრებაში. გადავხედოთ, რამდენი საჭიდაო ქვეყანაა ევროპაში ჯერ მარტო ყოფილი საბჭოთა კავშირიდან — უკრაინა, ბელარუსი, რუსეთი, ამიერკავკასიის ქვეყნები, იქით — პოლონეთი, რუმინეთი, თურქეთი, ბულგარეთი და სხვანი. მსოფლიოს ჩემპიონატზე ამათ მხოლოდ რამდენიმე გუნდი ემატება. ამიტომ ევროპას საჭიდაო სამყაროში დიდი ადგილი უჭირავს.

**— მაშ რით ახსნიდით წარუმატებლობას მსოფლიოს ჩემპიონატზე?**

— ჩემი აზრით, ამისი ერთ-ერთი მიზეზი ჩვენს ნაკრებში კონკურენციის არარსებობაა. როცა მე ვჭიდაობდი, მსოფლიოს ჩემპიონატზე დაკავებული მეორე ადგილიც კი წარუმატებლობა ითვლებოდა, ხოლო უფრო დაბალ შედეგს ვინ გაპატიებდა — დაუყოვნებლივ დაკარგავდი ადგილს ნაკრებში. ეს საკუთარ თავზე გამომიცდია. ჩვენს ნაკრებში მოჭიდავე მოიგებს თუ წააგებს, ადგილს მაინც ინარჩუნებს. იქმნება აბსოლუტურად უკონკურენციო ატმოსფერო. ცალკეული მიღწევების მიუხედავად, გუნდებს არ ჰყავთ ლიდერები. ერთი ასეთიც რომ იყოს გუნდში, ეს დიდი საქმე იქნებოდა. ლიდერს ხომ გუნდისთვის, მისი შედეგებისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

**— მოსამზადებელი ციკლი თუ იყო საკმარისი და სწორად დაგეგმილი. უფრო მეტი რამ ხომ არ იყო საჭირო ნაყოფიერი მომზადებისთვის? ან მზადების პროცესში რაიმე შეცდომები ხომ არ დაშვებულა?**

— ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე ფედერაციამ ყველაფერი გააკეთა გუნდებისთვის. მათ ჰქონდათ რამდენიმე შეკრება, ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრები მინსკშიც კი ემზადებოდა. ამიტომ მედლებს ველოდით. ზემოხსენებულ ხელისშემშლელ მიზეზთა გამო იმედები არ გამართლდა. ამაში ვერც მწვრთნელებს დავადანაშაულებ. მათ თავი არ დაუზოგავთ. რა მათი ბრალია, თუ კურტანიძემ მსოფლიოს ჩემპიონატზე იმ პოლონელთან წააგო, რომელსაც ევროპისაზე მოუგო. ასეთი რამეებიც ხდებახოლმე. ესეც საკუთარი გამოცდილებით ვიცი. მთელი ჩემი სპორტული კარიერის განმავლობაში მუდმივი მეტოქეობა მქონდა ამერიკელ ბაუმგარტნერთან. ერთმანეთს მონაცვლეობით ვუგებდით. ცოტა სხვაა პოლოსიანის ჭარბი წონა. ეს უდისციპლინობის ბრალია. ისიც მინდა გაითვალისწინოთ, რომ საქართველოს მსოფლიოს ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში 1986 წლის მერე არ ჰყოლია, ხოლო თავისუფალში — 1991-ის შემდეგ.

**— თქვენი ეს სიტყვები იმას ხომ არ ნიშნავს, რომ გუნდებში დისციპლინა მოიკოჭლებს? იმავე პოლოსიანის ჭარბი წონის რეგულირება ნუთუ ადრე არ შეიძლებოდა, რომ ზედ მსოფლიოს ჩემპიონატის წინ 10-12 კილო არ დაეკლო?**

— როცა მე უდისციპლინობა ვახსენე, პირადად სპორტსმენის საქმისადმი დამოკიდებულებას ვგულისხმობდი და არა მთლიანად გუნდის ან მწვრთნელების საქმიანობას. პოლოსიანს ვიცნობ როგორც ჩამოყალიბებულ სპორტსმენს. რატომ მოიმატა წონაში ასე მკვეთრად მომატება, ვერ ამიხსნია. ეს ალბათ უფრო თვითშეგნების ნაკლებობის ბრალია. თუ დიდი მიზნები გამოძრავებს მაშინ მისთვის თავს ბევრი რამეც უნდა მოაკლო. ჩემს დროს პირადი მწვრთნელები არ იყვნენ. იყო მხოლოდ ერთი, ნაკრების მწვრთნელი, რომელიც ყველას უწევდა საერთო კონტროლს, საკუთარ თავს კი ჩვენვე ვპატრონობდით. ჩვენი ბიჭებიც ასე უნდა იქცეოდნენ.

**— ზემოთ ევროპის ორი ჩემპიონი ახსენეთ. გაისად ალბათ მხოლოდ ერთი — პოლოსიანი დაგვრჩება. კურტანიძეს სამუდამოდ ვკარგავთ ნაკრებისთვის?**

— გადაჭრით შემიძლია გითხრათ, რომ თუ ელდარ კურტანიძე არ იქნება საქართველოს ნაკრებში, ვერც სხვა ქვეყნის სახელით გამოვა, ოლიმპიადაზე მაინც. ჩვენ არ მივცემთ მას სხვა ქვეყნის ნაკრების სახელით გამოსვლის უფლებას. ელდარი გერმანიაში, ერთ-ერთ იქაურ კლუბში ვარჯიშობს. წასვლის შემდეგ მასთან არ მისაუბრია. არ ვიცი მისი აზრი დაბრუნების შესახებ, თუმცა იმედი მაქვს, რომ დავიბრუნებთ. საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ. ელდარს თბილისში ყველაფერი აქვს. მან ცხოვრებაში ბევრი სიმწარე ნახა. მოგეხსენებათ, იგი სოხუმელია, ლტოლვილი. მამის ასავალ-დასავალი დღესაც არ იცის. როცა სოხუმიდან გამოიქცნენ, ოჯახის სხვა წევრებთან, ერთად ჩვილი ბავშვით და 6 თვის ფეხმიმე ცოლით ფეხით გადმოიარა ჭუბერის უღელტეხილი. სოხუმში მან ყველაფერი დაკარგა. მგონია, რომ თავსგადანახადი გაჭირვების შემდეგ მას მომავლის შიში გაუჩნდა. ცდილობს, რაც შეიძლება მეტი დააგროვოს, მეტი გააკეთოს სამომავლოდ.

**— ემზარ ბედინეიშვილზე მინდა გკითხოთ. ევროპის ჩემპიონატის მერე ხმები დაირხა, რომ თვით ფილას წევრებმაც კი აღიარეს, ამ ბიჭს მედალი დააკარგვინესო. მსოფლიოს ჩემპიონატი იყო და, კვლავ იგივე განმეორდა. თუ ეს მართლაა და ფილას უსამართლობას წინ ვერ აღვუდგებით, წონა მაინც შევუცვალოთ ამ მართლაც პერსპექტიულ ბიჭს.**

— ეს ბედინეიშვილზე მართლაც ითქვა. რაც მსაჯებმა მას გაუკეთეს, ასეთები მეტნაკლები დოზით სპორტის ყველა სახეობაში ხდებოდა. ვცდილობთ, მომავალში მსგავსი რამ აღარ განმეორდეს, მაგრამ, რომ იტყვიან, თავს ზევით ძალა არაა. აქვე ერთიც მინდა ვთქვა — ძლიერმა ყველას უნდა აჯობო, ხალიჩაზეც და მის გარეთაც.

**— ეს წლები ოლიმპიური ციკლისაა. რას უნდა ველოდოთ სიდნეიში მოჭიდავეთაგან?**

— სიდნეისკენ მიმავალ გზაზე უმნიშვნელოვანესი მომავალი წელიწადია. ამიტომ საგაისოდ მეტი გარჯა გვმართებს, მაგრამ როგორ? დეპარტამენტს წლევანდელი თანხაც კი არ მოუცია სრულად. შედეგად მწვრთნელებს ათი თვის ხელფასები არ მიუღიათ, სპორტსმენებს კი 2-3 თვისა. საგაისოდ ფინანსთა სამინისტრო დეპარტამენტს დაფინანსებას არ უზრდის, ამიტომ თანხა არც ჩვენ მოგვემატება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ლარის ინფლაციიდან გამომდინარე მზადების პროცესი გაუმჯობესების ნაცვლად გაუარესდება.

**— სახელმწიფო ბიუჯეტის იმედად ყოფნამ არც გასულ წლებში გახეირათ. თქვენ თუ ეძებთ არასაბიუჯეტო დაფინანსების გზებს?**

— ძირითადად მართლაც სახელმწიფო დაფინანსებაზე ვართ. ეს თანხა არაა საკმარისი. სხვას რომ თავი დავანებოთ, ლამისაა ფედერაციის შენობა თავზე დაგვენგრეს და საერთოდ ქუჩაში დავრჩეთ. რაც შეეხება არასაბიუჯეტო თანხების მოზიდვას, განა რომელი ფედერაცია არსებობს ასე დღევანდელ საქართველოში?

**— თუ არ არსებობს, იმიტომაც უჭირს. ნუ უყურებთ სხვებს და პირველად ეს თქვენ გააკეთეთ. მაშინ ხომ სხვაზე წინ იქნებით?**

— არასაბიუჯეტო თანხების მოსაზიდ გზებს ჩვენც ვეძებთ და მცირე რაოდენობით კიდეც გვაქვს. ამ მხრივ ბევრს ვერაფერს გავახერხებთ, რადგან მთლიანად ქვეყანაში არაა საამისოდ ხელსაყრელი პირობები. ჯერჯერობით ვერც სპონსორი ვიშოვეთ და ვერც მეცენატი. საზღვარგარეთ სპორტს თითქმის მთლიანად სპონსორები აფინანსებენ, მაგრამ ამისთვის მათ გარკვეულ შეღავათებს უწევენ. ჩვენთან მსგავსი რამ არ ხდება, რადგან არ არსებობს შესაბამისი კანონები. ამიტომ სპორტში ფულის ჩადება არავის უნდა. კომერციული საქმიანობა რომ დავიწყოთ, არც საამისო პირობებია ჩვენში. მოგეხსენებათ, ეს რა პრობლემებთანაც არის დაკავშირებული. პრეზიდენტობის გარდა მე ჩაის ფაბრიკის დირექტორიც ვარ, რომელიც ადრე საკავშირო დაქვემდებარების ობიექტი იყო. დღეს ეს სახელმწიფო მნიშვნელობის საწარმო სანახევროდაც ვერ მუშაობს. როცა სახელმწიფო ასეთ გიგანტს ვერ ამუშავებს, ჩვენმა ფედერაციამ რა უნდა გააკეთოს?

**— ესე იგი, მომავალი უიმედოა?**

— მომავალზე თუ ვისაუბრებთ, შემიძლია გითხრათ, რომ ოლიმპიადიდან უმედლოდ არ დავბრუნდებით.

**ირაკლი თავაძე**



**საქართველოს მორაგბეთა ჩემპიონატის ნახევარფინალებსა და ფინალს ფრანგი არბიტრი ანრი კლავერი სჯიდა. მან [illegible] ძალიან კარგად, უშეცდომოდ იმსაჯა, თანაც, [illegible] განსხვავებით, საკმაოდ მკაცრად. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ ბატონი კლავერის დამსახურებაცაა, ამ სამივე მატჩმა ყოველგვარი ექსცესების გარეშე, რაინდულ ბრძოლაში რომ ჩაიარა. ვფიქრობთ, ანრი კლავერთან საუბარი „სარბიელის" მკითხველს უთუოდ დააინტერესებს...**

# ცხოვრება ამით არ მთავრდება

## ტონგასთან მოგების კარგი შანსი გაქვთ

## გვაიმედებს ანრი კლავერი

**— ბატონო კლავერ, ჯერ ორიოდ სიტყვა თქვენს შესახებ.**

— წარმოშობით საფრანგეთის სამხრეთით, ესპანეთის საზღვართან ახლომდებარე ქალაქ პოდან ვარ. ბავშვობიდანვე რაგბის ერთგული ვიყავი. ჯერ თავად ვთამაშობდი, მერე მსაჯობა გადავწყვიტე. საკმაო ხნის მანძილზე გამოვდიოდი „ოლორონ სენტმარისა" და „პოს" სახელით. გარკვეულ წარმატებებსაც მივაღწიე. უკვე ცხრა წელია, რაც მოთამაშის კარიერა დავასრულე, მაგრამ რაგბი იმდენად მაქვს ძვალსა და რბილში გამჯდარი, რომ ვერ მივატოვე და ახლა ვმსაჯობ. ჯერჯერობით საფრანგეთის მეორე დივიზიონის და საფრანგეთის თასის მატჩებს ვემსახურები, მომავალი სეზონიდან კი „ელიტ A"-ს შეხვედრებს ვიმსაჯებ.

**— ვინ მოგიწვიათ საქართველოში?**

— საქართველოს რაგბის კავშირს გადაუწყვეტია, რომ თქვენი ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე უცხოელ მსაჯს ემსაჯა და ამიტომ მიუმართავთ ფრანგი კოლეგებისთვის, ამ საქმეში დაგვეხმარეთო. ჩვენმა ფედერაციამ კი მე შემარჩია და მთხოვა, საქართველოში წამოვსულიყავი, რაზეც, როგორც ხედავთ, დავთანხმდი კიდეც.

**— ამ თამაშების მსაჯობისთვის რაიმე გასამრჯელს თუ იღებთ?**

— არა, ერთ ფრანკსაც კი არა. ჩვენმა ფედერაციამ მხოლოდ სამივლინებო ხარჯები ამინაზღაურა.

**— საქართველო თუ მოგეწონათ?**

— კი, ძალიან. მით უმეტეს, თბილისისა გარდა ბათუმიც ვნახე. ოღონდ ეგაა, თქვენი



ანრი კლავერი მკაცრი და სამართლიანი მსაჯია

მატარებლები ძალიან „ზოზინები" ყოფილან. ბათუმში ჩასვლას 17 საათი დასჭირდა. ჩვენთან ამავე მანძილის დასაფარად მაქსიმუმ სამი საათია საჭირო, მაგრამ ასეთ ხანგრძლივ მოგზაურობასაც თავისებური ეშხი ჰქონია.

**— ქართული საკლუბო რაგბის ოთხი საუკეთესო წარმომადგენელი ნახეთ საქმეში, რომელიმე მორაგბეს თუ გამოარჩევდით?**

— ყველაზე მეტად „ყოჩების" მეცხრე ნომერი (ირაკლი გიორხელიძე — გ.თ.) მომეწონა. საკმაოდ საზრიანად თამაშობს და ჩვენი გუნდების უმეტესობაც არ იტყოდა უარს, იგი თავიანთ რიგებში ეხილათ. ძალიან მომეწონა აგრეთვე ბათუმელთა გუნდი, რომელმაც, მიუხედავად ტალახიანი მინდვრისა (ბათუმში), კარგად იბრძოლა და ფინალშიც დამსახურებულად გავიდა. გადამწყვეტ ბრძოლას შედარებით ასე იოლად თუ დათმობდნენ, ნამდვილად არ მეგონა.

**— საფრანგეთში მოთამაშე ჩვენებურებს თუ იცნობთ?**

— ვიცოდი, რომ საფრანგეთში ქართველებიც თამაშობდნენ, რამდენიმე მატჩიც მიმსაჯია მათი მონაწილეობით, მაგრამ ახლო ურთიერთობა არც ერთ მათგანთან მქონია. ახლა, რომ დავბრუნდები, მათთან სალაპარაკო თემაც მექნება და, ალბათ, უფრო ახლოსაც გავიცნობ.

**— ისევ საქართველოს რაგბის დავუბრუნდეთ. როგორ შეაფასებდით მის საერთო დონეს იმ მატჩებიდან გამომდინარე, რომელთა მსაჯობამაც მოგიწიათ?**

— დონე, შეიძლება. ითქვას, სავსებით დამაკმაყოფილებელია. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო თქვენი მორაგბეების გამარჯვების წყურვილი. ისინი ძალიან ჟინიანად თამაშობენ. ჩემის აზრით, რაგბიში ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. თქვენი ნაკრებიც ვნახე საქმეში და თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ქართულ რაგბის თავის ადგილი აქვს მსოფლიო რაგბიში. რა თქმა უნდა, ჯერჯერობით „ოლ ბლექსის", „ვოლაბების" ანდა ევროპის მოწინავე ხუთი ერის დონემდე ჯერ კიდევ შორსაა, მაგრამ რუმინეთთან, იტალიასთან, ესპანეთთან ანდა არგენტინასთან ისევე ითამაშებთ, როგორც სწორი სწორთან.

**— საქართველოს ნაკრების რომელი მატჩები ნახეთ?**

— ირლანდიასთან და რუმინეთთან. რუმინელებთან ნამდვილად არ უნდა წაგეგოთ, იმდენად სჯობდით. მაგრამ აქ ალბათ, გამოუცდელობამ დაგღუპათ. როცა ერთი გუნდი მეორეზე გაცილებით კარგად თამაშობს და ორ სულელურ ლელოს უშვებს, ეს ნამდვილად გამოუცდელობის ბრალია. განსაკუთრებით საქართველოს ნაკრების შერკინება მომეწონა, რომელმაც პირწმინდად დაჩაგრა რუმინელები. ერთი სიტყვით, მეტად დასანანი მარცხი განიცადეთ, თუმცა ცხოვრება ამით არ მთავრდება.

**— ჩვენც ამის იმედი გვაქვს... შეძლებს გამოუცდელი საქართველო გამოცდილი ტონგის დამარცხებას და მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრას?**

— ტონგა მართლაც საკმაოდ გამოცდილი და ძლიერი ნაკრებია. ერთობ ღონიერი მორაგბეები ჰყავთ და ხელით თამაშიც მშვენივრად ეხერხებათ. მთავარია, ბურთი რაც შეიძლება მეტხანს აკონტროლოთ და მეტოქეს ჩვეულად თამაშის საშუალება არ მისცეთ. ამასთან, არ უნდა დაგავიწყდეთ, რომ რაგბის მატჩი ორი ორმოცწუთიანი ტაიმისგან შედგება. ამით იმის თქმა მინდა, რომ ბრძოლა მსაჯის საფინალო სასტვენამდე არ უნდა შეწყვიტოთ. ჩემი აზრით, ტონგასთან წარმატების მიღწევის და მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშის საკმაოდ კარგი შანსი გაქვთ. მე, ჩემდა თავად, გამარჯვებას მთელი სულით და გულით გისურვებთ და მჯერა, გაიმარჯვებთ კიდეც.

*ბატონ კლავერს მადლობა გადავუხადე ინტერვიუსთვის, დავემშვიდობე კიდეც, მაგრამ მთხოვა, ორიოდ სიტყვის დამატება მინდოდაო.*

— დიდი მადლობა მინდა ვუთხრა საქართველოს რაგბის კავშირს გულითადი მასპინძლობისთვის და იმედი მაქვს, ქართველ და ფრანგ მორაგბეებს შორის ურთიერთობა კვლავაც გაგრძელდება და გაღრმავდება.

*ფრანგი მსაჯის სიტყვებში სითბო იგრძნობოდა.*

**გაიოზ თალაკვაძე**

# ქართველი ბავშვები კალათბურთს ამერიკული პროგრამით ისწავლიან

ბადრი კიკილაშვილის ფოტო



ბესიკ ლიპარტელიანი

ახლა, როცა ქართული კალათბურთის გასაჭირზე ყველა ხმამაღლა საუბრობს, მიზეზების ჩამოთვლისას უნებლიეთ ბავშვთა კალათბურთსაც გადასწვდებიან ხოლმე და არცთუ უსაფუძვლოდ. ჩვენში არსებული საყოველთაო კრიზისის თავიდათავი სწორედ ნორჩთა კალთბურთში არსებული არაჯანსაღი სიტუაციააო — ხშირად გაიგონებთ ჩვენს საკალათბურთო წრეებში მოტრიალე ხალხისგან. კი, ბატონო, ასეა, მაგრამ უმთავრესზე არავინ ლაპარაკობს, კონკრეტულად ჯერ არ თქმულა, თუ როგორ უნდა ვუშველოთ ამ სახეობას. მარტო საუბრით კი...

საბედნიეროდ, ჯერ კიდევ არსებობენ ჩვენში ადამიანები, ამაზე ფიქრში რომ ათენ-აღამებენ. ხალხი, რომელიც შიშველი ხელებითა და ენთუზიაზმით შეეჭიდა ამ მართლაც საერო საქმეს, მიზნად ქართული კალათბურთის გადარჩენა დაისახა და ამისათვის არც ნაცნობ-მეგობრებისა და „მაღალი ეშელონების“ შეწუხებას მოერიდა. ისინიც გაგებით მოეკიდნენ სერიოზული და საქმის ტრფიალი ხალხის ნააზრევს, მხარში ამოუდგნენ და ყინულიც დაიძრა.

განა ამ ზაფხულს არ იყო, კალათბურთის ბავშვთა აკადემია რომ აზმაურდა, თბილისში ითანამედროვე ტიპის საკალათბურთო სკოლას ვაფუძნებთო? მაშინ აკადემიის დირექტორმა ბესიკ ლიპარტელიანმა პრესკონფერენციაც გამართა და ჟურნალისტებს გეგმა-პროექტებიც გააცნო. მას შემდეგ რამდენიმე თვემ განვლო, ჩვენც მათ საქმოსნობაში დასარწმუნებლად კიდევ ერთხელ ვეწვიეთ ბავშვთა აკადემიას და ბესიკ ლიპარტელიანს გავესაუბრეთ:

— ახალხან დავბრუნდით ამერიკის შეერთებულ შტატებიდან, სადაც სწორედ აკადემიის საქმეებზე ვიმყოფებოდით. სამი თვე გვქონდა მიმოწერა ნიუ იორკთან, რამაც საბოლოოდ გაამართლა და ჩემი მოადგილის გია ქემოკლიძის მონდომებით ათი დღე ამ ქალაქში დავყავით.

დავესწარით ოთხი კოლეჯისა და ორი უნივერსიტეტის გუნდების ვარჯიშებს, აგრეთვე რამდენიმე თამაშს „მედისონ სკვერ გარდენის“ საკალათბურთო დარბაზში. საგანგებოდ ჩვენს ჩასვლას დაამთხვიეს სემინარები, სადაც გამოცდილი სპეციალისტები ბავშვთა კალათბურთის განვითარების პროგრამებზე საუბრობდნენ. ერთი სიტყვით, შინ მეტად კმაყოფილნი და ენით აუწერელი შთაბეჭდილებებით დავბრუნდით.

**— ყოველივე ეს დიდძალ ხარჯებთან არის დაკავშირებული...**

— ამ მხრივ ყველანაირი პრობლემა შპს „ქართუმ“ მოგვიხსნა, რომელიც აკადემიის დაარსების დღიდან გვერდში გვიდგას და მაქსიმალურად გვეხმარება. სწორედ „ქართუმ“ იკისრა ის ხარჯებიც, რომელიც თანამედროვე კალათბურთში მეტად ფასეული ინვენტარის შესაძენად გვჭირდებოდა. რახანია, შემოვიტანეთ სპეციალური ფარები. ამერიკიდან ჩამოვიტანეთ რამდენიმე სახის მანჟეტები, რომლებიც მოზარდს ბურთის ტარების შეთვისებაში დაეხმარება. ასეთივე დანიშნულება აქვს სათვალეებს, რაც ყველაზე მთავარია, სროლის სასწავლი სპეციალური ხელსაწყო შევიძინეთ. ამერიკელებმა გამოთვალეს და დაადგინეს, რომ სროლის დროს ხელი რაღაც გარკვეულ გრადუსამდე უნდა მოიხაროს. ინვენტარსაც სწორედ ეს მიზანი აქვს, იგი ბავშვს საშუალებას არ აძლევს, არასწორი მოძრაობა გააკეთოს.

აღარაფერს ვამბობ უამრავ ვიდეომასალაზე, სადაც დაწვრილებითაა აღბეჭდილი სავარჯიშო მეთოდიკა. დრო საკმაოდ გვაქვს, დავსხდებით, ყველაფერს საგულდაგულოდ გავარჩევთ, შემდეგ მწვრთნელებთან ერთად ავწონ-დავწონით და შევიმუშავებთ საუკეთესო პროგრამას, რომლის მიხედვითაც ბავშვებთან ვიმუშავებთ.

**— იმედია, თქვენი ურთიერთობა მარტო ამ ვიზიტით არ შემოიფარგლება.**

— გეთანხმებით. მიმოსვლას აუცილებლად გავაგრძელებთ. უკვე შევათვალიერეთ კიდეც კოლეჯები, რომლებთანაც მომავალშიც ვთანამშრომლებთ. თუ ზოგან სწავლის საფასური 15-20 ათასი დოლარის ფარგლებში მერყეობს, ჩვენ სულაც უფასო კოლეჯი ვნახეთ. მათ თავად გამოთქვეს დაინტერესება და როცა ჩავთვლით, რომ ბავშვთა მივლინება შესაძლებელი იქნება, ასეც მოვიქცევით.

**— მახსოვს, ადრე საქართველოში მინი-კალათბურთის ფედერაციის დაარსებაზეც საუბრობდით.**

— ეს იდეა კარგა ხანია, გაგვიჩნდა და აუცილებლად განვახორციელებთ. ამას, უბრალოდ, დრო სჭირდება. ისე, ფედერაციის შტაბ-ბინა ინგლისშია და მათთან სისტემატური ურთიერთობა გვაქვს. ამ ზაფხულს ესპანეთში ან იტალიაში გაიმართება 1987-88 წლებში დაბადებული ბავშვების მსოფლიოს პირველობა, სადაც ჩვენც მიგვიწვიეს და შესაძლებელია, ვითამაშოთ კიდეც.

მაისში თბილისის ფესტივალის მოწყობას ვგეგმავთ. მეტიც, ეს გადაწყვეტილია — ტურნირი ტრადიციული გახდება და ცნობილი ქართველი კალათბურთელის ოთარ ქორქიას სახელი დაერქმევა. ვფიქრობ, ეს კაცი ამის ღირსია. აქ უცხოურ გუნდებიც ჩამოვლენ და დარწმუნებული ვარ, საინტერესო სანახაობას ვიხილავთ.

**— სამომავლო გეგმები მართლაც კარგი დაგისახავთ, მაგრამ ახლა რა მდგომარეობაა აკადემიაში, მსურველები თუ მოდიან, ან თუ აკმაყოფილებენ თქვენს მოთხოვნებს?**

— მსურველი, იცოცხლეთ, ბევრია. ახლა უკვე 210 ბავშვი გვყავს, რომლებთანაც 9 მწვრთნელი მუშაობს. დაახლოებით ამდენივეს უარი ვუთხარით, რადგან ჩვენს ხელთ არსებული ორად ორი დარბაზი მეტის საშუალებას არ იძლევა, მაგრამ ამასაც მოევლება. ჩვენს უახლოეს გეგმებში რეგიონებში გასვლაცაა. აკადემიის ფილიალებს დავაარსებთ ქუთაისში, ბათუმში, რუსთავში... ყველაფერი კი იმის წინაპირობას შეგვიქმნის, რომ რამდენიმე წელიწადში უკვე აკადემიის ჩემპიონატიც მოვაწყოთ.

ყოველწლიურად ჩატარდება მინი-გამოცდებიც, სადაც კონტიგენტის გადახალისება მოხდება. ჩვენთან მხოლოდ ნიჭიერები და შრომისმოყვარენი დარჩებიან, რადგან მშობლების ინტერესებსაც ვითვალისწინებთ — როცა მშობელი ფულს იხდის, მას ეს უნდა ულირდეს კიდეც.

**გიორგი გიქაშვილი**

| | |
|---|---|
| 8 დეკემბერი, თბილისი, ვერის ბაღი | 7 ტური |

**შევარდენი 81:84 თსუ**

I ტაიმი 36:39. ძირითადი დრო 74:74

შევარდენი: გაგნიძე (18), კაზანჯიანი (7), აკოლაშვილი (25), ცაგარეიშვილი (2), ნუცუბიძე (24); მესხი (2), ხობელია (3)

თსუ: ვეფხვაძე (7), წოწელია (4), მარკოიშვილი (18), ცქიტიშვილი (15), ხელაშვილი (13); არსიაშვილი (3), მგალობლიშვილი (10), დიმიტრიადი (14), მშვილდაძე

მსაჯები: მურმან ქურიძე, როლანდ ხომერიკი

დელეგატი: ნოდარ დარახველიძე

ამ შეხვედრას ორი საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი სჯიდა: როლანდ ხომერიკი საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტია, მურმან ქურიძე კი მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე. ყოველივე ამის მიზეზი არბიტრთა ნაკლებობაა: როგორც კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა აკაკი მეგრელაძემ გვითხრა, ლაშა თოიძე და ალექსანდრე როსტომაშვილი შეუძლოდ არიან, ზურაბ აბაშიძე და დავით ბერეკაშვილი კი „დინამო“ — სტუ-ს თამაშზე იყვნენ გამწესებულები და დარბაზში დანიშნულ დროს მივიდნენ.

ურიგო არ იქნება, თუ ეს წყვილი ლიდერთა თამაშებსაც იმსახებს, თუმცა არც გუშინდელი მატჩი გამოდგა უინტერესო.

კალათბურთის გულშემატკივრებს, ალბათ, ახსოვთ წინა ჩემპიონატში ამ გუნდების შეხვედრა. დაძაბული ბრძოლა „შევარდენის“ გამარჯვებით დასრულდა და, ბუნებრივია, უნივერსიტეტელები გუშინ რევანშის აღების სურვილით გამოვიდნენ მოედანზე.

შეხვედრის დასაწყისში თსუ-მ ზონურ დაცვას მიმართა, რაც უეჭველად „შევარდენის“ წისქვილზე ასხამდა წყალს — მოგეხსენებათ, ამ გუნდში მრავლად არიან სამქულიანის შემსრულებლები. ცენტრი ნუცუბიძე კი წინა ცენტრზე ამოვიდა და თანაკლუბელებს ექვსმეტრიან ხაზთან ამარაგებდა გააზრებული პასებით.

ანგარიში კი შევარდენელმა გაგნიძემ სამიანით გახსნა, რასაც ვეფხვაძემ უმალ სწრაფი შეტევით უპასუხა. ნუცუბიძეს უჭირდა ორი ტანმაღალი მეტოქის წინააღმდეგ ფარქვეშ ბრძოლა, ამიტომ, როგორც ყოველთვის, „შევარდენი“ სამიანებით ლამობდა ფონს გასვლას და არცთუ ურიგოდ. ყოველივე ამას კი ქორქიას შეგირდებმა სწრაფი კონტრშეტევები დაუპირისპირეს. მარკოიშვილის წყალობით მე-6 წუთზე სტუდენტები 5 ქულით დაწინაურდნენ — 10:5. ამის შემდეგ „შევარდენი“ გააქტიურდა და მე-7 წუთისათვის ანგარიში შეამცირა — 10:12. წინ კვლავ თსუ-ა. მატჩის დასაწყისში შევარდნელ აკოლაშვილს შორეული სროლები არ წაუვიდა, მაგრამ აქ კაზანჯიანმა ივარგა და თავისი გუნდი დააწინაურა 13:12. სტუდენტთაგან კი პირველ ნახევარში საუკეთესო მარკოიშვილი იყო. მთელი ტაიმის მანძილზე „შევარდენი“ მდევრის როლში ვიხილეთ. ანგარიში ნელ-ნელა იზრდებოდა თსუ-ს სასარგებლოდ, მაგრამ „შევარდენი“ მართლაც თავგამოდებით იბრძოდა და ყველა ღონეს ხმარობდა, რათა მეტოქეს ძალიან არ ჩამორჩენოდა.

მე-16 წუთზე სტუდენტებმა ვეფხვაძე-ხელაშვილი-ცქიტიშვილის ლამაზი კომბინაციის შემდეგ 9-ქულიან უპირატესობას მიაღწიეს, ამ უკანასკნელმა ეფექტურად ჩატენა. თუმცა „შევარდენი“ ისევ გააქტიურდა და აკოლაშვილის სამიანით და შემდეგ მისივე ორქულიანით ანგარიში კვლავ შეამცირა.

მეორე ტაიმში ყველა დაძაბულ ბრძოლას ელოდა და მოთამაშეებმაც გაამართლეს მაყურებლის იმედი. დასაწყისში გუნდებმა რამდენიმე უშედეგო შეტევა გაცვალეს და მე-5 წუთზე ნუცუბიძემ ანგარიში ერთ ქულამდე შეამცირა, რასაც უმალ ხელაშვილმა უპასუხა და ორი საჯარიმო მოათავსა კალათში. შემდეგ კი თსუ გააქტიურდა. კვლავ კარგად ირჯებოდა მარკოიშვილი, ფარქვეშ კი ცქიტიშვილმა გაილაღა. მეორე ნახევრის მე-8 წუთზე თსუ-ს უპირატესობამ 10 ქულას მიაღწია. ამას სამიანიც მოჰყვა და თითქოს მატჩის ბედიც გადაწყდა, მაგრამ „შევარდენს“ მეორე სუნთქვა გაეხსნა. გუნდს დასვენებული აკოლაშვილი შეემატა, მისი და ნუცუბიძის მშვენიერი თამაშის შედეგად სტუდენტთა 14-ქულიანი უპირატესობა თვალსა და ხელს შუა გაქრა.

# შვიდი ცოდოა და [illegible]! მესხი ბურთს რომ დასწეოდა...

მეორე ნახევრის ბოლო ოთხი წუთი კი მართლაც დრამატული გამოდგა. „შევარდენმა“ დიდი ბრძოლისუნარიანობა გამოავლინა და მაყურებელიც მატჩის მიწურულს სწორედ მას უჭერდა მხარს. მოედანზე ახალშესულმა მესხმა დროული სამიანი მოათავსა კალათში და მე-17 წუთზე თსუ სამი ქულითღა იგებდა 70:67. თანაგუნდელს აკოლაშვილმაც მიბაძა და ლამაზი შესვლით ანგარიში ერთ ქულამდე შეამცირა. ნუცუბიძესთან ბრძოლაში მეხუთე ჯარიმა მიიღო მარკოიშვილმა და მოედანი დატოვა. ნუცუბიძემ კი ორიდან ერთი საჯარიმო გამოიყენა და ანგარიშიც გათანაბრდა 70:70. მგალობლიშვილმა მეტად საჭირო ორი ქულა აიღო, აკოლაშვილმა კი სამქულიანი მოაყოლა და მეორე ნახევარში „შევარდენი“ პირველად დაწინაურდა — 73:72.

დარჩენილია 51 წამი და კვლავ სტუდენტები გადიან წინ — 74:73, თუმცა ნუცუბიძესთან ორთაბრძოლაში ჯარიმდებიან. „შევარდენის“ ცენტრმა ორიდან ერთი ჯარიმა ჩააგდოა და ანგარიშიც კვლავ გათანაბრდა 74:74.

ძირითადი დროის დამთავრებამდე 25 წამით ადრე ბურთს თსუ ფლობს, ცდილობს, შეტევა ცენტრების მეშვეობით დააგვირგვინოს — ხელაშვილმა ააცილა. ბურთი ექვსი წამით ადრე „შევარდენმა“ იგდო ხელთ და სწრაფი შეტევაც განავითარა, მაგრამ...

მესხი რომ გაგნიძის გრძელ პასს დასწეოდა, შესაძლოა, კიდევ ერთი სენსაციის მოწმენი გავმხდარიყავით.

დამატებით დროში კი სტუდენტებმა მთლიანად იგდეს ხელთ მატჩის სადავეები. „შევარდენს“ აშკარად დაღლა დაეტყო: მთელი შეხვედრის მანძილზე 7 მოთამაშით იბრძოლა. აღსანიშნავია „შევარდენის“ ერთ-ერთი წამყვანი კალათბურთელის კახა მაჭავარიანის არყოფნაც.

ეს დაძაბული პაექრობა დამატებით დროში თსუ-ს გამარჯვებით დასრულდა.

**ზურაბ გონაშვილი**

| | |
|---|---|
| 8 დეკემბერი, თბილისი, ვერის ბაღი | 7 ტური |

**სტუ — დინამო**

*გადაიდო*

მიმდინარეობდა მატჩის მეოთხე წუთი, როდესაც ვერის ბაღში მოასპარეზე გუნდებსა და შემცივნულ გულშემატკივრებს დენმა უმუხთლა.

„დინამოს“ მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა მსაჯთა მაგიდას დროის დანიშვნა მოსთხოვა და 15 წუთში გუნდს წავიყვანო — დააყოლა.

თითქმის ნახევარი საათი გავიდა, მაგრამ მომლოდინენი ამაოდ დაშვრნენ. ფედერაციის გენერალურმა მდივანმა აკაკი მეგრელაძემ გვითხრა, ყოველივეს მსაჯთა კოლეგია განიხილავს და შეხვედრის გადათამაშების თარიღსაც შემდეგ შეიტყობთო.



შევარდენი — თსუ. უტევს სტუდენტი მგალობლიშვილი (7)

# რატომ არ ათამაშა ქარაბაკი მოსეშვილმა?



ტაქტიკა, რომელიც მოსეშვილმა სამომავლოდ დაისახა, ვფიქრობ, არასწორია და მე იქ ზედმეტი ვარ



ქარაბაკი ჩვენს სათამაშო ტაქტიკას რომ არ ერგებოდეს, ისრაელის შეკრებაზეც არ წავიყვანდით

„მე ამბიციური კაცი ვარ და ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, სტატისტის როლს ვერაფრით ვიგუებ" — განუცხადა „სარბიელს" საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების ფორვარდმა ლევან ქარაბაკმა, რომელიც ორიოდ დღის წინ ვერის ბაღში მოვიხელთეთ და ჩეხეთის გუნდთან უთამაშებლობის მიზეზზე დავეკითხეთ.

„ქარაბაკი ისრაელურ შეკრებაზე დაშავდა" — გაიჟღერა მწვრთნელთა ნათქვამმა და თითქოს ყველაფერიც აქ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ...

წერილის თავში ნათქვამი სიტყვებით ლევან ქარაბაკმა აშკარა უკმაყოფილება გამოხატა ნაკრების ხელმძღვანელობის მიმართ, ხოლო იმან, რაც მან შემდეგ გვითხრა, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა:

— ისრაელურ შეკრებაზე ერთ-ერთი ვარჯიშისას მსუბუქად დავშავდი, მაგრამ ამის შემდეგ ამხანაგურ შეხვედრებშიც ვითამაშე და ოპავის მატჩამდე ტრავმის მოსაშუშებლად დროც საკმაო იყო. აკი ყველაფერი ისე წარიმართა, როგორც ვვარაუდობდი და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ — ჩეხებთან საბრძოლველად ასი პროცენტით მზად ვიყავი.

**— მწვრთნელებმაც თქვეს — ქარაბაკი ფორმაშია და ჩეხეთთან აუცილებლად იქნებაო. მართალია, შემადგენლობაში დაგაყენეს, მაგრამ მოედანზე წუთიც არ გითამაშია. ჩვენც, ბუნებრივია, ყოველივე შენს ფეხს დავაბრალეთ...**

— პრესაშიც და ტელევიზიაშიც ისე გამუქდა, თითქოს შეუძლოდ ვიყავი. ეს სიცრუეა, რადგან ამ შემთხვევაში არც ათკაცში დამაყენებდნენ. აბა, ხეიბარს ხომ არ მათამაშებდნენ? მაგრამ ხომ გეუბნებით, მსგავსი არაფერი ყოფილა და უთამაშებლობის მიზეზს ახლაც ვერ მივმხვდარვარ.

და რაც ყველაზე საწყენია: მატჩის შემდეგ ჩემთან არავინ მოსულა, არც მწვრთნელს აუხსნია, თუ რატომ მოხდა ასე, არადა, ეს მისი უშუალო მოვალეობაა.

**— ლევან, ამ სიტყვებმა შესაძლოა შენს სანაკრებო კარიერაზე უარყოფითად იმოქმედოს. ნუთუ ეს არ გადარდებს?**

— იცით, რა? ჩეხეთიდან დავბრუნდი თუ არა, მეორე დილასვე მოსეშვილთან მივედი, ეროვნული ნაკრების ფორმა გადავეცი და ვუთხარი, ამიერიდან ნაკრებში თამაშზე უარს ვამბობ-მეთქი. კარგად გამიგეთ, ქვეყნის პირველი გუნდი ჩემთვის ყველაფერზე ძვირფასია, მაგრამ მათ მაგრძნობინეს, რომ აღარ ვჭირდები. ტაქტიკა, რომელიც მოსეშვილმა სამომავლოდ დაისახა, ვფიქრობ, არასწორია და მე იქ ზედმეტი ვარ.

**— იქნებ უკეთ გაგვარკვიო შენს მიერ უგულებელყოფილი ტაქტიკის არსში?**

— ტაქტიკაზე საუბარი ჩემი საქმე არაა. ამაზე, გირჩევთ, მწვრთნელებს დაეკითხოთ. მე კალათბურთი უნდა ვითამაშო და ამისთვის ყველაფერს გავაკეთებ.

**— მოდი, ახლა ყველაფერს სხვა მხრიდან შევხედოთ. ამას წინათ მოსეშვილმა პირადად მითხრა, მართალია, ქარაბაკს ტრავმების გამო წელიწადნახევარი გაუცდა, მაგრამ მას ბოლომდე ვენდობი, მისი დიდად მეიმედება და ახლა თუ არა, მომავალში აუცილებლად დავაყენებთო. ამაზე რაღას იტყვი?**

— არ ვიცი, თქვენ რა გითხრათ მოსეშვილმა, მაგრამ პირადად ჩემთვის ესეც გაუგებარია. თუ მან ყოველივე წინასწარვე განსაზღვრა, მაშინ ჩემს გამოძახებას რა აზრი ჰქონდა. ამასაც რომ თავი დავანებოთ, ეს მე უნდა მცოდნოდა, მაგრამ ამისთვის ვერავინ მოიცალა.

...ახლა, ორიოდ დღეში უკრაინაში მივფრინავ. იქ ჩემი გუნდი, „ნეფტოხიმავალი" მელოდება, სადაც ჩავამთავრებ კიდეც ამ სეზონს. შემდეგ უკეთეს კლუბს მოვძებნი. ნაკრებზე კი უკვე მოგახსენეთ. ეროვნულ გუნდში მაშინ ვითამაშებ, როცა დავინახავ, რომ მწვრთნელებს ვჭირდები.

*რა თქმა უნდა, ქარაბაკის განცხადება საგანგებო მსჯელობის საგანი გახდება. ამის შესახებ „სარბიელი" თავად ეროვნულ ნაკრების მთავარ მწვრთნელს დაეკითხა, მაგრამ ლევან მოსეშვილმა თავისი აზრის გამოთქმისაგან თავი შეიკავა. მან ამის მიზეზად ის დაასახელა, რომ თავის მართლებას არავის წინაშე არ აპირებს. თუმცა ესეც დაამატა, ქარაბაკი ჩვენს სათამაშო ტაქტიკას რომ არ ერგებოდეს, ისრაელის შეკრებაზეც არ წავიყვანდითო.*

გიორგი ბიძაშვილი


იყიდება ესპანური კედლის და იატაკის მოსაპირკეთებელი ფილები (მეტლახი, კაფელი) იაფად, შინ მიტანით.

მისამართი: ელიავას ბაზრობა, სანტექნიკის რიგი, ჯიხური № 179.
დილის 10-დან საღამოს 5 საათამდე.



იყიდება ბინა საბურთალოზე შრომის სასახლესთან 1(5)
საერთო ფართობი 165 კვ.მ
3 სარდაფი, ბაღი, მუდმივი წყალი, გაზი
ფასი შეთანხმებით
ტელეფონი: 38-70-44




# ნედვედი გრეცკის შეღავათია



REUTERS ნიუ იორკიდან

ტორონტოელმა სტივ ტომასმა რეინჯერსის მეკარე მაიკ რიხტერს ვერ გაუტანა

7 დეკემბერი

**რეინჯერსი — ტორონტო 6:2**

**2:1 2:1 2:0**

0:1 მოდინი 0'25 (7); 1:1 ნაბლი 9'22 (4); 2:1 ჰარვი 19'51 (8); 3:1 სუნდსტრიომი 20'53 (6); 4:1 ლიჩი 35'27 (6); 4:2 ბერეზინი 38'09 (8); 5:2 ნედვედი 52'32 (3); 6:2 მაკლინი 53'25 (10)

როგორც იქნა, გრეცკიმ შვებით ამოისუნთქა. 37 წლის ვეტერანს, რომელსაც ბოლო ორი სეზონია, ორმაგი ფუნქცია ეკისრება (უეინი კარიერის საუკეთესო წლებშიც კი არ ატარებდა ამდენ დროს ყინულზე), ღირსეული დამხმარე გამოუძებნეს პეტრ ნედვედის სახით. ეს მეამბოხე ჰოკეისტი გრეცკის სამეულში ფრთაზე გაამწესეს, მაგრამ ამპლუით ცენტრფორვარდი ამ პოზიციას ვერ შეეგუა და მომდევნო შეხვედრებში ჩვეულ ადგილს დაუბრუნდა. რეინჯერსიც უეცრად გარდაიქმნა — ახლა ნიუიორკელებს ორი შემტევი სამეული ჰყავთ, ის კი არა, ზოგმატჩში სუნდსტრიომ — ნედვედ — ნაბლის ტრიო გრეცკის კომპანიასაც კი ჩრდილავს. ასე იყო ამჯერადაც: ნედვედის სამეულმა 10 ქულა მიითვალა, თანაც ნიკლას სუნდსტრიომმა (1+3) პირადი რეკორდი დაამყარა. მეორე ხაზიდან გადაყვანილმა მაიკ ნაბლმა გულწრფელად აღიარა, რომ ნედვედის გვერდით ფრთები შეესხა. აღარაფერს ვამბობთ თავად ჩეხზე, რომელიც დღითიდღე უმატებს. რაც დაბრუნდა, მან შვიდივე შეხვედრაში დააგროვა ქულები (3 გოლი და 7 პასი).

**კალგარი — დალასი 2:3**

**1:0 0:3 1:0**

1:0 უორდი 14'53 (2); 1:1 მოდანო 21'51 (8); 1:2 სკრუდლანდი 33'59 (2); 1:3 ზუბოვი 59'59 (3); 2:3 უიმერი 45'44 (3)

„ვარსკვლავებმა" ზედიზედ მეორე მატჩში მეორე პერიოდში იძალეს და თამაშის ბედი ამ მესამედში გადაწყვიტეს. სტუმრებმა სამი შაიბა ხომ შეაგდეს, ბულიტიც გაიხერხეს, თუმცა ვერ გამოიყენეს. მათ ლიდერ მაიკ მოდანოს, რომელმაც ეს შანსი ხელიდან გაუშვა, შეხვედრის მიწურულს მაისურის გამოცვლა მოუხდა, რადგან ერთ-ერთი კალგარელის ყვანჯმა სახე დაუსერა და სამოსი გაუსისხლიანდა. ამიტომაც იყო, რომ ბოლო სამი წუთის განმავლობაში დალასელთა კაპიტანი მე-14-ის ნაცვლად 76-ე ნომრით თამაშობდა.

## სატურნირო ვითარება

| ჩრდილო-აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორონტო | 27 | 15 | 2 | 10 | 83:78 | 32 |
| ბუფალო | 22 | 13 | 4 | 5 | 65:42 | 30 |
| ბოსტონი | 24 | 11 | 6 | 7 | 63:45 | 28 |
| ოტავა | 23 | 12 | 3 | 8 | 68:54 | 27 |
| მონრეალი | 25 | 8 | 3 | 14 | 57:74 | 19 |

| სამხრეთ-აღმოსავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაროლინა | 27 | 12 | 5 | 10 | 72:64 | 29 |
| ფლორიდა | 24 | 8 | 6 | 10 | 5865 | 22 |
| ვაშინგტონი | 24 | 8 | 3 | 13 | 55:69 | 19 |
| ტამპა | 25 | 7 | 2 | 16 | 56:95 | 16 |

| ატლანტა | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუ ჯერსი | 24 | 15 | 2 | 7 | 66:55 | 32 |
| ფილადელფია | 24 | 12 | 4 | 8 | 64:52 | 28 |
| პიტსბურგი | 24 | 10 | 7 | 7 | 71:64 | 27 |
| რეინჯერსი | 26 | 10 | 7 | 9 | 71:51 | 27 |
| აილენდერსი | 26 | 10 | 0 | 16 | 67:79 | 20 |

| ცენტრი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დეტროიტი | 24 | 14 | 1 | 9 | 81:59 | 29 |
| სენტ ლუისი | 22 | 9 | 5 | 8 | 5852 | 23 |
| ნეშვილი | 24 | 9 | 1 | 14 | 55:74 | 19 |
| ჩიკაგო | 25 | 8 | 3 | 14 | 59:88 | 19 |

| წყნარი ოკეანე | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფინიქსი | 21 | 15 | 3 | 3 | 62:35 | 33 |
| დალასი | 23 | 15 | 3 | 5 | 66:47 | 33 |
| ანაჰაიმი | 25 | 9 | 5 | 11 | 57:62 | 23 |
| სან ხოსე | 24 | 5 | 6 | 13 | 51:62 | 16 |
| ლოს ანჯელესი | 26 | 6 | 3 | 17 | 55:76 | 15 |

| ჩრდილო-დასავლეთი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ედმონტონი | 25 | 13 | 1 | 11 | 75:66 | 27 |
| კოლორადო | 24 | 11 | 2 | 11 | 62:65 | 24 |
| ვანკუვერი | 26 | 10 | 3 | 13 | 74:76 | 23 |
| კალგარი | 26 | 9 | 2 | 15 | 71:77 | 20 |

*__ბომბარდირები:__ იაგრი (პიტსბურგი) 35(8+27); ლინდროსი (ფილადელფია) 33(12+21); ფორსბერგი (კოლორადო) 31(7+24); ლეკლერი (ფილადელფია) 30(18+12); კარია (ანაჰაიმი) 30(13+17); საკიკი (კოლორადო) 30(11+19); ამონტე (ჩიკაგო) 29(20+9); სტრაკა (პიტსბურგი) და ფლერი (კალგარი) 28(14+14); აიზერმანი (დეტროიტი) 28(11+17); ხრისტიჩი (ბოსტონი) 27(11+10); მესიე (ვანკუვერი) 27(10+17); სუნდინი (ტორონტო) 27(8+19)*

*__გოლები:__ ამონტე 20; ლეკლერი 18; ტკაჩუკი (ფინიქსი), სტრაკა და ფლერი 14; კლარკი (ტამპა), პრიმო (კაროლინა), შენაჰანი (დეტროიტი), კარია, ნესლუნდი (ვანკუვერი) და გერინი (ედმონტონი) 13*

*__პასები:__ იაგრი 27; ფორსბერგი 24; ლინდროსი და გრეცკი (რეინჯერსი) 21; საკიკი და სუნდინი 19; რენიკი (ფინიქსი) 18*

*__ნაყოფიერების კოეფიციენტი:__ ლინდროსი +17; ლეკლერი და ტკაჩუკი +15; შენონი (ბუფალო), მაკარტი (დეტროიტი) და მირონოვი (ედმონტონი) +14*

*__რიცხობრივ უმრავლესობაში გატანილი შაიბები:__ ამონტე, დემიტრა (სენტ ლუისი) და გერინი 8; ხრისტიჩი, ბრინდამორი (ფილადელფია) და ბარნსი (პიტსბურგი) 7*

*__საჯარიმო წუთები:__ ოჯიკი (აილენდერსი) 133; ბერუბი (ვაშინგტონი) და უორელი (ფლორიდა) 91; უიმერი (კალგარი) 88; ლოსი (ფლორიდა) 87; ოჯერსი (კოლორადო) 86*

*__ახალგაზრდები:__ პერიში (ფლორიდა) 15(10+5); მუკალტი (ვანკუვერი) 15(8+7); ჰეიდუკი 14(4+10); დრური (ორივე — კოლორადო) 11(6+5); მორისონი (ნიუ ჯერსი), უოტი (აილენდერსი) და კაბერლე (ტორონტო) 11(3+8)*

# ბოულინგმა დიდად არგო

ვაშინგტონის მწვრთნელმა რონ უილსონმა რა აღარ ილონა, რათა შეგირდები გამოეცოცხლებინა. პარასკევს, აილენდერსთან მატჩის წინ, „კეპიტალსის" თავკაცმა თავისიანები დაასვენა და ვარჯიშის ნაცვლად ბოულინგის სათამაშოდ გაუშვა. ძალამოკრებილი ჰოკეისტებიც ურიგოდ არ გამოიყურებოდნენ, ის კი არა, მესამე პერიოდში „კუნძულელებს" შავი დღე აყარეს — 5 დარტყმიდან 4 გოლად აქციეს. ისიც აღნიშვნის ღირსია, რომ აქედან 2 მასპინძლებმა უმცირესობაში, სულ ერთ წუთში შეაგდეს, როცა მათი ფორვარდი ბრაიან ბელოუზი საჯარიმო სკამზე იჯდა. თუმცა მეორე დღეს დედაქალაქელებმა ეს გამარჯვება, ცოტა არ იყოს, გააუფერულეს — თავიანთ 25-წლიან ისტორიაში ყველაზე ხანგრძლივი, 8-მატჩიანი ტურნე ფილადელფიაში 1:2 მარცხით დაიწყეს.

სამველ ღარიბიანი

## კვირის მოთამაშე

**დომინიკ ჰაშეკი (ბუფალო)**



ისე შევეჩვიეთ დიდებული დომინიკ ჰაშეკის ფანტასტიკურ თამაშს, ერთ შაიბაზე მეტს რომ არ გაუშვებს და 35-40 დარტყმას მოიგერიებს, ჩვეულებრივ ამბად აღვიქვამთ, და ყურადღებას აღარც ვაქცევთ. მაგრამ მას შემდეგ, რაც ბოლო სამ მატჩში „დომინატორმა" სულ ორი შაიბა გაუშვა (95 დარტყმიდან), ხოლო პარასკევს შეუჩერებელი ლინდროსი და K ხელმოცარული დატოვა და კარიერაში 37-ე შათაუტი მიითვალა, ნამდვილად ყველა გააოცა. ტრადიციულად ჰაშეკი კვლავ ლიდერობს მეკარეთა შორის (ზედიზედ ექვსი წელია) დარტყმების 94,1 პროცენტის მოგერიებით. იმასაც შეგახსენებთ, რომ მან შარშან სწორედ დეკემბერში მიითვალა შათაუტების მთელი სერია. ასე რომ, ყველაფერი ჯერ წინაა.

**საუკეთესო ექვსეული**

*დომინიკ ჰაშეკი (ბუფალო, 1); ადამ ფუტი (კოლორადო, 1); დერილ შენონი (ბუფალო, 1); იარომირ იაგრი (პიტსბურგი, 2); ალექსეი ჟამნოვი (ჩიკაგო, 1); მარკუს ნესლუნდი (ვანკუვერი, 1).*



# რომ გაიგო, როგორ ფრინავს ყვავი

კარგა ხანია, ერიკ კანტონა ფეხბურთიდან წავიდა. მთელი წელიწადნახევარი გავიდა, რაც მანჩესტერიდან სამშობლოში დაბრუნდა და ნაირგვარ საქმიანობას მისდევს.

როცა ფეხბურთის ახირებული ვარსკვლავი იყო, კანტონა არც მაშინ გახლდათ მხოლოდ ფეხბურთის ვარსკვლავი. კუნფუს სწავლობდა (და იყენებდა კიდეც), ხატავდა, შაირობდა და სპექტაკლებსაც პროდიუსერობდა ხოლმე, განთქმულია კანტონას გამონათქვამი: „რომ გაიგო, როგორ ფრინავს ყვავი, მქროლავი მატარებლის სახურავზე უნდა იდგე".

თავად ერიკი კი, ჩანს, მართლაც დაფრინავს და არცთუ ურიგოდ. აქ წარმოდგენილ ფოტოზე ის დომინიკელ ბერთან ერთად მავალია გამოსახული. კანტონა ნამდვილია, ბერი კი არა. ბერი მსახიობი ჟაკ ვილერეა. ის და კანტონა ერთად თამაშობენ მხატვრულ ფილმში „მუკი". ვილერე მხიარულ ბერს ასახიერებს, კანტონა კი მოხეტიალე ვირგლა მოკრივეს, რომელსაც თანამგზავრად მოლაპარაკე შიმპანზე აურჩევია.

რა, რა, და კრივის ანბანი ერიკმა კარგად იცის. თუ მსახიობადაც ივარგებს, ფილმი მხიარული გამოვა.



რა სჯობს, ფორმულა 1-ის ბოლიდით 300 კმ/სთ-ით ქროლვა თუ ცალბორბალა ველოსიპედით ჯამბაზობა? ძნელი სათქმელია, რადგან მსოფლიოს ჩემპიონი მიკა ჰაკინენი იქაც და აქაც შესანიშნავად გრძნობს თავს. ფინელმა მრბოლმა ამ დღეებში მიუნხენის ცირკ „კრონში" შეკრებილი მაყურებლები გაამხიარულა, 26 დეკემბერს კი სატელევიზიო გადაცემაში „ვარსკვლავები მანეჟში" თავის ოსტატობას მთელ გერმანიას უჩვენებს.

# კატია მოცდა

მრავალგზის ოლიმპიურ ჩემპიონს, სამთომოთხილამურე კატია ზაიცინგერს ეს სეზონი ბოლომდე გაუცდება და შეიძლება პენსიაზე გასვლაც მოუხდეს.

„ჩემთვის სეზონი დასრულდა — განუცხადა ზაიცინგერმა გერმანულ ტელეარხ ZDF-ს ორშაბათს — ამ გადაწყვეტილების მიღება იოლი არ იყო".

გერმანელმა სამთომოთხილამურემ თებერვალში ნაგანოს ოლიმპიადაზე სწრაფდაშვებასა და კომბინაციაში ოქროს მედლები მოიგო, სეზონი კი მსოფლიოს თასის საერთო ჩათვლაში გამარჯვებით დააგვირგვინა. ბორბალი უკუღმა ივნისში დატრიალდა: იტალიაში ვარჯიშისას კატიამ მარცხენა ფეხის წვივის ძვალი გაიტეხა და ორივე მუხლის იოგები დაიზიანა. თუმცა ამას მისი პოპულარობისთვის არაფერი დაუკლია — გასულ კვირაში ზაიცინგერი გერმანიის „წლის სპორტსმენად" აღიარეს.

სამთომოთხილამურე თოვლიან ტრასებზე დაბრუნებას ნაახალწლევს, მსოფლიოს ჩემპიონატისთვის იმედოვნებდა, მაგრამ მას გაუმჯობესებისა არაფერი დაეტყო და ოპტიმიზმიც თანდათან სასოწარკვეთამ შეცვალა: „ჩემპიონატისთვის მზად ნამდვილად არ ვიქნები. ის კი არა, დღესდღეობით სპორტიდან წასვლასაც არ გამოვრიცხავ — ჩემთვის მთავარი ჯანმრთელობაა".

ზაიცინგერს, ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ სამთომოთხილამურე ქალს, ანგარიშზე მსოფლიოს თასის 36 ეტაპის მოგება, საერთო ჩათვლაში არაერთი გამარჯვება და სწრაფდაშვებაში უძლეველის სახელი აქვს მოპოვებული. „ტრავმის შემდეგ საკუთარ თავს პირველად ის ვუთხარი, ნაგანოს შემდეგ რატომ არ დაანებე ყველაფერს თავი, მიღწევები ისედაც საკმარისი გაქვს-მეთქი".



*17 წლის რუს ჩოგბურთელ ანა კურნიკოვას ბევრი რამ აინტერესებს. ჩეხეთის ქალაქ ბრნოში საჩვენებელი მატჩის შემდეგ მან პოდიუმს მიაშურა და დიზაინერ ვერა კოსოვას საღამოს კაბა მოიზომა. თუმცა, თუ ამ სურათის მიხედვით ვიმსჯელებთ, ჯობდა, ისევ კორტზე დარჩენილიყო — მაისური და შორტები უფრო უხდება*

*საზღვაო და სახმელეთო სამხედრო სასწავლებელთა პრინციპული ბურთაობისას კინაღამ ტრაგედია დატრიალდა. ამერიკული ფეხბურთის ცქერით გართული სახმელეთო კურსანტები ფილადელფიის ვეტერანთა სტადიონის მოაჯირს მიაწვნენ, გადმოანგრიეს და სამიოდ მეტრიდან გადმოცვივდნენ. ცხრა კურსანტი მსუბუქად დაშავდა. ეს იყო მომავალ ოფიცერთა 99-ე მატჩი. სახმელეთო გუნდმა საზღვაოს 34:30 აჯობა.*





# დიდი ჯო ცუდადაა

კეტბურთის ცოცხალი ლეგენდა, 84 წლის ჯო დიმაჯიო რომ საავადმყოფოში წევს და კიბოს ებრძვის, უკვე გაუწყეთ.

ამჯერად უნდა გამცნოთ, რომ ლეგენდარული „იანკის" ყოფაში სანუგეშო არაფერია. ბოლო 72 საათში მისი ჯანმრთელობა ძალიან გაუარესდა.

დი მაჯიო 12 ოქტომბერს დაწვა ფლორიდის შტატის ერთ-ერთ კლინიკაში და ორ დღეში ოპერაციაც გაიკეთა. ხალხმა კი ბოლოს „იანკი სტედიუმზე" იხილა დიდი ჯო, როცა 26 სექტემბერს მას, როგორც 10 მსოფლიო სერიის მონაწილეს, საგანგებო თასი გადაეცა.


## სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილე:**
ილია ბაბუნაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:**
ვახტანგ ბზიკაძე
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე:**
მერაბ რატიშვილი
**ინფორმაციის განყოფილების გამგე:**
სოსო კოტორაშვილი
**ფეხბურთის რედაქცია.**
**ქართული ფეხბურთის განყოფილება:**
კონსტანტინე გოგიშვილი, გიორგი ვაშაკიძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
**უცხოური ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი
**კალათბურთის განყოფილება:**
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი გაიოზ თალაკვაძე
**ინფორმაციის განყოფილება:**
ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე
**კორესპონდენტი ქუთაისში**
იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:**
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29